პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 6ა, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან – 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- — დანციგი მოითხოვს მონაწილეობას პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებაში.
- — საპროტესტო გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში.
- — ლიტვის პრემიერი ბერლინში.
- —შვეიცარიის კ. პ. ც. კ. პლენუმი ოპოზიციის შესახებ საკავშირო კომპარტიაში.
- — რურის ოლქის მეშახტეები 30 აპრილიდან აუქმებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს.
- — სპარსეთ-ავღანისტანის შეთანხმება.
- — ლენინგრადელ მხატვრების პროტესტი საბჭოთა გამოფენის დარბევის გამო ბრიუსელში.

ხუთშაბათი, 26 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 21 (2064)

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

გავაძლიეროთ ფინანსიურ ვალდებულებათა შესრულება

სოფლის კულტურულ აღმშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრა მჭიდროთაა დაკავშირებული იმ ფინანსიურ ვალდებულებების შესრულებასთან, რომელნიც სოფლის მოსახლეობას ეკისრება, როგორც სახელმწიფოებრივი მოვალეობა, და რომელთაც თვით გლეხკაცობა აწესებს ნებაყოფლობითი, საზოგადოებრივი ინიციატივის წესით.

ამ ვალდებულებათა შორის ერთერთი მთავარი ადგილი უჭირავს ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეკრეფას. როგორც ამას მოწმობს ადგილებიდან მიღებული ცნობები, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ბევრ რაიონებში შედარებით ნორმალურად მიმდინარეობს. მაგრამ ამავე ცნობების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავის დროზე მთლიანად აკრეფა ზოგიერთ მაზრებში ვერ მოესწრება. სესხის აკრეფის უკანასკნელ ვადათ დაწესებულია მიმდინარე წლის 1 თებერვალი. ამავე დროს არის ადგილები, სადაც გადასახადი შეკრეფილია 50—60 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ასეთ ჩამორჩენილთა რაიონების რიცხვში შედის რამდენიმე ისეთი ადგილები, სადაც გადასახადი მეტი რაოდენობითაა გაწერილი და სადაც უფრო მეტი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული გადასახადის თავის დროზე და უკლებლივ ასაკრეფად.

ადგილობრივ ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა მიიღონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით და სრულად იქნას აკრეფილი გადასახადი. ამ შემთხვევაში საჭიროა რეპრესიული ზომების მიღება სოფლის კულაკურ და სპეკულიანტურ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც იმის მაგივრად, რომ დროზე შეიტანონ გადასახადი, თავიანთ პირად გამდიდრებისა და მოგების საქმეებში ამუშავებენ სახელმწიფო ფულს.

ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივ ორგანიზაციებმა თვითდაბეგვრის კანონის გატარებას. მთავარი მიზანი, რომელსაც ისახავს ეს კანონი, იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ მოსახლეობამ ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფოს სოფლის კულტურულ მშენებლობის საქმეში. ამიტომაა, რომ კანონში სასტიკად აკრძალულია თვითდაბეგვრის წესით შეგროვილ თანხის ადმინისტრატიულ-სამმართველო საჭიროებაზე დახარჯვა. საზოგადოებრივ ინიციატივით გამოღებული საშუალებანი უნდა მოხმარდეს გზათა მშენებლობას, ჯანმრთელობის საქმის გაუმჯობესებას, კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობას და საერთოდ სოფლის კეთილმოწყობას. აღნიშნულ კანონის ცხოვრებაში გატარების მიმართულებით ადგილობრივ ორგანიზაციებმა უფრო ენერგიული ნაბიჯები უნდა გადასდგან, მათ უნდა შესძლონ სოფლის საზოგადოებრიობის ამოძრავება თვითდაბეგვრის საკითხის ირგვლივ.

არა ნაკლები ადგილი უჭირავს სოფლის ფინანსიურ ოპერაციებში სახელმწიფო დაზღვევას. სულ საქართველოში შეკრეფილი უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის გზით 1.972 ათას მანეთი. ამ თანხებიდან 1928 წლის 15 იანვრისათვის შეკრეფილია 362 ათას მანეთამდე. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ მეოთხედისათვის ეს თანხა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, მით უფრო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამავე ხნის განმავლობაში სახელმწიფო დაზღვევას გაუცია სოფლად დამზღვევლებზე 672 ათას მანეთზე მეტი.

საჭიროა ყოველივე ზომები იქნას მიღებული იმისათვის, რომ სახელმწიფო დაზღვევამ ფართე პოპულიარობა მოიპოვოს გლეხკაცობაში, რომ თავის დონეზე და უნაკლოთ იქნას შეკრეფილი ყველა სავალდებულო სადაზღვევო ანარიცხები და ფართედ იქნას გაშლილი სოფლად ნებაყოფლობითი დაზღვევა. ასეთია მაგალითად გლეხის სიცოცხლის დაზღვევა, რაც უზრუნველყოფს მის ოჯახს საარსებო საშუალებებით იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის დაზღვეული მარჩენალი გარდაიცვალა. სოფლად ჯერ კიდევ ბევრგან სავსებით ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სახელმწიფო დაზღვევას გლეხის მეურნეობის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფისათვის და სახელმწიფო სალაროსათვის. არის მაგალითები, როცა სახელმწიფო დაზღვევას ისე უყურებენ, როგორც მეორე გადასახადს. საჭიროა ამ მავნე შეხედულების გაფანტვა. საჭიროა უფრო გადამჭრელი და ენერგიული ზომების მიღება იმისათვის, რომ სახელმწიფო დაზღვევის საქმე უფრო ნორმალურად განვითარდეს სოფლად. განსაკუთრებით კი უნდა გადიდდეს ნაბიჯები სადაზღვევო ანარიცხების თავის დროზე და უკლებლივ შემოსატანად.

სოფლის ფინანსიურ ვალდებულებათა უნაკლოთ შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის უმტკივნეულოდ ზრდისათვის და პირველყოვლისა თვით გლეხობის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას დღეს, როცა საერთოდ სოფლად საკმაოდ მნიშვნელოვანი თავისუფალი თანხა მოიპოვება, რომელიც უძრავად ძევს. ადგილობრივ ორგანიზაციებმა ამ გარემოებას შესაფერისი ანგარიში უნდა გაუწიონ და სათანადო პრაქტიკული დასკვნები უნდა გააკეთონ აქედან. ამას მოითხოვს პარტია და ხელისუფლება სოფლის საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების დარგში.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება

10-დან 15 იანვრამდე პურის დამზადება მნიშვნელოვანად გაიზარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში დამზადებულ იქნა 158.000 ტონა, მაშინ როდესაც 5-დან 10 იანვრამდე დამზადებული იყო მხოლოდ 101.000 ტონა. მართალია, ეს შედარება შეიძლება არ იქნეს სავსებით დამახასიათებელი, ვინაიდან მეორე ხუთი დღე ხვდება სოფლის დღესასწაულებს, რომელთაც გამოიწვიეს პურის ბაზარზე გამოტანის შემცირება. მაგრამ პირველი ხუთ დღესთან შედარებითაც, რომელმაც მოგვცა 117.000 ტონა, მესამე ხუთი დღე იძლევა პურის დამზადების მნიშვნელოვან ზრდას. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პირველად გვაქვს ციფრები, რომლებიც წარსული წლის სათანადო პერიოდის ციფრებს აღემატებიან 8 პროცენტით.

მთელ რიგ რაიონებში შეგვიძლია აღვნიშნოთ ნამდვილი გარდატეხა პურის დამზადების სამუშაოთა მსვლელობაში. უკრაინაში დამზადებულია 69400 ტონა, წინა ხუთ დღეში კი—49.200 ტონა, ჩრდილოეთ კავკასიაში დამზადებულია 4.900 ტონა, წინა ხუთ დღეში —13.000 ტ., ამასთანავე ამ ორ რაიონში წინასწარ ცნობების თანახმად მეოთხე ხუთი დღეც პურის დამზადების შემდგომ ზრდას იძლევა. დამზადების მნიშვნელოვან ზრდას ვხედავთ ცენტრალურ-სამიწათმოქმედო რაიონში (22.000 ტონა 14.000-ის წინააღმდეგ)—ვოლგის განაპირა მხარეში და ურალზე. მართალია, ორ უკანასკნელ რაიონში დამზადების მნიშვნელოვანად გადიდება წარსულ წელთან შედარებით ჯერ კიდევ არ არის მაინც და მაინც დამაიმედებელი, ვინაიდან წინანდელ ხუთ დღეში იქ დამზადებულ იქნა პურის შედარებით მცირე რაოდენობა. ვოლგის განაპირა მხარემ მესამე ხუთ დღეში მოგვცა 18.000 ტონა 13.600 წინააღმდეგ მეორე ხუთ დღეში, ურალმა—6.000 ტონა 2.700-ის წინააღმდეგ. მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი ციმბირში და კაზაკსტანში. სადაც ამ ხნის განმავლობაში დამზადებულია: ციმბირში—8.300 ტონა მეორე ხუთ დღეში დამზადებულ 2.500 ტონის წინააღმდეგ და კაზაკსტანში 3.000 ტონა 2.500 ტონას წინააღმდეგ. ჩვენი მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ამ რაიონებს. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით დამშვიდებული თვით იმ რაიონების მიმართაც, სადაც პურის დამზადება გაძლიერდა და სადაც დამზადება თავის გეგმის შესრულებასაც უახლოვდება. უნდა გვახსოვდეს, რომ გეგმების შესრულებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ „გულგრილობამ", რომელიც პურის დამზადების მუშაობაში შეედო არა მარტო დამამზადებელ აპარატს, არამედ ადგილობრივ ორგანოებსაც. ბევრმა რაიონებმა გეგმა წარმატებით შეასრულეს ჯერ კიდევ დეკემბრამდის. შეგვიძლია დავასახელოთ მთელი რიგი ისეთი რაიონები, რომელთაც გადაჭარბებითაც შეასრულეს [illegible] აძლევდათ საფუძველს დამშვიდებისათვის და იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ გულხელდაკრეფილნი. ეხლა კი, როცა ამ რაიონებში მოხდა სათანადო ზეგავლენა დამამზადებელ აპარატზე და ადგილობრივ ორგანოებზე, პურის დამზადება წავიდა ისეთი ტემპით, რომელიც სრულიად ამართლებს წარმოდგენას საქონლის მარაგის ამოწურვის შესახებ.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, იმ რაიონებშიაც კი, სადაც უკვე არის გადახრა გეგმის შესრულებისაკენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შესუსტებულ იქნეს ზეგავლენა დამამზადებელ ორგანოებზე. კიდევ უფრო ძლიერი ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ იმ რაიონებზე, რომლებიც ყოველმხრივ ჩამორჩენილი არიან.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ პურის დამზადების სუსტი ტემპი ურალზე, განსაკუთრებით ციმბირში და კაზაკსტანში, სრულებით დაუშვებელია და რომ აქ საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება იმისათვის, რომ ავამოძრაოთ აპარატი და დავსძრათ გაყინულ წერტილიდან პურის დამზადების საქმე.

ყველა ამ რაიონებში, განსაკუთრებით ციმბირში, კიდევ მოიპოვება პურის დიდი რაოდენობა, რომელიც უნდა გადავიდეს პურის სახელმწიფო და კოოპერატიულ დამამზადებლების ხელში. ეს მარაგი აქამდის ვერ მიიღო სახელმწიფომ უმთავრესად იმიტომ, რომ დამამზადებლები—ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოები— პურის დამზადების საქმეს არ აწარმოებდენ ისე, როგორც საჭირო იყო. პურის დამზადების საქმეში სათანადო ორგანოებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო ინიციატივა, ენერგია და კომერციული მოქნილობა. რომ დამამზადებელი აპარატი დამძიმდა, რომ მისი ენერგია დაეცა და მნიშვნელოვანად შესუსტდა ადგილობრივ ორგანოების ყურადღება პურის დამზადების საქმისადმი—ეს ამჟამად უდავო ფაქტია.

ამიტომ საჭიროა გამოვაფხიზლოთ და ავამოძრაოთ დამამზადებელი აპარატი და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ასეთი ზეგავლენის მოხდენის გამოცდილებამ სხვა ადგილებში უკვე მოგვცა სასურველი შედეგები. პურის დამზადების საქმის გამოცოცხლებისათვის გამართულ კამპანიის დასაწყისში ზოგიერთი „ბრძენნი", რომლებისათვისაც განსაკუთრებით ძნელი იყო (გამოტოვებულია) გვიწინასწარმეტყველებდნენ და „გვაფრთხილებდენ" კიდეც, რომ ყოველგვარი ზეგავლენის მოხდენა დამამზადებელ აპარატზე, ყოველგვარი გადაჭარბებული ზომებით პურის „ძებნა" მიგვიყვანს მხოლოდ იქამდის, რომ პურის დამზადება სრულებით შესწყდებაო. მიუხედავათ ამისა, ის, რასაც ჩვენ ვხედავთ ამჟამად იმ რაიონების პურის დამზადების ბაზარზე, რომლებზედაც ასეთი ზეგავლენა მოვახდინეთ, აშკარად გვიმტკიცებს, რომ ზეგავლენის მოხდენა აუცილებელი იყო და რომ უამისოდ ჩვენ, ალბათ, ვიქნებოდით ისეთივე მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით დეკემბერში. იქ, სადაც ადგილობრივი ორგანოები გამოფხიზლდენ, ჩაებენ მუშაობაში და დაიწყეს პურის ენერგიულად შესყიდვა— იქ პურის დამზადების საქმე გამოცოცხლდა და გაძლიერდა.

საჭიროა შემდგომი გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა დამამზადებელ აპარატზე და საბჭოთა პარტიულ უჯრედებზე, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებსაც აქამდის არ ეტყობათ საგრძნობი გადახრა პურის დამზადების გეგმის შესრულებისაკენ. პურის დამზადების საკითხები არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დამამზადებელი აპარატის საკითხებათ, ისინი პირველ ხარისხოვან სამუშაოს უნდა წარმოადგენდენ ყველა ადგილობრივ ორგანოებისათვის და განსაკუთრებით აღმასკომებისათვის, დაწყებული რესპუბლიკანურ და საოლქო აღმასკომებიდან გათავებული რაიონულ და სასოფლო საბჭოებით. დამამზადებელი აპარატი კიდევ უფრო უნდა გამოვაფხიზლოთ და ავამოძრაოთ, უნდა ვაიძულოთ ის ხელი მოჰკიდოს მუშაობის ისეთ მეთოდებს, რომლებიც შექმნიან სტიმულს ბაზარზე პურის გამოტანისათვის.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ დამამზადებელ აპარატის მუშაობის გამოცოცხლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც ხელების გახსნა ურთიერთ ბრძოლისთვის კონკურენციისათვის, აჟიოტაჟისათვის. ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს დამამზადებელ აპარატის გამოცოცხლების ასეთ შეცდარ გაგებას და იმ ღონისძიებების გადამახინჯებას, რომლებიც მიმართულია პურის დამზადების გაძლიერებისაკენ; ასეთ გადამახინჯებებს აღარ უნდა ექნეს ადგილი მუშაობაში. არსებობს პურის დამამზადებელ მუშაობის ნორმალური მეთოდები, რომლებიც დროა შეითვისონ დამამზადებლებმა.

„იზვესტია" 25 იანვარი.

ინგლისელი რეფორმისტები კაპიტალისტების სამსახურში

გენსაბჭოს მოლაპარაკება „მშვიდობიანობის" შესახებ მრეწველობაში

ტერორი არჩევნების წინ პოლონეთში.—მემარცხენე ორგანიზაციების დევნა

ინგლისელი რეფორმისტები მხარს უჭერენ „მშვიდობიანობას მრეწველობაში"

ლონდონი, 24 იანვარი. დღეს გაიმართა ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს საგანგებო სხდომა; სხდომამ მოიწვიეს წარმოების პატრონებთან იმ მოლაპარაკების საკითხის განსახილველად, რომელიც ეხება „მშვიდობიანობას მრეწველობაში".

სხდომამ მიიღო რეზოლუცია მოლაპარაკების გაგრძელებისა და მისი უშუალო ხელმძღვანელობისათვის საგანგებო კომისიის დანიშვნის შესახებ. ეს დადგენილება მიიღეს გაცხოველებული კამათის შემდეგ, რომლის დროსაც მკაფიოდ გამოიხატა სერიოზული უთანხმოებათა არსებობა გენერალური საბჭოს უმრავლესობას და მოლაპარაკების გაგრძელების მოწინააღმდეგე მცირე ჯგუფს შორის. გენერალური საბჭოს უმცირესობის თვალსაზრისი გამოიხატა სუელსის მიერ წარდგენილ რეზოლუციაში, რომელსაც მხარი დაუჭირა კუკმა. ამ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ მოლაპარაკების გაგრძელება საჭირო არაა, რადგან მრეწველთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ალფრედ მონდი (ინიციატორი 12 იანვრის კონფერენციისა, რომელიც შეეხებოდა „მშვიდობიანობას მრეწველობაში") განაცხადა, რომ კონფერენციის მონაწილენი მრეწველთა არავითარ ორგანიზაციების წარმომადგენელნი არ არიან.

რეზოლუციას ხმა მისცა სულ 6 კაცმა. ამდენივე ხმა მიიღო რიჩარდის შესწორებამ. ამ შესწორებას ისეთივე აზრი ჰქონდა, რაც სუელსის რეზოლუციას. უმრავლესობის მიერ მიღებული რეზოლუცია ოფიციალურად შეიტანა **ტომასმა** და დაიცვა **ბევინმა**. ამ რეზოლუციით გათვალისწინებული მოლაპარაკების ხელმძღვანელი კომისიაში ამორჩეულნი არიან: ბენ-ტირნერი, ჰილტონი, ტომასი, ბევინი, რიჩარდსი და სიტრინი. (ადს).

კუკი „სამრეწველო ზავის" შესახებ

ლონდონი, 24 იანვარი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში კუკმა სასტიკად გააკრიტიკა პროფკავშირთა გენსაბჭოს გადაწყვეტილება მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ „მრეწველობაში მშვიდობიანობის დასამყარებლად". კუკი აღნიშნავდა, რომ ეს გადაწყვეტილება მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს ინგლისის მუშათა მოძრაობას, მაშინ როდესაც მწარმოებლები ფორმალურად არავითრით არ არიან შებოჭილნი, ვინაიდან ისინი აცხადებენ, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ პერსონალურად, და არა როგორც მრეწველთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. გენერალურ საბჭოს გადაწყვეტილება ხელფეხს უკრავს პროფკავშირებს, აბრკოლებს ყოველივე მტკიცე გამოსვლებს, მაშინ როდესაც მწარმოებლები, პირიქით, დაუბრკოლებლივ განაგრძობენ სამუშაო ხელფასის შემცირებისა და საერთოდ შრომის პირობებზე შეტევის პოლიტიკას. შემდეგ კუკი აცხადებს, რომ ის განაგრძობს კამპანიას პროფკავშირთა საგანგებო ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ და აგრეთვე მოითხოვს, რომ გამოქვეყნებულ იქნას 12 იანვარის „მრეწველობაში მშვიდობიანობის" შესახებ შემდგარი კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში. კუკმა განაცხადა, რომ მას მიღებული აქვს ასეული რეზოლუციები, რომლებიც შეიცავენ პროტესტებს გენსაბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ. მუშათა ყველა მიტინგებზე, რომლებზედაც ის გამოვიდა 12 იანვრის კონფერენციის შემდეგ, ყველაზე უფრო ჩამორჩენილ რაიონებში გამართულ მიტინგებზედაც კი ერთსულოვნად იღებდენ საპროტესტო რეზოლუციებს გენერალურ საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ და იწონებდენ კუკის პოზიციას.

„საარჩევნო კამპანია" პოლონეთში

ვარშავა, 24 იანვარი. უკანასკნელ დღეებში ვარშავაში მოხდა მასიური დაპატიმრებები. დაპატიმრებულებს ბრალს სდებენ „კომუნისტურ მუშაობაში".

პოლიტიკურ წრეებიდან მიღებული ცნობებით, ეს დაპატიმრებები დაკავშირებულია საარჩევნო კამპანიასთან. სულ დაპატიმრებულია 76 კაცი, რომელთა უმრავლესობას წარედგინა ბრალდება კომუნისტების საარჩევნო ფურცლებისა და პლაკატების გავრცელებაში (ადს).

ვარშავა, 24 იანვარი. ლოძში პოლიციამ გარეკა მიტინგი, რომელიც მოაწყო პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთამ. **მიტინგის მონაწილენი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდენ პოლიციას, რის გამო ბევრაა დაპატიმრებული.** პოვონზკაში (ვარშავის მუშური რაიონი) შესდგა მთელი რიგი სასწრაფო მიტინგები ღია ცის ქვეშ. პოლიციამ გარეკა ეს მიტინგები და მოახდინა მთელი რიგი დაპატიმრებები (ადს).

მსოფლიო ნავთის ტრესტების ბრძოლა

ბრძოლა მწვავდება

ბერლინი, 24 იანვარი. გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანო „დოიჩე ბერგვერც ცაიტუნგ"-ი წერილს უძღვნის ნიუ-იორკის „სტანდარტ ოილ კამპანიის" და „როიალ დეტჩ შელის" ბრძოლას. გაზეთი აღნიშნავს, რომ კონფლიქტი ამ ტრესტებს შორის მოასწავებს მშვიდობიანობის ჩაშლას ნავთის მრეწველობაში, და ხაზს უსვამს, რომ მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში საკმაოდ გულგრილად უყურებენ ტრესტების ბრძოლას, ინგლისის სამრეწველო, კერძოდ ნავთის მრეწველთა წრეები ერთგვარ ნერვიულობას იჩენენ. გზადაგზა გაზეთი აღნიშნავს, რომ „სტანდარტ ოილის" მიერ პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობებმა გამოარკვია ის საინტერესო ფაქტი, რომ **დეტერდინგის მიერ წამოყენებული არგუმენტები ვერ უძლებს კრიტიკას ნამდვილ მდგომარეობასთან შედარების დროს**, რომელსაც ტრესტი „როიალ დეტჩი" ფარავდა. გაზეთს მხედველობაში აქვს ის, რომ ბრძოლა „სტანდარტ ოილის" წინააღმდეგ დაიწყო დეტერდინგმა, ესე იგი, სხვანაირად რომ ითქვას, პასუხისმგებლობა კონფლიქტის გამწვავებისათვის ეკისრება დეტერდინგს. (ადს)

რუმინეთის შიში

ვენა, 24 იანვარი. ბუქარესტის გაზეთი „ლუპტა" ვრცელ წერილს უძღვნის საბჭოთა ნავთის კონკურენციის საკითხს. წერილს სათაურად აქვს: „საფრთხე რუმინეთის ნავთის მრეწველობისათვის". გაზეთის აზრით რუმინეთის ნავთის სამრეწველოები უნდა გაერთიანდენ, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა ნავთი საბოლოოდ განდევნის რუმინეთის ნავთს მსოფლიო ბაზრიდან. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნავთი უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფო ნავთის წყაროების ერთადერთი მფლობელია და სავაჭრო ოპერაციებს შუამავალთა დაუხმარებლად აწარმოებს. „ნავთის სინდიკატის" შეთანხმება „სტანდარტ ოილთან" გაზეთს საშიშ ნიშნად მიაჩნია რუმინეთის ნავთის გასაღების პერსპექტივებისათვის. (ადს)

საფრანგეთი და მოსულის ნავთი

პარიზი, 24 იანვარი. დეპუტატთა პალატის ნავთის მრეწველობის კომისიაში ბრიანმა გააკეთა მოხსენება იმ ზომების შესახებ, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ მიიღო საფრანგეთისათვის მოსულის ნავთის განსაზღვრული ნაწილის უზრუნველსაყოფად. ბრიანის მოხსენებასთან დაკავშირებით „მატენ" ათავსებს ცნობებს მოსულში ნავთის ამოღების შესახებ.

სოფელ ბაბა-გურგურს მახლობლად ამოთხრილია ჭაბურღილი, რომლიდანაც პირველი სამი დღის განმავლობაში ამოღებულ იქნა 8.600 ტონა ნავთი. ექსპერტების აზრით, მარტო ამ ჭაბურღილს შეუძლია 8.600.000 ტონა ნავთის მოცემა წელიწადში. მოსულის ვილაეთში განზრახულია 100 ახალი ჭაბურღილის ამოთხრა. არსებულ ხელშეკრულების პირობების თანახმად საფრანგეთმა უნდა მიიღოს მოსულის ნავთის მთელი პროდუქციის 23,75 პროც. რადგან საფრანგეთს წელიწადში ესაჭიროება 2 მილიონი ტონა ნავთი „მატენ"-ის აზრით საფრანგეთის ნავთის მოთხოვნილებას სავსებით დაფარავს მოსულის ნავთის წარმოებები. (ადს).

სამუშაო ხელფასის გადასინჯვა

ლონდონი, 24 იანვარი დერგემის მეშახტეთა და მაღაროს მეპატრონეთა შორის დადებულ რაიონულ შეთანხმების ახალ პუნქტის შესასრულებლად შესდგა ორივე მხარის საერთო თათბირი სამუშაო ხელფასის გადასასინჯავად. მაღაროს მუშები მოითხოვდენ მინიმალურ განაკვეთის გადიდებას და ამავე დროს ძირითად სამუშაო ხელფასის პროცენტულ დამატების გადიდებას. მაღაროს მეპატრონენი თავის მხრივ მოითხოვდენ მინიმალურ პროცენტულ დამატებისა და მინიმალურ განაკვეთის შემცირებას. მაღაროს მუშებმა უარყვეს ეს მოთხოვნილება და საკითხი გადასაჭრელად გადაეცა ხელფასის საოლქო ბიუროს ეგრედ წოდებულ დამოუკიდებელ თავმჯდომარეს (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

სესხი რეპრესიების მუქარით

შანხაი, 24 იანვარი. კანტონიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ ჩინელმა ვაჭრებმა ხელისუფლებას აღუთქვეს სესხის მიცემა ათი მილიონი დოლარის რაოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მიიღებს გადამწყვეტ რეპრესიულ ზომებს მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამის გამო კანტონის შრომის და მიწათმოქმედების კომისარმა გასცა განკარგულება ყველა იმ პროფკავშირების დაშლის შესახებ, რომლებიც შედიან „პროფკავშირთა რევოლიუციონურ საბჭოში".

ხმების მიხედვით, შესდგა რამოდენიმე საიდუმლო მუშათა კრება. რომლებზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპროტესტო გაფიცვის გამოცხადების შესახებ (ადს).

უხანელების შეტევა

ტოკიო, 25 იანვარი. ცნობები ბრძოლის შესახებ ბაიცზუნჩის უხანელ ჯარებსა და ხუნანის (ტანშენჩის ყოფილი ჯარები, რომლებიც გადავიდენ ჩან-კაი-შის მხარეზე) ჯარებს შორის, ძლიერ ეწინააღმდეგებიან ერთი ერთმანეთს. მაგრამ „სიმბუნ-რენგოს" სააგენტოს უკანასკნელ ცნობაში ნათქვამია: რომ ხუნანის ჯარები სასტიკად დამარცხდენ პინციზიანის მახლობლად 60 კილომეტრის მანძილზე ჩანშას ჩრდილოეთ აღმოსავლეთით და იხევენ დასავლეთისაკენ, ხენჩჟოუ-ჩანდესკენ. ჩანშას დაკავება უხანის ჯარების მიერ მოსალოდნელია 24 იანვარს. (ადს)

იმპერიალისტების „მთლიანი ფრონტი" ეგვიპტეში

ანგორა, 24 იანვარი. კაირიდან მიღებული ცნობით, იმასთან დაკავშირებით, რომ ახლო მომავალში უცხოეთის სახელმწიფოებმა პასუხი უნდა გასცენ ეგვიპტეს ნოტაზე კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმების შესახებ, ეგვიპტეს პრესა გამოთქვამს სხვადასხვა მოსაზრებებს. გაზეთები იტყობინებიან, რომ უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებს ეგვიპტეში ამ უკანასკნელ ხანებში ჰქონდათ რამდენიმე თათბირი. ფიქრობენ, რომ უცხოეთის სახელმწიფოები მთლიანი ფრონტით გამოვლენ კაპიტულაციის რეჟიმის გაუქმების წინააღმდეგ. პრესა მოითხოვს, რომ ეგვიპტის მთავრობამ ენერგიულად დაიცვას ნოტაში წარმოდგენილი მოთხოვნილებები. (ადს).

საბჭოთა კურორტების წინააღმდეგ

ბერლინი, 24 იანვარი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, შრომის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, სახალხო პარტიის დეპუტატმა კრემერმა წამოაყენა საკითხი გერმანიის საავადმყოფო კასების მიერ ავადმყოფების საბჭოთა კურორტებზე გაგზავნის შესახებ და იკითხა, რატომ არ იგზავნებიან ისინი გერმანიის კურორტებზე. კომუნისტმა დეპუტატმა რედელმა აღნიშნა მკურნალობის ბრწყინვალე შედეგები კავკასიაში და დაიცვა ის აზრი, რომ ავადმყოფები მომავალშიაც უნდა გაიგზავნონ საბჭოთა კურორტებზე. (ადს).

ბესარაბიელ ემიგრანტების რეზოლიუცია

ვენა. 24 იანვარი. რუმინეთის მიერ ბესარაბიის ოკუპაციის 10 წ. თავის გამო ვენაში შესდგა ბესარაბიელ ემიგრანტების კრება. რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად მიღებულ იქნა, აღნიშნავს, რომ რუმინეთის იმპერიალისტების ველურმა რეჟიმმა ბესარაბიის მშრომელნი სრულ გაღატაკებამდე მიიყვანა. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ბესარაბიის მოსახლეობა არ სცნობს ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციას, თავის სამშობლოთ სთვლის საბჭ. კავშ. და ერთად ერთ გამოსავალს ხედავს საბჭოთა კავშირის მშრომელებთან შეერთებაში კრებამ დაადგინა აგრეთვე მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საბჭ. კავშირის ცაკს და მოლდავიის ავტონომიურ სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცაკს (ადს).

რურის მეშახტეები

ბრძოლისათვის ემზადებიან

ბერლინი, 24 იანვარი. რურის ოლქის მეშახტეთა წარმომადგენლების შეერთებულმა სხდომამ, რომელიც ესენში იქნა მოწვეული, მიმართულებათა განურჩევლად დაადგინა, 30 აპრილს კოლექტიური ხელშეკრულებები გაუქმებულად გამოაცხადოს. (ადს)

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საქ. ცაკის სესია აჭარისტანში

24 იანვრის დილის სხდომა

აჭარისტანის მთავრობის მუშაობა

ამხ. ლ. გამყრელიძის თანამოხსენება

აჭარისტანის სასოფლო მეურნეობა

ზოგიერთი ფაქტები

ამხანაგებო, თქვენ ყველამ კარგად იცით რომ აჭარისტანი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენს, და ამიტომ ნება მიბოძეთ დავიწყო ჩემი მოხსენება სოფლის მეურნეობიდან. როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი მიღწევების შესახებ, ჩვენ ჩვეულებრივად ვიმოწმებთ ომის წინადროის ციფრებს. მაგრამ სამწუხაროდ ომის წინანდელი ცნობები აჭარისტანის შესახებ სრულებით არ მოიპოვება და ამიტომ ჩემს მოხსენებაში მე გამოსავალ წერტილად ავიღებ 1917 წელს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულება 1924 - 1925 წ. უდრიდა 2.715.000 მანეთს, 1927 წელში კი პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 4.060.000 მანეთი, სხვანაირად რომ ვსთქვათ ზრდა უდრის 28,4 პროცენტს. თუ ამ პროდუქციას მივუმატებთ სახალხო მამულების პროდუქციის

ამხ. ლ. გამყრელიძე
აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

—:—

ზრდა შეადგენს 29 პროცენტს. ნათესების საერთო სივრცე 1927 წელში 1917 წელთან შედარებით გაიზარდა 30 პროცენტით. თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ სოფლის მეურნეობის თვითეულ დარგს, დავინახავთ შესაფერ პროცენტულ ზრდას. უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარისტანი თავის ნიადაგის და ჰავის პირობებით სავსებით გამოსადეგია ძვირფას ტეხნიკურ კულტურების განვითარებისათვის.

ჩაის კულტურა

ძვირფას კულტურებში პირველი ადგილი უკავია ჩაის კულტურას. 1917 წ. ჩაის პლანტაციებს ეჭირა სულ 823 დესეტინა, 1925 წელში 12 პროცენტით მეტი, 1927 წელში-კი 43 პროცენტით მეტი, ვიდრე 1925 წელში. ჩაის კულტურის პროდუქცია 1917 წელში შეადგენდა 957.000 გირვანქას, 1927 წელში კი—2.570.000 გირვანქას. ამ კულტურას საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია უაღრესად სერიოზული ყურადღება მისი საკავშირო მნიშვნელობის გამო. ამჟამად ჩვენ გვაქვს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი", რომელშიაც აჭარისტანის გარდა წევრებად შედიან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიც. ხუთწლიან პერსპექტიული გეგმის მიხედვით 1931 წელს ჩაის კულტურით დაკავებულმა სივრცემ უნდა მიაღწიოს ოცი ათას ჰექტარამდე და აგრეთვე აგებული უნდა იქნას მთელი რიგი ჩაის ფაბრიკები, რაზედაც განზრახულია დაიხარჯოს 42 მილიონი მანეთი. აჭარისტანის მთელმა მოსახლეობამ ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხელისუფლებამ კი თავის მხრივ უნდა მიიღოს ზომები, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგში ჩაბმულ იქნენ ღარიბი გლეხები.

ციტრუსოვან მცენარეთა გაშენება

ჩაის კულტურის შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსოვან მცენარეების, უმთავრესად მანდარინების კულტურას. 1925 წელში მანდარინებს ეკავა 300 დესეტინა სივრცე, 1927 წელში კი ეს სივრცე გაიზარდა 20 პროცენტით. აჭარისტანის გლეხობა უდიდეს ინტერესით ეკიდება ამ კულტურას მისი შემოსავლიანობის გამო: დესეტინა იძლევა 1.100 მანეთის შემოსავალს. თავის მხრივ ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი ამ კულტურის განვითარებას, ვინაიდან ის შესძლებს სწრაფად გამოაკეთოს ჩვენი გლეხის კეთილდღეობა.

მეთამბაქოება

თამბაქოს კულტურას 1925 წელში ეკავა სულ 150 დესეტინა. 1926 წელში ეს სივრცე გაიზარდა 250 დესეტინამდე, ე. ი. 66 პროცენტით, მაგრამ 1927 წელში თამბაქოს კულტურით დაკავებული სივრცე შემცირდა 13 პროცენტით. ეს აიხსნება მცირე მოსავლით, რასაც ხელი შეუწყო ცუდმა ამინდმა და იმ გარემოებამ, რომ გლეხები გაიტაცა ციტრუსოვანმა მცენარეებმა მათი დიდი შემოსავლიანობის გამო. გარდა ამისა, ფერხდებოდა ავანსების მიცემა მეთამბაქოე გლეხებისათვის.

ლ უ ფ ა

უკანასკნელ ორ წელში ჩატარდა ცდები ლიუფის მოსაყვანად. უნდა აღვნიშნოთ რომ ამ კულტურას აჭარისტანის სინამდვილეში არა აქვს დიდი პერსპექტივები და შეიძლება ექნეს მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა. 1925 წელში ლიუფით დაითესა სულ 6 დესეტინა, 1927 წელში-კი—60 დესეტინა.

მეაბრეშუმეობა

შედარებით ცოტა ხნის წინად დაიწყო მეაბრეშუმეობის განვითარება. 1926 წელში ქობულეთის მაზრის გლეხებს დაურიგდა 500 კოლოფი აბრეშუმის თესლი, 1927 წელში კი 1.000 კოლოფი. მეურნეობის ამ დარგს დიდი მომავალი აქვს ამ მაზრაში და ამიტომ საჭიროა სათანადო აგრონომიული დახმარება აღმოეჩინოს გლეხებს. ამ მხრივ ჩვენ უკვე გადავდგით გარკვეული ნაბიჯები, დარგულია თუთის ხეები, მოეწყო პარკის საშრობები და აგრეთვე პარკის საჩრჩილავი.

საბჭოთა მეურნეობანი

აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობანი ატარებენ უფრო საჩვენებელ, ვიდრე საცდელ ხასიათს. საბჭოთა მეურნეობის საერთო სივრცე შეადგენს 230 დესეტინას, მათ შორის მანდარინებს უკავია 66 დესეტინა, ჩაის—72 დესეტინა. საბჭოთა მეურნეობების სწრაფ განვითარებას ძლიერ აბრკოლებდა მათი დავალიანება სხვადასხვა ბანკებისადმი. ეს დავალიანება შეადგენდა 150.000 მანეთს, მაშინ, როდესაც მათ თითქმის არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ. შედარებით მცირე ხნის წინად უმაღლეს ორგანოების დახმარებით ეს დავალიანება გადაირიცხა გრძელვადიან კრედიტად და ამით საბჭოთა მეურნეობებს საშუალება მიეცა დადგენ განვითარების ჯანსაღ გზაზე. უკვე 1926 წელში მათმა შემოსავლიანობამ შეადგინა 32.000 მანეთი, 1927 წელში კი—46.000 მან. მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობებს ჩამოერთვა მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ჩაის ბუჩქი იყო გაშენებული. ეს ნაკვეთები გადაეცა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს განკარგულებაში აჭარისტანის დამატებით საპაიო გადასახადის სახით.

როდესაც ვლაპარაკობ საბჭოთა მეურნეობის შესახებ, მე მინდა შევეხო იმ კულტურულ ნაკვეთებს რომლებიც მდებარეობენ მახინჯაურსა და ციხისძირს შუა. ეს ნაკვეთები იჯარით აქვს აღებული კერძო პირებს. ამ ნაკვეთების იჯარით გაცემა იმით აიხსნება, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ ჰქონდა საჭირო საშუალებები ამ ნაკვეთების დასაცავად და განსავითარებლად. მაგრამ კერძო მოიჯარადრეები ძლიერ მცირე შემოსავალს იძლევიან და თითქმის სრულებით არ უწყობენ ხელს ტეხნიკურ კულტურების განვითარებას. აჭარისტანის მთავრობა ფიქრობს თავის ხელში აიღოს ეს კულტურული ნაკვეთები, რისთვისაც საჭიროა შესაფერი საშუალებები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძმური რესპუბლიკები ჩვენ სათანადო დახმარებას აღმოგვიჩენენ ამ საქმეში, მით უმეტეს, რომ აჭარისტანის გლეხობა განიცდის მიწის უკიდურეს ნაკლებობას. აჭარისტანის მთელი ტერიტორია უდრის 250.000 დესეტინას, აქედან მხოლოდ 15 პროცენტია გამოსადეგი სოფლის მეურნეობისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აჭარისტანში ითვლება სულ 13.600 მეურნეობა, თვითეულ მეურნეობაზე მოდის 1,6 დესეტინა მიწა, სხვანაირად რომ ვსთქვათ—თვითეულ სულზე 0,25 დესეტინა, მიწადმოწყობა აჭარისტანში გატარებულია სულ 10 პროცენტით, რაზედაც დაიხარჯა 32.000 მანეთი. აღნიშნული ციფრები მოწმობენ იმას რომ საკითხი მიწადმოწყობის შესახებ ჩვენში ძლიერ მწვავედ სდგას.

მელიორაცია და აგროდახმარება

მიწადმოწყობასთან და სათეს სივრცის გადიდებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მელიორაცია და აგროდახმარება. დღემდე აჭარისტანში გაშრობილია 960 დესეტინა მიწა, რომელიც გადავიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. ჭაობების ამოშრობა უმთავრესად სწარმოებდა ქობულეთის მაზრაში, რაზედაც დაიხარჯა 106.000 მანეთი. ჭაობების ამოშრობას უნდა დაეთმოს ყურადღების მაქსიმუმი არა მარტო იმიტომ, რომ ეს გაადიდებს სათეს სივრცეს, არამედ იმიტომაც, რომ ეს გააჯანსაღებს მოსახლეობას. აგროდახმარების მხრივ დღემდე ჩვენ გავაკეთეთ შემდეგი: მაზრებში არსებობს ოთხი აგროპუნქტი, რომლებშიაც მუშაობს ოთხი აგრონომი და რვა ტეხნიკოსი. ამას გარდა მუშაობს ხუთი გამქირავებელი პუნქტი 125 მანქანით და ციტრუსის მცენარეების სანერგე. მაზრებში მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო წრეები 4.112 აქტიურ წევრით. ამ წრეებში იკითხება ლექციები და ეწყობა საუბრები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების შესახებ. სულ აგროდახმარებაზე 1926—1927 წლებში დახარჯულია 79.000 მანეთი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

ეხლა ამხანაგებო გადავდივარ ჩვენს მრეწველობაზე. ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1924—25 წელში უდრიდა 6.962.000 მანეთს, 1925—26 წელში 8.799.000 მანეთს. 1926—27 წელში 6.147.000 მანეთს. ამრიგად 1927 წელში პროდუქცია დაეცა 13 პროცენტით 1925 წელთან შედარებით. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ 1927 წელში კერძო მოიჯარადრეებს ჩამოერთვა ტყავეულობის ქარხნები, რომლებიც იმყოფებოდა „აზნეფტსტროი"-ს ტერიტორიაზე, და გადაეცა უკანასკნელს საკუთარ საჭიროებისათვის. მიუხედავათ ამისა პროდუქციის შემცირებამ ვერავითარი გავლენა ვერ იქონია სახელმწიფო მრეწველობის განვითარებაზე.

სატყეო მრეწველობა

მრეწველობის ცალკე დარგებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სატყეო მრეწველობას. ორი წლის წინად განცალკევებული ხე-ტყის ქარხნები გაერთიანებულ იქნა ერთ ცენტრალურ ახლად აგებულ ქარხანაში. ამ ქარხანაში ამჟამად არსებობს ხე-ტყის სახერხი, დიქტის და ფანერის განყოფილებები, დაწყებულია კასრების და ავეჯეულობის განყოფილებების მოწყობა. ხულოს და ქობულეთის მაზრებში არის ადგილობრივ მნიშვნელობის ქარხნები. სატყეო მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება 1927 წელში უდრიდა 415.000 მანეთს, რაც შეადგენს 62,5 პროცენტით ზრდას 1926 წელთან შედარებით. ქარხნების ძირითადი კაპიტალი შეადგენს 203.000 მანეთს. სატყეო მრეწველობისათვის მკვიდრი საფუძვლის შესაქმნელად აუცილებლად საჭიროა მისი მექანიზაცია. ეს საკითხი ჩვენ უკვე დადებითად გადავჭერით და გადადებულია სპეციალური თანხები.

თამბაქოს მრეწველობა

აჭარისტანის მრეწველობაში მცირე მნიშვნელობა არა აქვს თამბაქოს მრეწველობას მისი პროდუქცია 1925 წელში უდრიდა— 760.163 მანეთს, 1926 წელში კი მან შეადგინა 812.101 მანეთი, რაც იძლევა ზრდას 6,5 პროცენტით. თამბაქოს მრეწველობას, ისე, როგორც სატყეოს, აქვს დიდი პერსპექტივები. თამბაქოს მრეწველობას აქვს ერთად-ერთი ფაბრიკა, რომლის მოწყობილობა 40 პროცენტით უკვე უვარგისია. მიმდინარე წლის გეგმის თანახმად ამ ფაბრიკის მოწყობილობის გამოსაცვლელად გადადებულია შესაფერი თანხები.

ტყავის მრეწველობა

აჭარაში არის აგრეთვე ტყავეულობის მრეწველობა. ერთხანს ამ მრეწველობის ქარხნები საექსპლოატაციოთ ჰქონდა კერძო მოიჯარადრეებს. ამ ქარხნების უმრავლესობა მოთავსებული იყო „აზნეფტსტროი"-ს ტერიტორიაზე და, როგორც უკვე ვსთქვი, გადავიდა მის გამგებლობაში. იმ ქარხნებს კი, რომლებიც ქალაქის ფარგლებში არიან, ჩვენ ვამუშავებთ. ტყავეულობის მრეწველობის განვითარებას აჭარისტანში აბრკოლებს ნედლეულის და განსაკუთრებით ექსტრაქტის უქონლობა. თუ ექსტრაქტი შემოტანილი არ იქნა საზღვარგარეთიდან, ან არ დამზადდა ადგილობრივ, ამ რეწველობის განვითარების პერსპექტივები ძლიერ საეჭვოა. ტყავეულობის მრეწველობის ნახევარი წლის პროდუქცია შეადგენს 40.000 მანეთს.

ლითონის მრეწველობა

უკვე დასახელებულ დარგების გარდა აჭარაში აგრეთვე არის ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა. მას არა აქვს ინდუსტრიალური ხასიათი და არის წმინდა შინამრეწველური. ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა აერთიანებს ბიდონის ქარხანას, რომელიც საექსპლოატაციოდ აქვს ნავთის სინდიკატს, მექანიკურ ქარხანას, რომელიც ასრულებს ჩვენი სამრეწველო ორგანიზაციების ცალკე შეკვეთებს და თუნუქის ფაბრიკას. აჭარისტანის სამთო-ქიმიურ მრეწველობას აქვს ქარხანა. ეს ქარხანა რენტაბელურია, მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნედლეული მისთვის შემოგვაქვს საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, უმთავრესად ქუთაისის მაზრიდან, რაც მნიშვნელოვნად აძვირებს პროდუქციას და აბრკოლებს მის სწრაფ გადიდებას.

ნავთის გადასამუშავებელი ქარხნები

ეხლა რამოდენიმე სიტყვით შევეხები „აზნეფტსტროი"-ს შედარებით მცირე ხნის წინად აზნავთი შეუდგა ბათომში ნავთის გადამმუშავებელ ქარხნების აგებას. მუშაობა აქ სწრაფი ტემპით სწარმოებს, შემუშავებულ გეგმის თანახმად. პირველ რიგში უნდა აგებულ იქნას ქარხანა 50 მილიონ ფუთი ნავთის გადასამუშავებლად. ხოლო კი უნდა აგებულ იქნას ქარხნები 150 მილიონ ფუთი ნავთის გადასამუშავებლად წლიურად. ამ სამუშაოებზე განზრახულია დაიხარჯოს 62 მილიონი მანეთი.

„აზნეფტსტროი"-ს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აჭარისტანისათვის. გარდა იმისა, რომ აქ საფუძველი ეყრება მსხვილ ინდუსტრიას, ეს მშენებლობა ძლიერ ადიდებს მუშათა კლასის რიცხვს.

სულ ჩვენს მრეწველობაში 1925 წელში ჩაბმული იყო 10.487 კაცი, 1927 წელში—12.500 კაცი, რაც იძლევა ზრდას 18 პროცენტით. მუშის საშუალო სამუშაო ხელფასი 1926 წ. შეადგენდა 63 მანეთს და 60 კაპ.; 1927 წელში—72 მან. და 67 კაპ. შრომის ნაყოფიერება 1927 წელში გაიზარდა 12 პროცენტით წარსულ წელთან შედარებით.

აჭჰესი

ჩვენი მრეწველობის სწრაფი განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული იაფ ენერგიის მიღებასთან. ამჟამად, როგორც თქვენ იცით, აჭარისტანში შენდება ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1924 წელში. ამ სადგურის დაწყებითი სიმძლავრე განსაზღვრულია 7.500 ცხენის ძალით და მის ასაგებათ უნდა დაიხარჯოს 5 მილიონი მანეთი. ამჟამად მუშაობა აჭარის წყალის ჰიდროელსადგურზე შესრულებულია 45 პროცენტით, დახარჯულია 3.800.000 მანეთი. ჰიდროსადგურის დამთავრება განზრახულია 1929 წელში, თუ შეფერხებას არ ექნა ადგილი ფულის მიწოდებაში. აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის ენერგიის მომხმარებელი იქნება ადგილობრივი მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა, რკინის გზა და უმთავრესად „აზნეფტსტროი".

ვაჭრობა და კოოპერაცია

გადავდივარ ჩვენი ეკონომიკის მესამე დარგზე—ვაჭრობასა და კოოპერაციაზე. ვილაპარაკებ ციფრებით. სავაჭრო ბრუნვა 1925 წელში შეადგენდა 20.407.000 მანეთს, 1927 წელში—26.781.000 მანეთს. კერძო კაპიტალის მონაწილეობა 1925 წელში გამოიხატება 16 პროცენტით, 1927 წელში 9 პროცენტით. აჭარისტანში ჩვენ გვაქვს კოოპერაციის ორი სახე—სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო. სამომხმარებლო კოოპერაციის ზრდის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები: 1925 წელში სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო პუნქტები იყო 44, წევრი—9.245. სავაჭრო ბრუნვა უდრიდა—2.539.000 მანეთს. საპაიო გადასახადები—27.270 მანეთს. 1927 წელში სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო პუნქტები გვქონდა—71, ანუ 40 პროცენტით მეტი, კოოპერაციის წევრების რიცხვი უდრიდა 18.575 ანუ 85 პროცენტით მეტს. სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 3.797.000 მანეთს ანუ 83 პროცენტით მეტს, საპაიო გადასახადები შეადგენდა 58.498 მანეთს, ანუ 115 პროცენტით მეტს. სამომხმარებლო კოოპერაციას 1927 წელში ბაზარი დაპყრობილი აქვს 65 პროცენტით, 1925 წელში კი— მხოლოდ 45 პროცენტით. საცალო ფასები 1927 წელში შემცირებულია 11 პროცენტით, ადმინისტრატიული ხარჯები შემცირებულია 14 პროცენტით. 1925 წელში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, საკრედიტო ამხანაგობათა ჩათვლით ჰქონდა ათი სავაჭრო პუნქტი, სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 255.000 მანეთს. 1927 წელში ბრუნვა უდრიდა 463.000 მანეთს, ე. ი. 81 პროცენტით მეტს. წევრთა რიცხვის ზრდა ამ ხნის განმავლობაში გამოიხატება 4 პროცენტით. 1927 წელში სოფლის მეურნეობის პროდუქცია დამზადებულია 145 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელში. გრძელვადიანი კრედიტები 1927 წელში გაცემულია 830 პროცენტით მეტი, ვიდრე 1926 წელში მოკლევადიანი კი—6 პროცენტით. ზედნადები ხარჯები შემცირებულია 2 პროცენტით.

მიღწევები კულტურულ ფრონტზე

აჭარისტანში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები კულტურულ ფრონტზე. მეფის მთავრობის დროს აჭარისტანში ითვლებოდა სულ 6 სკოლა, მენშევიკების დროს — 21, ამჟამად კი ჩვენ გვაქვს 122 სკოლა.

1925 წელში იყო 9.955 მოწაფე, აქედან აჭარელი 3.985, მათ შორის ქალები 558, 1927 წელში იყო 13.617 მოწაფე, ანუ 30 პროცენტით მეტი, აქედან აჭარლები 7.712, მათ შორის ქალები 568. მასწავლებლები 1925 წელში იყო 516, 1927 წელში კი 647, ანუ 26 პროცენტით მეტი. სახალხო განათლებაზე 1925 წელში დაიხარჯა საერთო ბიუჯეტის 24 პროცენტი, 1927 წელში 28 პროცენტი. აქ ამხანაგებო მე მინდა შევჩერდე კულტურულ ფრონტის ერთ მტკივნეულ მოვლენაზე. ჩვენს პირველ საფეხურის სკოლებში სავალდებულო საგნის სახით ასწავლიან თურქულ ენას, თურქული ენის 109 მასწავლებლიდან 90 პროცენტზე მეტია ყოფილი მოლები და ოფიცრები ამას გარდა მოსწავლე ბავშვები თავიდანვე ექცევიან მოლების გავლენის ქვეშ. ეს გარემოება უაღრესად არანორმალურია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს და ამიტომ საჭიროა რადიკალურ ზომების მიღება მის აღმოსაფხვრელად.

ჯანმრთელობის დაცვა

გადავდივარ ეხლა ჯანმრთელობის დაცვაზე. გასაბჭოებამდე აჭარისტანში სულ იყო ერთი საავადმყოფო და სამი საექიმო პუნქტი. ამჟამად ჩვენ გვაქვს ექვსი საავადმყოფო, 21 საექიმო პუნქტი, 5 ამბულატორია და ამას გარდა ბაქტერიოლოგიური კაბინეტი, ვენერიული დისპანსერი და პასტერის სადგური 9 საწოლით. ეს სადგური ემსახურება არა მარტო აჭარისტანს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსაც.

ამას გარდა ქობულეთში გვაქვს სანატორიუმი 110 საწოლით და ჩვენ ვიწყებთ ტუბერკულოზის დისპანსერის აგებას. საშინელ უბედურებას აჭარისტანისათვის წარმოადგენს მალარია და მასთან ბრძოლა არის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ძირითადი ამოცანა. სამალარიო სადგურები 1925 წელში გაიარა 6.000 კაცმა, 1927 წელში 4.500. განმეორებით დაავადებულთა რიცხვი 1926 წელში უდრის 10.400 კაცს, 1927 წელში 6.700, ანუ 40 პროცენტით ნაკლებს. ჯანმრთელობის დაცვაზე 1927 წელში დახარჯულია საერთო ბიუჯეტის 10,8 პროცენტი.

სახელმწიფო აპარატი

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების ბოლოში მე შევეხები სახელმწიფო ორგანოების რაციონალიზაციას, გამარტივებას და ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირებას. სულ ორი წლის განმავლობაში მიღებულია 571.000 მანეთის ეკონომია. ამ თანხის უდიდესი ნაწილი დაიხარჯა აღმშენებლობაზე ქალაქში და სოფლად. ჩემ მიერ აქ მოყვანილი ციფრები მოწმობენ, საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევებს აჭარისტანში, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს დეფექტებიც. ამ დეფექტებს ჩვენ გვიჩვენებენ ამ სესიაზე და მომავალში საერთო ძალღონით საქართველოს ძმურ რესპუბლიკასთან ერთად კიდევ უფრო დიდი წარმატებით გავწევთ წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით.

24 იანვრის საღამოს სხდომა

კამათი აჭარისტანის მთავრობის ანგარიშის გარშემო

ბათუმი, 24 იანვარი. 24 იანვრის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. გოგიბერიძისა და გამყრელიძის მოხსენებების გარშემო.

კამათში პირველად გამოვიდა

ამხ. ქავთარაძე

(საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს თავმჯდომარე)

გამოსული ამხანაგები, სთქვა მან, — თავის მოხსენებებში უმთავრესად შეეხენ სოფლის მეურნეობას, ამიტომ მე მინდა რამოდენიმე სიტყვით შევეხო ჩაის კულტურას. აჭარისტანში ჩაის კულტურა პირველად წარმოიშვა 35 წლის წინად. ამ საქმის პიონერები იყვნენ მემამულეები, გლეხობა მხოლოდ იმდენად იყო ამ საქმის მონაწილე, რამდენადაც წარმოადგენ და მხოლოდ მუშა - ძალას. ჩაის კულტურის სუსტი განვითარება 35 წლის განმავლობაში უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მემამულეები უკრძალავდენ აჭარისტანის ტერიტორიაზე მყოფ სპეციალისტებს ესწავლებინათ გლეხობისათვის ჩაის ბუჩქის გაშენება. თუ ზოგიერთი გლეხები მაინც აშენებდენ ჩაის, ცუდი დამუშავების გამო ჩაი იმდენად მდარე ღირსების გამოდიოდა, რომ გლეხობა იძულებული იყო ძალაუნებურად აეღო ხელი შემდეგ ცდებზე ამ დარგში. საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ კულტურას და მიიღო ყველა ზომები გლეხობის ჩასაბმელად ამ საქმეში. მხოლოდ ამის შემდეგ გლეხობა ენერგიულად შეუდგა ჩაის ბუჩქის გაშენებას და ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების სივრცე რამოდენიმე ათეულ დესეტინიდან გაადიდა რამოდენიმე ათასეულ დესეტინამდე. ჩაის პლანტაციების ზრდასთან ერთად უმჯობესდება ღირსებაც. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარელი გლეხები სუსტ მონაწილეობას იღებენ ჩაის პლანტაციების სივრცის გადიდებაში. ამ საქმეს უმთავრესად მისდევენ ბერძენი გლეხები. საჭიროა მიღებულ იქნას ყველა ზომები, რომ ჩაის კულტურის განვითარების საქმეში ჩაბმულ იქნან აჭარლები და ამით მათ საშუალება მიეცეს გააუმჯობესონ თავისი კეთილდღეობა.

პროფ. ტიმოფეევის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა პროფესორი ტიმოფეევი, რომელმაც სთქვა: ამხანაგებო, ორმოცი წლის განმავლობაში აჭარისტანი იმყოფებოდა ყოფილ რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ის ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და მუდამ ჩამორჩენილად რჩებოდა უკანასკნელ დრომდე. 1883 წელში ბათომ - სამტრედიის რკინისგზის ხაზის გაყვანამ გამოაცოცხლა ბათომი. შემდეგ დაიწყო ზღვის სანაპიროების გამოცოცხლება. თანდათან გაჩნდა ეგრედწოდებული სააგარაკო კულტურული ნაკვეთები ძვირფასი ვილებით. მათ აწყობდენ სავაჭრო - სამრეწველო კაპიტალისა და ბიუროკრატიის ზედა ფენების წარმომადგენლები. თვით ქვეყნის წიაღში კი ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. მოსახლეობა კვლავ რჩებოდა კულტურულად ჩამორჩენილი, სცხოვრობდა ძველებურად ამ აგრარულად ჭარბად დასახლებულ ქვეყანაში. მენშევიკურ მოკლე ხანას არაფერი ახალი არ შეუტანია აჭარისტანის ცხოვრებაში, არც განათლების მხრივ და არც მის ეკონომიურ კეთილდღეობის აწევის მხრივ. მხოლოდ გასაბჭოების მომენტიდან იწყება პერიოდი გეგმაშეწონილ აღმშენებლობის, რომელიც მიმართულია მოსახლეობის კულტურულ დონის აწევისაკენ და ამ ქვეყნის ნაყოფიერების განვითარებისაკენ. შავი ზღვის ნაპირი აჭარისტანის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთში — ეს ერთად - ერთი კუთხეა მთელს საბჭოთა კავშირში სუბტროპიკული ჰავით. აჭარისტანში ამ ჰავის დამახასიათებელი ნიშნები განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული. ამ გარემოების მხედველობაში მიღებით ბუნებრივი იყო იმის განზრახვა, რომ ზღვის ნაპირის საწარმოო ძალები გამოგვეყენებია სუბტროპიკულ კულტურების, და პირველ რიგში ჩაის კულტურის განვითარებისათვის, რათა ერთის მხრივ აგვეწია ამ აგრარულად ჭარბად დასახლებულ რაიონების ეკონომიური კეთილდღეობა და მეორეს მხრივ თავიდან აგვეშორებია დიდძალ ჩაის შემოზიდვის აუცილებლობა და ამ საქმეზე ათეულ მილიონ მანეთ ვალიუტის ხარჯვა. ამჟამად ეს საქმე უკვე ხორციელდება, დასახულია ამ კულტურის განვითარების გეგმა. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გლეხ პლანტატორებისათვის სესხების მიცემის და მათთვის თესლის მიწოდების საშუალებით ჩაის პლანტაციების სივრცე მიყვანილი იქნება 20.000 ჰექტარამდე. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში შექმნილ გართულებულ მდგომარეობის გამო ერთგვარი სიძნელეები წამოიჭრა საზღვარგარეთის თესლის გამოწერის საქმეში, გეგმა მაინც შესრულებული იქნება რამოდენიმე გადაჭარბებით. პირველ ხუთწლედის ბოლოს შავი ზღვის სანაპიროების ჩაის პლანტაციები მოგვცემს 4-ნახევ. მილიონ გირვანქა ჩაის, მეორე ხუთწლედის ბოლოს კი 12 მილიონს. პირველ ხუთწლედის განმავლობაში გეგმა ითვალისწინებს ათი ახალი ფაბრიკის აგებას, მათ შორის სამი აგებული უნდა იქნას აჭარისტანში. მეორე ხუთწლედში აგებული იქნას 14 ფაბრიკა. უწინ ჩვენი ჩაი ვერ სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით. ამჟამად ამ მხრივ მოხერხდა კარგი შედეგების მიღწევა, რაც დადასტურებულია ექსპერტიზით როგორც მოსკოვში, ისე ლონდონში. გაუმჯობესებულია სურნელობა, მაგრამ ნამდვილი ჩაი ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით ვერა გვაქვს. ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხეთ ექსტრაქტობის გადიდებაც, მაგრამ ჩვენ გული არ გაგვტეხია და მთელ რიგ ცდების და გამოკვლევების საშუალებით მივაღწევთ საჭირო შედეგებს. გლეხურ მეურნეობაში ჩაის და სხვა სუბტროპიკულ კულტურების გავრცელება იწვევს იმის აუცილებლობას, რომ დასმულ იქნას ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხი. გლეხურ მეურნეობის რაციონალიზაციის საქმეში დიდ სიძნელეს წარმოადგენს მიწის სარგებლობის არაჩვეულებრივი დაქსაქსულობა. მიწადმოწყობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ასეთ პირობებში მუშაობა ამ მხრივ ვერ გამოიღებს არსებით შედეგებს. ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობათა ფართო განვითარებით. ჩვენ უკვე გვაქვს ამ მხრივ ცდები, რომლებიც კარგი შედეგებით დაბოლოვდება.

ამხ. ურუშაძე

(ქუთაისის მაზრა)

ამბობს: ამ სესიის წევრებს ყველაფერზე უფრო აინტერესებს აჭარისტანის გლეხობის მდგომარეობა. ჩვენ ვიცით, რომ სოფელი როგორც აქ, ისე სხვა რესპუბლიკებშიაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქს. მაგრამ ამ ჩამორჩენილობაში არის სხვადასხვა საფეხურები. აჭარისტანში გლეხობის მონაწილეობა მრეწველობაში მეტად უმნიშვნელოა და ამიტომ მჭიდრო კავშირის დამყარება სოფელსა და ქალაქს შორის გაძნელებულია. ნამდვილი დაკავშირება მათ შორის სდება მაშინ, როდესაც წარმოებაში ჩაბმული არიან გლეხობიდან გამოსული მუშები. აჭარისტანის სინამდვილეში ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. მოსმენილი მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სკოლებში ასწავლიან თურქულ ენას, როგორც სჩანს, ეს საჭიროა, მაგრამ ნორმალური არ არის ის მდგომარეობა, რომ თურქულ ენის მასწავლებლად არიან ან [illegible], ან ნამდვილი მოლები. ამ მოვლენას მოჰყვება თავისი შედეგები, ამიტომ უნდა მიღებულ იქნას ზომები მის აღმოსაფხვრელად. მომხსენებლები, როდესაც ლაპარაკობდენ აჭარელ გლეხის შესახებ, ხმარობდენ სიტყვა „ფუხარა"-ს, რაც ნიშნავს ღარიბს. სინამდვილეში კი გლეხებში არიან საშუალო გლეხები და კულაკებიც, რასაც მოწმობს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განაწილება, საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს გლეხობის ფენებად დაყოფას და ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ტერმინი „ფუხარა". ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც იცნობდენ აჭარისტანს 1922, 1923 წლებში, ეხლა აცხადებენ, რომ ვეღარ სცნობენ მას, ვინაიდან კულტურულად და ეკონომიურად ის სხვა რესპუბლიკებზე უფრო ჩქარა მიდის წინ. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი საშინელი ჩვეულებები დღემდე დარჩა აჭარის ცხოვრებაში. მე ვლაპარაკობ სისხლის აღების შესახებ. ამ ჩვეულებას იოტის ოდენად არ დაუკარგავს თავისი ძალა მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიურ ფენებშიაც კი. ამხანაგებო, თუ ამ მხრივ სათანადო შედეგებს არ იძლევა პროპაგანდა, აგიტაცია და სხვა კულტურული ზომები, საჭიროა მიღებულ იქნას ზეგავლენის სხვა ზომები, რომლებსაც შეიძლება საზღვარი დაუდოს მსგავს მოვლენებს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვა

აქ ბევრს ლაპარაკობდენ თურქული ენის სწავლების შესახებ აჭარის სკოლებში. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ მოლებსა და შრომის სკოლებს შორის სწარმოებს ბრძოლა მოწაფეებისათვის. საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად ესაჭიროება აჭარისტანს თურქული ენა, გადაჭრის საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი. თუ ის მას საჭიროდ ჩასთვლის, უნდა მოამზადოს შესაფერი პედაგოგების კადრი და შესცვალოს მოლები ამ პედაგოგებით. უმთავრესი ისაა, რომ აჭარისტანში 120 შრომის სკოლასთან ერთად არსებობს 157 მედრესე, სადაც ბავშვებს ასწავლიან მოლები. თურმე სანამ შრომის სკოლაში წავიდოდეს, მოწაფე მიდის მოლასთან და შემდეგ, დაღლილ-დაქანცული, მიდის შრომის სკოლაში. ეს მოვლენა უაღრესად მტკივნეულია და მას ბოლო უნდა მოეღოს, რაც შეიძლება მალე. აქ ლაპარაკობდენ, რომ მოწაფე თიხნელების დამთავრების შემდეგ ბრუნდება სახლში და ამრიგად ექცევა ერთის მხრივ ოჯახის და მეორეს მხრივ მოლას გავლენის ქვეშ, რაც სრულიად აქარწყლებს შრომის სკოლის გავლენას. აუცილებლად საჭიროა, რომ ბავშვები იზრდებოდნენ და იმყოფებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ მუშურ-გლეხურ სასკოლო სისტემის გავლენის ქვეშ. საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შრომის სკოლებში ცოტა მოწაფეებია. თუ საქართველოს სოფლის სკოლებში არის 30—50 მოწაფე, აჭარისტანში არის—15. ეს იმის მაჩვენებელია, რომ განათლება აქ მოიკოჭლებს და ბავშვებს სკოლებში არ უშვებენ. ქალთა განყოფილებებმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიმართონ ამ მხრივ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს, რომლებიც ნამდვილად შეიტანენ კულტურას გლეხობაში. ამ მიზნისათვის აჭარისტანის მთავრობამ გადასდო მნიშვნელოვანი თანხა და არის იმედი, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ გვექნება ხელშესახები შედეგები. აჭარისტანის ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა იქნას ჩაბმული სამრეწველო აღმშენებლობაში, რომელიც სწარმოებს როგორც ქალაქში, ისე სოფლად. მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მასწავლებლების სამუშაო ხელფასი მეტად უმნიშვნელოა. საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია ამას და გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელიც ეძიებს საშუალებებს მასწავლებლების სამუშაო ხელფასის გასადიდებლად, რათა მასწავლებლობამ ღირსეულად შეასრულოს მასზე დაკისრებული ამოცანა. ჩემს სიტყვაში მე მინდა შევეხო ახალგაზრდა აჭარელ მასწავლებლის სიტყვას განათლების დასამთავრებლად მივლინებების შესახებ. მე მინდა აღვნიშნო, რომ სანამ აჭარას არ ეყოლება საკუთარი ინტელიგენცია, ამ საკითხის დასმა არ შეიძლება. ის ხუთი-ექვსი კაცი, რომლებიც ეხლა უმაღლეს განათლებას ღებულობენ, საჭიროა აჭარისტანისათვის, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ასეთ პირების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება, შესაძლებელი იქნება, ლაპარაკი შემდგომ სწავლაზე; ეხლა კი მათ მთელი თავისი ძალ-ღონე და ცოდნა უნდა მოახმარონ თავის კულტურულად ჩამორჩენილ აჭარას.

ამხ. ხოზრევანიძე

(გლეხი ხულოს მაზრიდან)

ამჟამად აჭარისტანის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ კუთხეებში ჩვენ ვხედავთ გზებს, ხიდებს, სკოლებს და სხვა. ამასთან ერთად გლეხობას „მადა" მოემატა. გლეხები მეტს მოითხოვენ, ერთი მაზრა მეორეს ეჯიბრება. ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს კოოპერაცია. კოოპერატივებში ჩვენ არ გვაქვს საჭირო საქონელი. ჩვენს კოოპერატივებში ოცდაათი დღიდან ხუთ დღეს არის საქონელი, ოცდახუთ დღეს კი არა. ხულოს მაზრაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიყვანა სამი გზა, მაგრამ გლეხები ამას არ სჯერდებიან და სთხოვენ მთავრობას კიდევ სამი გზის გაყვანას. ისინი კისრულობენ ყველა სამუშაოების შესრულებას, თუ მხოლოდ ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ ამ საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველოს უმაღლესი ორგანო ყურადღებას მიაქცევს ჩვენს თხოვნას და შეასრულებს გლეხების სურვილს. ჩვენი მაზრის გლეხობა ძლიერ არის შეწუხებული მალარიისაგან. ჩვენში ჩამოვიდა ექსპედიცია და მოახდინა გამოკვლევა მაგრამ ამ გამოკვლევის შედეგებს ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ. საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად, ვინაიდან ის ემუქრება მაზრის მთელს მოსახლეობას. მარიამ ორახელაშვილმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ აჭარისტანში არის 120 სკოლა, აქედან ხულოს მაზრაზე მოდის 82 სკოლა, მაშინ, როდესაც აქ არის 128 სოფელი. ამრიგად თითქმის 80 სოფელს არა აქვს კულტურული კერა ამიტომ აუცილებლად საჭიროა შრომის სკოლების ქსელის გაფართოება.

—:—

სესიის დღიური

ბათუმი, 25 იანვარი. სესიის 25 იანვრის დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. გოგიბერიძის მოხსენების და ამხ. გამყრელიძის თანამოხსენების გარშემო.

კამათში გამოვიდნენ: ფერაძე (აჭარელი გლეხი), შემბაშ ოღლი (ჩიქვილი გლეხი), ქურცკაიშვილი (თელავის აღმასკომის თავმჯდომარე), ექიმი ჯიჯაძე (თბილისი), შაქირ სურმანიძე (გლეხი ქედის მაზრიდან), პაოლო იაშვილი (თბილისი), ფუტკარაძე (ხულო), კორსაველი (გორის მაზრა), ლორთქიფანიძე (აჭარისტანის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი), მათიკაშვილი, ზოიძე (აჭარისტანის ცაკის მდივანი), დოლუხანიძე (ბათუმის პროფკავშირების საბჭოს), ლორთქიფანიძე (განათ. სახალხო კომისარი), ჯინჭარაძე (ბათუმის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე), აცამბა (გლეხი ბათუმის მაზრიდან), შრიდინ სურმანიძე.

შემდეგ კამათში გამოვიდა ფილიპე მახარაძე, რის შემდეგაც დილის სხდომა დაიხურა. 25 იანვრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გოგიბერიძე და გამყრელიძე.

უკანასკნელი ცნობები

შუა-გერმანიის მელითონეთა ლოკაუტი

ბერლინი, 25 იანვარი. 24 იანვრისათვის გამოცხადებული ლოკაუტი შუა-გერმანიის მრეწველობაში, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, განხორციელებულია. ლოკაუტმა მხოლოდ გააძლიერა მელითონეთა სულიერი განწყობილება ბრძოლისათვის. პროფკავშირების რეფორმისტული ბელადები განაგრძობენ კომუნისტური პარტიისა და პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის მტრობას.

კამათი რეიხსტაგში სამხედრო ბიუჯეტის შესახებ

ბერლინი, 25 იანვარი. სამხედრო ბიუჯეტის შესახებ საერთო კამათის დასრულების შემდეგ კენჭი უყარეს კომუნისტური ფრაქციის წინადადებას, რომელიც მოითხოვდა მთავრობის კომისრის მოხსენების წარმოდგენას ახლახან გამომჟღავნებული ფინანსიური დახმარების შესახებ, რომელსაც სამხედრო სამინისტრო უწევდა კინემატოგრაფიულ ფირმას „ფებუსს". კომუნისტური ფრაქციის წინადადება უარყოფილ იქნა 178 ხმით წინააღმდეგ 143-ისა. შემდეგ რეიხსტაგი შეუდგა იმ კომისიის მოხსენების განხილვას, რომელიც იკვლევდა რურის ოლქის ოკუპაციის დროს მთავრობის მიერ რურის მრეწველთათვის მიცემული ფარული სუბსიდიის საქმეს; ეს სუბსიდია უდრიდა 700 მილიონ მარკას და მისი დანიშნულება იყო „მოკავშირეთა მიმართ პასიური წინააღმდეგობის ორგანიზაცია".

კომუნისტურმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა, რომ რურის მრეწველებმა სრულიად დაუბრუნონ მთავრობას სუბსიდია, და მოითხოვა, რომ სამართალში იქნენ მიცემულნი გერმანიის მაშინდელი მთავრობის წევრები, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ სუბსიდიის გაცემის საქმეში. კომუნისტური ფრაქციის წინადადება უარჰყვეს ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა და სოციალ-დემოკრატებმა.

საიმონის კომისიის ბოიკოტი

ლონდონი, 25 იანვარი. მადრასის (ინდოეთშია) საკანონმდებლო კრებამ 64 ხმის [illegible]ით, წინააღმდეგ 28 ხმისა დაადგინა: ბოიკოტი გამოეცხადოს ინგლისის მთავრობის კომისიას, რომელიც იკვლევს ინდოეთში საპარლამენტო რეფორმების განხორციელების პრაქტიკას. (ადს).

ცელენსი სეიმის საგარეო კომისიის თავმჯდომარე

რიგა, 25 იანვარი. ლატვიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ცელენსი არჩეულია სეიმის საგარეო კომისიის თავმჯდომარედ კლივეს ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა ხსენებულ თანამდებობაზე.

ვოლდემარასი ბერლინში

ბერლინი, 25 იანვარი. ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი ბერლინში მოვიდა. (ადს).

ავღანისტანის ფადიშახი პარიზში

პარიზი, 25 იანვარი. ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშახი.

სპარსეთ-ავღანისტანის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ

თეირანი, 24 იანვარი. სპარსეთსა და ავღანისტანს შორის მეგობრობის ხელშეკრულების დადების გამო თეირანში ჩავიდა სპარსეთის ელჩი ავღანისტანში შარახი, რომელმაც მოხსენება უნდა გაუკეთოს მთავრობას. (ადს).

გენერალური საბჭოს წევრები თავს იმართლებენ

ლონდონი, 19 იანვარი. გენერალური საბჭოს წევრები თავის საჯარო გამოსვლებში ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ თავისი მონაწილეობა მრეწველებთან გამართულ თათბირში. მეტის-მეტად დამახასიათებელია გენერალური საბჭოს პოზიციისათვის ბენ-ტერნერის განცხადება ერთ კრებაზე: „ჩვენ ჯერ-ჯერობით კაპიტალისტური წყობილების ხანაში ვცხოვრობთ,—სთქვა მან—და სჯობს ურთიერთობა გვქონდეს წარმოების პატრონებთან, ვიდრე გამუდმებით ერთმანეთს ვებრძოდეთო".

გენერალური საბჭოს მეორე წევრი ბენტილეტი ცდილობდა გაემართლებინა გენერალური საბჭოს მოქმედება და განაცხადა: „იმ ეკონომიურ ცვლილებებს, რომლებიც ვერ მოახერხეს სოციალისტებმა, კაპიტალისტები ახორციელებენო". (ადს).

ლენინის გარდაცვალების წლის თავი მონღოლეთში

ულან-ბატორი, 25 იანვარი. ლენინის გარდაცვალების დღეს მონღოლეთის სახალხო პარტიის ულან-ბატორის კომიტეტმა მოაწყო კრებები, რომელზედაც აღნიშნეს ლენინიზმის უდიდესი მნიშვნელობა მონღოლეთისა და ყველა დაჩაგრული ერების განთავისუფლებისათვის. (ადს).

შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი

საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის შესახებ

ბერლინი, 24 იანვარი. შესდგა შვეიცარიის კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელზედაც სხვა საკითხებს შორის, დაწვრილებით გაირჩა საკავშირო კომპარტიის (ბ) შინაპარტიული მდგომარეობა.

ერთხმად მიღებულია რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„შვეიცარიის კომპარტიის ცეკა აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის ოპოზიცია, რომელიც უარყოფს ძლევამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის შესაძლებლობას საბჭოთა კავშირში, უარყოფს რუსეთის რევოლუციის და სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტურ ხასიათს, აგრეთვე წვრილ და საშუალო გლეხობასთან კავშირის პოლიტიკას და გამოსთქვამს იმის პროლეტარულ დიქტატურის სიმტკიცეში (ტერმიდორის ლოზუნგი), ამით დგება სოციალ-დემოკრატიულ და კონტრრევოლუციონურ თვალსაზრისზე.

შვეიცარიის კომპარტიის ცეკა დარწმუნებულია, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) პოლიტიკა ამ საკითხებში მთლიანად სწორია და შეეფერება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერესებს. და აგრეთვე მთელ მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს. რომ მიღებული ყოფილი ოპოზიციის შეხედულებები და წინადადებები, ეს გამოიწვევდა პროლეტარიატის კავშირის გაწყვეტას გლეხობასთან და საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების შესუსტებას. ის მეთოდები. რომლების საშუალებითაც ოპოზიცია ცდილობდა თავზე მოეხვია პარტიისათვის თავისი ანტი-პარტიული შეხედულებები, შეუთავსებელია პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნებასთან კომპარტიის ხელმძღვანელობით. ოპოზიცია ცდილობდა მეორე პარტიის შექმნას და ბუნებრივია, რომ მის გარშემო თავის მოყრა იწყეს ანტისაბჭოთა ელემენტებმა პარტიისა და პროლეტარულ დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. ვინაიდან ოპოზიცია. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა პარტიის მხრივ და მიუხედავად თავისი დაპირებებისა. რომ დამორჩილებოდა პარტიის გადაწყვეტილებებს, ხელი არ აიღო ანტიპარტიულ მუშაობაზე. პარტიას სხვა გზა არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ გამოერიცხა თავის რიგებიდან ოპოზიციის მომხრეები". (ადს).

უნგრეთის ფ'რული შეიარაღების გარშემო

კამათი ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

პრაღა, 24 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „პრემიერის მოადგილემ, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა **შრანეკმა** დეპუტატთა პალატაში მთავრობის სახელით გააკეთა განცხადება უნგრეთის ტერიტორიაზე იარაღის ფარულად გატარების გამო. შრანეკმა მოიყვანა სპეციალური დოკუმენტებით გამორკვეული ფაქტები და აღნიშნა, რომ იარაღი არც ჩეხო-სლოვაკიისათვის იყო გამოგზავნილი და არც პოლონეთისათვის. ტრანსპორტის მიმღებად განზრახ იყო დასახელებული უნგრეთის ერთი ფირმა. ჩეხო-სლოვაკიას, მცირე ანტანტის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მიზნად აქვს დასახული მშვიდობიანობის დაცვა და ამიტომ მან გადაწყვიტა ერთა ლიგის საბჭოს ყურადღება მიაქციოს იარაღის გატარების გამო შექმნილ ინციდენტს; ამასთანავე, მას ღრმადა სწამს, რომ ამ ინციდენტის განმარტება ყოველგვარ გაუგებრობას გამოფანტავს".

დასასრულ შრანეკმა აღნიშნა, რომ „ერთა ლიგის საბჭოსადმი მიმართვის დროს ჩეხო-სლოვაკია არ დაემყარება ერთა ლიგის წესდების რომელსამე განსაზღვრულ მუხლს". შრანეკს თავის განცხადებას თავიდანვე აწყვეტინებდნენ კომუნისტი-დეპუტატები, რომელნიც მუდამ აგონებდნენ, რომ ჩჟან-ცზოლინს იარაღს აწვდიდენ ბრნოს იარაღის ქარხნები.

შრანეკის განცხადების შემდეგ გამოვიდა ნაციონალ-დემოკრატების ლიდერი დოქტორი კრამარჟი, რომელსაც აგრეთვე სიტყვას აწყვეტინებდნენ კომუნისტები. კრამარჟმა აღნიშნა, რომ ერთა ლიგა მოვალეა გააძლიეროს ერების ნდობა ლიგის სამშვიდობო პოლიტიკის მიმართ და ჩაერიოს ახლანდელ ინციდენტში.

უკანასკნელი ორატორად გამოვიდა კომუნისტი **შტერნი**, რომელმაც შრანეკის განცხადებას იმპერიალისტური უწოდა და ზედმეტად ჩასთვალა იგი, რადგან ნათელია, რომ ხორტი და მუსოლინი ომს ამზადებენ. (ადს).

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა და მიწათმოქმედების ორგანოთა ამოცანები

ამას წინედ დამთავრებული საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა პირველი ყრილობა ყოველმხრივ გაეცნო კოლექტიურ მეურნეობათა თანამედროვე მდგომარეობას, მის ავსა და კარგს, გაითვალისწინა კოლექტიურ მეურნეობათა შემდგომი ზრდა-განვითარების პერსპექტივები, შეიმუშავა სამოქმედო დირექტივები.

ამ წერილში ჩვენ გვინდა მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ყრილობის ნამუშევარი, შევაჯამოთ აქ დასმული და გადაჭრილი მთავარი საკითხები: რას წარმოადგენს კოლექტიური მეურნეობა ჩვენში, როგორია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რა მიღწევები გვაქვს ამ დარგში და რა ნაკლულოვანებანი, რა უშლის ხელს კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას, რა გზას უნდა დავადგეთ და რა საშუალებებს მივმართოთ, რომ კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობა განვავითაროთ, გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ?

კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანად სამეურნეო მშენებლობის დარგში აღიარებულია ის, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში განსაკუთრებით უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის ზრდა. მეურნეობის სოციალისტური ფორმები უნდა იზრდებოდეს კერძო კაპიტალისტურ სექტორის ხარჯზე.

ეს ძირითადი მიმართულება ახასიათებს ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში. ზოგადი ხაზი როგორც ქალაქად, ისე სოფლად ერთი და იგივეა აღებული, მხოლოდ პრაქტიკული საშუალებანი ამ ხაზის განსახორციელებლად სხვადასხვაა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში — იმისდა მიხედვით, თუ როგორ განსხვავდება ერთი მეორისაგან ამ ორ დარგის დღევანდელი მდგომარეობა.

მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მრეწველობა თითქმის მთლიანად განსაზოგადოებრივებულია, სახელმწიფო მას უშუალოდ განაგებს. ამიტომ უკანასკნელის გავლენაც მის განვითარებაზე უფრო უშუალო და ეფექტიურია. სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები ჯერაც თითქმის მთლიანად დაქსაქსულია წვრილ გლეხურ მეურნეობათა შორის.

ასეთ პირობებში, რამდენადაც საკითხი სოფლის მეურნეობას შეეხება, საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას ამოცანა—ერთის მხრით, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისა, მეორე მხრით—თვით სამეურნეო ფორმების გარდაქმნისა კოლექტივიზაციის მიმართულებით.

ეს ორი ამოცანა—სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება და მისი კოლექტივიზაცია—მჭიდროდ არის გადაბმული ერთი მეორესთან. სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება და გლეხის მატერიალურ კეთილდღეობის დონის ამაღლება სოფლის მეურნეობის დღევანდელს პირობებში, განსაკუთრებით ჩვენს მცირემიწაწყლიან ქვეყანაში, შესაძლებელია მხოლოდ კოლექტივიზაციის გზით, კოლექტიური მეურნეობის შექმნა-განვითარების მიმართულებით.

კოლექტივიზაცია ერთად-ერთი რაციონალური საშუალებაა გლეხურ მეურნეობის ინტენსიობის შესამჩნევად გაზრდისათვის. მის უზრუნველსაყოფად საჭირო გაუმჯობესებული ინვენტარით, გლეხობის აგროცოდნის და საერთოდ კულტურულ დონის ასამაღლებლად.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პრობლემის ჯეროვნად გადაჭრა მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შესაძლებელი: აქ ჩვენი მუშაობა ამ დარგში ემყარება სოციალისტურ სახელმწიფოს შესაძლებლობათ; სახელმწიფოს ხელშია მრეწველობა და მთელი საკრედიტო აპარატი, იგი არის. სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო აპარატის საშუალებით სრული ბატონი ბაზრისა. მის ხელშია მთელი მიწა-წყალი. ყველა ამის მეოხებით, სამრეწველო, საკრედიტო და საბაჟო პოლიტიკის სათანადო მიმართვით. სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია გაადვილოს, მეტად მძიმე და სხვა პირობებში გადაუჭრელი ამოცანა—სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა დღევანდელს პირობებში ენიჭება—აღდგენის პერიოდის დამთავრების, იმ დონის მიღწევის შემდეგ, რაც [illegible] სოფლის მეურნეობას კაპიტალისტურ ეკონომიკის პირობებში ჰქონდა, სდგას ჩვენს წინაშე ამართლიად ახალი ამოცანა—მეურნეობის ძველი ფორმის გარდაქმნა, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია ახალ ტექნიკურ საფუძველზე, მისი სოციალისტური სექტორის გაძლიერება-განმტკიცება.

კოლექტიური მოძრაობა საქართველოში დაიწყო 1923 წლიდან. ამ დროიდან გლეხობაში თავი იჩინა ახალ სამეურნეო ფორმებზე გადასვლის სტიქიურმა, წადილმა, სტიქიურმა მისწრაფებამ. სამწუხაროდ ეს მოძრაობა თავიდანვე ვერ ჩამოყალიბდა ჯეროვან ფორმებში, მას თან სდევდა ბევრი ხელშემშლელი პირობები, უარყოფითი მხარეები—სწორი ხელმძღვანელობის უქონლობა, ნაკლები გეგმიანობა, მცირე სასრიანობა, წევრთა არასათანადო სოციალური შერჩევა, სუსტი იყო ცენტრის ზედამხედველობა, კოლექტივები არ იყვნენ მოქცეულნი აგროქსელის და კოოპერაციის მუდმივ სისტემატიურ ხელმძღვანელობაში და სხვადასხვა.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რომ ასეთ პირობებში კოლექტიურ-მეურნეობრივი მშენებლობის დონე მაინც და მაინც მაღალი ვერ იქნებოდა და არც არის: ამჟამად მთელს საქართველოში გვაქვს, მერძევეობის არტელების გარდა, სულ 75 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი—7 კომუნა, 20 სატრაქტორო ამხანაგობა და 48 სამიწათმოქმედო ამხანაგობა.

ჩვენში კოლექტიურ-მეურნეობრივი მოძრაობის პრაქტიკის ერთ-ერთ მთავარი სუსტი მხარე ის არის, რომ დღემდე დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული კომუნებს, ესე იგი ისეთს კოლექტივებს, რომლებშიაც ცალკე მეურნეობანი გაერთიანდებიან არა მარტო საწარმოო პროცესის, არამედ ყოფა-ცხოვრების მხრივაც. ეს არის უმაღლესი ფორმა კოლექტივისა, ამისდაკვალად მას ესაჭიროება შესაფერისი პირობებიც—სათანადო ტრადიცია, მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელი კადრი და სხვა. ეს კი ჩვენს ახლათ წარმოშობილ კომუნებს ნაკლებად აქვთ. ამიტომ მომავალში, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა კოლმეურნეობათა პირველმა ყრილობამ, არსებულ კომუნების განმტკიცებასთან ერთად, „მუშაობის მთავარი ყურადღება გადატანილ უნდა იქნას კოლექტივების უმარტივეს ფორმებზე. რაც უფრო შეეგუება ჩვენი გლეხის პირობებს".

კოლექტიურ-მეურნეობრივ მშენებლობის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებად, საჭირბოროტო საკითხებად ყრილობის მიერ შემდეგი [illegible] იქნა დასახული:

1. „კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის დარგში პირველი ადგილი მის ხელმძღვანელთა კადრის შექმნას უნდა დაეთმოს"—უნდა მოეწყოს მოკლე-ვადიანი კურსები და საუბრები კოლექტივების ხელმძღვანელთათვის;

2. საჭიროა უახლოეს მომავალში მიწათმოწყობის დამთავრება ყველა კოლექტიურ მეურნეობებში;

3. „მიღებულ უნდა იქნას ზომები კოლექტიურ მეურნეობათათვის იარაღმანქანების მიწოდების მოსაგვარებლად", ამასთან ღარიბ გლეხობის შენაერთებს „რაც შეიძლება მეტი შეღავათი მიეცეს გაუმჯობესებულ იარაღმანქანების შესაძენად, იარაღ-მანქანების დაკვეთები აუცილებლად უნდა დამტკიცებულ იქნას სამაზრო ორგანოების მიერ, რათა მიღებული იარაღმანქანები გამოსადეგი იქნას რაიონისათვის".

4. „კოლექტიურ მეურნეობის ჩამოყალიბების და ხელმძღვანელობის დროს მთავარი ყურადღება შრომის განაყოფიერებას და მეურნეობის მიზანშეწონილად წარმოებას უნდა მიექცეს, ე. ი. ისეთი მეურნეობის შემოღებას, რომელიც ყველაზე მეტი შემოსავლიანია ამხანაგობისათვის. ამ მიზნით ყოველ კოლექტივში სამეურნეო წლის დასაწყისში უნდა სდგებოდეს სამეურნეო გეგმა, რომლის შედგენაში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდენ მაზრის ან რაიონის აგრონომი, კოოპერაციის ინსტრუქტორი და ადგილობრივი მცოდნე პირები. ამით საბოლოოდ უნდა მოისპოს ის უგეგმობა რომელსაც აქამდე ბევრ კოლექტივებში ჰქონდა ადგილი".

საჭიროა ზოგიერთ კოლექტივში შემჩნეული „მოიჯარე-საქმიანობისაკენ მისწრაფების" მოსპობა. საერთოდ, კოლექტიურ მეურნეობათა თანდათანობით სპეციალიზაცია; აგრეთვე კოლექტივების მიერ დაქირავებულ შრომის გამოყენება კანონის ფარგლებში ყრილობის მიერ შესაძლებლად არის ცნობილი მხოლოდ „კოლექტივის წევრთა 20 პროცენტის რაოდენობით, ისიც სასეზონო მუშაობის დროს".

5. საჭიროა კოლექტივებში დაკვრითი წესით მოწყობა მარტივი, მაგრამ წესიერი ანგარიშ-წარმოებისა და საქმის წარმოებისა, სასტიკი თვალყურის დევნება უნდა დაწესდეს იმისათვის რომ კოლექტივები მიზანშეწონილად ხარჯავდენ მიღებულ თანხებს.

6. აუცილებელია „გაძლიერდეს მიწსახკომის მუშაობა კოლექტივების ხელმძღვანელობის სფეროში; როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, მიღებულ იქნას ზომები, რათა მაზრის აგრონომიული ძალები ჩაბმული იქნას კოლექტივების ხელმძღვანელობის საქმეში, მაზრებში რაიონის აგრონომები მიმაგრებული იქნენ კოლექტივებზე". ამავე დროს კოლექტივები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდენ სას. ოფ-სამ. კოოპერაციის სისტემას. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ეგრედ წოდებულ „ველურ" კოლექტივებს—ისინი შეყვანილ უნდა იქნან მთლიან სისტემაში, აგრეთვე დაუშვებელია ცრუ-კოლექტიურ მეურნეობის არსებობა—უნდა მოხდეს კოლექტივების შესწავლა მათი სოციალური შემადგენლობის გამოსარკვევად;

7. სასურველია 1 ერთ. ნახ. წლის კოლექტიურ მეურნეობათა კონკურსის ჩატარება.

კოლმეურნეობათა ყრილობის მიერ მიღებული ჩამოთვლილი და სხვა გადაწყვეტილებები საფუძვლად დაედება ჩვენს მომავალ მუშაობას კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობის დარგში.

ამ მუშაობას, როგორც ზემოთ ვსთქვით, ზოგადად ახასიათებს მიმართულება სოფლად კაპიტალისტურ ელემენტების დაძლევისა, მათი სრული ლიკვიდაციისა, გლეხურ მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა.

თუ ჩვენ სოფლის დღემდეც, კოლექტიურ - მეურნეობრივ მოძრაობის ჯეროვნად განვითარების გარეშე, მაინც ახასიათებდა ის, რომ სოციალისტური ელემენტები სწრაფი ტემპით ვითარდებოდნენ, დღეის იქით, როდესაც კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობას პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება და მისი განვითარება მთლიან სახელმწიფოებრივ გეგმის ფარგლებში ექცევა,—ეჭვს გარეშეა, სოციალისტური სექტორის განმტკიცება-გამარჯვების საქმე უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ, უკვე ჩასახული პროცესი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით მიმართვისა გაღრმავდება, გაფართოვდება, ჩვენი პარტიის ხაზი—კაპიტალისტურ ელემენტების ალაგმვისა, სოციალისტურ ელემენტების ზრდისა და გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისთვის ყოველმხრივი ხელის შეწყობისა — მთლიანად განხორციელდება.

კოლექტივიზაციის გზით სოციალიზმისაკენ—ასეთია ჩვენი დღევანდელი [illegible], ძირითადი ამოცანა სოფლის მეურნეობის დარგში.

ა. მეგეჯკორი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი



საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „გათვალისწინებულ უნდა იქნეს კაპიტალური ხარჯები სასოფლო-მეურნეობისათვის, როგორც თვით გლეხობის მხრივ, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის მხრივ" სავსებით გამომდინარეობს სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესის დამთავრებიდან, რაც დღის წესრიგში აყენებს საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების ამოცანას საერთოდ, და ქვეყნის ეკონომიკაში ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგის—სასოფლო მეურნეობის განვითარების ამოცანას კერძოთ.

კაპიტალურ ხარჯებმა, რომელნიც „დამატებითი რესურსებს იძლევიან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ამავე დროს უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ხელი უნდა შეუწყონ წონასწორობის დამყარებას სამრეწველო საქონელზე არსებულ გადახდის უნარის მქონე მოთხოვნილებასა და ამ საქონლის მიწოდებას შორის".

მეხუთმეტე ყრილობის ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულ განხორციელებისათვის საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოუშვა საგლეხო მეურნეობის განმტკიცების ას მილიონიანი სესხი, რომლითაც მიღებული შემოსავალი [illegible] სოფლისათვის მანქანების მიწოდებას, მიწადმოწყობას, მელიორაციას და სოფლის სხვა სამეურნეო—კულტურულ მოთხოვნილებებს.

საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხი—ეს არის გლეხობის სამეურნეო სიმწიფის გამოცდა. პარტია დარწმუნებულია, რომ გლეხობა დაიჭერს ამ გამოცდას. ისევე, როგორც ბრწყინვალედ დაიჭირეს ეს გამოცდა ქალაქის მშრომელებმა, რომელთაც გადაჭარბებით დაფარეს ინდუსტრიალიზაციის სესხი.

მიუხედავათ ამისა, პარტიამ მთლიანად და მისი ორგანიზაციის ცალკე წევრებმა პირდაპირ უნდა შეხედონ სესხის რეალიზაციის იმ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებული არიან გლეხობის ორგანიზაციულად დაურაზმაობასთან, მაშინ, როცა სესხის წარმატებით განაღდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის ფართე მასების საზოგადოებრივ ორგანიზაციულ დარაზმულობას.

ამიტომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების და თვითეულ კომუნისტის ამოცანას სოფლად წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვა და სესხის რეალიზაციისათვის საქმიანი ხელმძღვანელობის გაწევა.

ამ ამოცანის შეუსრულებლობა ამა თუ იმ სიძნელეების მომიზეზებით იქნებოდა იმის დამამტკიცებელი, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და ცალკე კომუნისტებს დაუვიწყნიათ პროლეტარული რევოლუციის ინტერესები, რომლებიც გადაჭრით მოითხოვენ საგლეხო მეურნეობის განმტკიცებას, მისი განვითარების ტემპის გაძლიერებას ქალაქის ინდუსტრიის განვითარების ტემპის მიხედვით.

სოფლის კულტურული ჩამორჩენილობა მოითხოვს ყველა საზოგადოებრივ ძალების მობილიზაციას და პირველ ყოვლისა იმ პროფესიონალურ, კოოპერატიულ და კულტურულ ორგანიზაციების მობილიზაციას, რომლებიც მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი სოფელთან თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში.

მოჯამაგირეთა კომიტეტები, კოოპერატივები, სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, საექიმო და აგრონომიული პუნქტები არ უნდა დაკმაყოფილდენ მხოლოდ სესხის პოპულარიზაციით. ეს არ არის საკმარისი. ისინი უნდა წარმოადგენდენ გამავრცელებელ ცენტრებს, სესხის ობლიგაციების მყიდველთა მომზიდველ ცენტრებს.

პარტიას ეჭვი არ ეპარება, რომ სოფლის ინტელიგენცია პირველ ადგილს დაიჭერს სესხის აქტიურ პროპაგანდისტების რიგებში და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ სოფლის ინტერესები მისი ინტერესებია, რომ ის არა სიტყვით, არამედ საქმით ემსახურება სოციალიზმის აღმშენებლობას სოფლად.

კამპანიის ლოზუნგია—არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელიც არ შეიძენს სესხის ობლიგაციას. და პირველ ყოვლისა არ უნდა დარჩეს არც ერთი სოფლელი კომუნისტი, რომელიც არ შეიძენს სესხის ობლიგაციას.

თვითეულ სოფლელ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ ის მაგალითი უნდა გახდეს მთელი გლეხობისათვის. კომუნისტებმა სესხის გავრცელებას სოფლად ხელი უნდა შეუწყონ არა ბრძანებით, არამედ მაგალითით, არა ძალდატანებით, არამედ შთაგონებით, ვინაიდან ეს არის სესხი და არა გადასახადი.

საქართველოს კომპარტიის ცეკა დარწმუნებულია, რომ მთელი პარტია და თვითეული ცალკე კომუნისტი სოფლად მტკიცეთ შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანას.

სესხი უნდა დაიფაროს მთლიანად და დაიფარება კიდეც.

ყველა შეუდექით სესხის გავრცელების საქმეს.

ყველამ ხელი შეუწყვეთ საგლეხო მეურნეობის განმტკიცების საქმეს.

ყველა ჩაებით ბრძოლაში სოციალისტურ აღმშენებლობის გამარჯვებისათვის სოფლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

* * *

[illegible] შესაფერისი სამეურნეო [illegible], რაც ჩვენ ჯერ არ გვაქვს.

და, აი, საბჭოთა კავშირის მშრომელნი, პირველ რიგში მშრომელ გლეხობას, მოუწოდებენ იმისათვის, რომ ისინი დაეხმარონ თავის მთავრობას, ასესხონ მას მათ მიერ ნაყაირათევი თანხები გლეხურ საქმისვე გასაძლიერებლად და გასაღრმავებლად.

სესხის განაღდებით სახელმწიფო სალაროში შემოსული თანხების საშუალებით განხორციელებული იქნება ახალი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გასაუმჯობესებლად, გაყვანილი იქნება ახალი გზები, ახალი სარწყავი არხები, აშენდება ახალი ხიდები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი ქარხნები, სავაადმყოფოები, სასწავლებლები, შეძენილ იქნება რამდენიმე ათასი, ათი ათასი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

სესხის დანიშნულება, ამ რიგად, სპეციალურად გლეხურია.

ჩვენის გლეხობის შეგნებისაგან. განზრახულ სესხის მნიშვნელობის სწორად და ყოველმხრივ გაგებისაგან დამოკიდებულია უმთავრესად სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩატარება.

მომავალ კამპანიაში მთავარ მიზნად დასახული უნდა იყოს სოფლად საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა ძალების მობილიზაცია, მათი გამოყენება გლეხობისათვის ვრცლად განსამარტავად სესხის დანიშნულებისა, მისი მნიშვნელობისა, როგორც საერთოდ, მთლიანად გლეხური მეურნეობისათვის, ისე კერძოდ თითოეული გლეხის ოჯახისათვის, რომელიც შეიძენს სესხის ობლიგაციებს—შესაძლებლობა ერთბაშად დიდი თანხის მოგებისა, ამით, ოჯახის ერთბაშად ფეხზე დაყენებისა და სხვ.

ეს მიზანი უნდა დაისახონ სოფელთან დაკავშირებულ ყველა კულტურულ ძალებმა საბჭოთა საზოგადოებრიობის სოფლად არსებულ ყველა ორგანოებმა. საბჭოთა, პარტიული და პროფესიონ. ორგანიზაციები, — საბჭოები, კოოპერაცია, მიწათმოქმედების მუშაკნი, მასწავლებლები, ექიმები, ქოხ-სამკითხველოები და სხვ.—ყველა ესენი გამოყენებულ უნდა იქნენ სესხის რეალიზაციის კამპანიისათვის და აქტიურად ჩაბმულ უნდა იქნას ამ კამპანიაში.

იმდენად დიდია მომავალ კამპანიის მნიშვნელობა—ყველა ესენი გამოყენებულ უნდა იქნენ სესხის რეალიზაციის კამპანიისათვის და აქტიურად ჩაბმულ უნდა იქნეს ამ კამპანიაში.

იმდენად დიდია მომავალ კამპანიის მნიშვნელობა—ეკონომ. და პოლიტიკურიც, საზოგადოებრივიც, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს გულგრილად მოვეპყრათ მას, არ გამოვიჩინოთ აქ უაღრესი უნარიანობა—აქტიობა, დავზოგოთ რამ შესაძლებლობა იმისთვის, რომ სესხი სავსებით იქნას განაღდებული და ამით კიდევ უფრო განმტკიცდეს ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის.

ბ. ქამანაშვილი.

სესხის ქრონიკა

საუბარი გლეხებთან

თბილისის გლეხთა ცენტრალურ სასახლეში სისტემატიურად ეწყობა საუბრები ჩამოსულ გლეხებთან გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის შესახებ.

საუბრებს ატარებენ საქ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს თანამშრომლები.

გლეხობაში დიდ ინტერესს იწვევს სესხი. ისინი ათეულობით შეკითხვებით მიმართავენ ფინსახკომის წარმომადგენლებს და აღნიშნავენ, რომ სოფლად დაბრუნებისას ხელს შეუწყობენ სესხის რეალიზაციას.

საქ. ფინსახკომს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ასეთივე საუბრები ქალაქის იმ ადგილებში, სადაც თავს იყრის სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა.

თათბირი ფინსახკომში

დღეს საქ. ფინსახკომთან მოწვეულია ყველა იმ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციაში.

თათბირზე მოსმენილი იქნება მოხსენება სესხის მნიშვნელობის და რეალიზაციის შესახებ, დაიდება ხელშეკრულებები ორგანიზაციებთან სესხის რეალიზაციაზე და სხვა.

თათბირი შესდგება საღამოს 6 საათზე.

ობლიგაციების პირველი პარტია

საქ. ფინსახკომმა მიიღო გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების პირველი პარტია.

ახალი სოფლის მშენებლობისაკენ

თებერვლის 1-ლიდან გამოსაშვებად განზრახული ახალი 100 მილიონიანი სესხი წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელოვან ღონისძიებას ახალი სოფლის მშენებლობის საქმეში.

სესხის მიზანია—ჩვენი სოფლის კულტურულ-სამეურნეო დონის ასამაღლებლად ნივთიერ წყაროს გაძლიერება.

ეს დონე ჯერაც ძალიან ჩამორჩენილია, ჩვენი სოფლის მდგომარეობა დღემდე მეტად დაქვეითებულია, მიუხედავად იმისა, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა არაფერს ზოგავს მის გამოსასწორებლად.

ძალიან მძიმე უღელი აწვა ძველად სოფელს, მეტად გაოხრებულ-გავერანებული იყო გლეხური მეურნეობა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთის დაკვრითი შეტევით განეკურნა სოფლის მშრომელი გლეხობის ყველა ჭირი და ვარამი, დაეიწყებინა მისთვის წარსულის წყლული მემკვიდრეობა.

ის [illegible] თავად დიდი თანხები, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ დღემდე მოახმარა სასოფლო-სამეურნეო [illegible], ახალი სოფლის მშენებლობასაც ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც საჭიროა სოფლის გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აქ ფართოდ გაშლილ შემოქმედებითი მუშაობისათვის სოციალისტური აღმშენებლობის საქმისათვის.

ამ ბუმბერაზ საქმისათვის, საჭიროა

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან

(ამხ. მარდანიანის მოხსენება საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების გაერთიანებულ კრებაზე)

გუშინ, საღამოს პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგა თბილისის წარმოება - დაწესებულებათა საქარხნო - საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების გაერთიანებული კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. **მარდანიანის** მოხსენება ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის შესახებ.

მომხსენებელმა დაახასიათა ის ბიუროკრატიული, მახინჯი თვისებები, რომელიც იმ თავითვე თან დაჰყვა საბჭოთა დაწესებულებებს. და რომელთა შორის მშრომელ მასისათვის განსაკუთრებით საგრძნობია: საქმის გაჭიანურება, ფორმალურ ჩინოვნიკური მიდგომა საქმისადმი, მედიდური მოპყრობა, უყურადღებობა მშრომელთა მიმართ და სხვ. ჩვენი დაწესებულებების მოსამსახურეთა ეს ბიუროკრატიული თვისებები, დატოვებულია მემკვიდრეობით ძველ სახელმწიფოებრივ აპარატისაგან, რომლისთვისაც ბიუროკრატიზმი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, რათა მუდამ მორჩილების და შიშქვეშ ყოლოდა მოსახლეობა. დღეს ბიუროკრატიზმი დამღუპველია საბჭოთა სახელმწიფოებრივობისათვის, რადგან იგი თიშავს ხალხს სახელმწიფოსაგან. ამიტომ არის, რომ პარტია და სახელმწიფოს ხელმძღვანელნი დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ ამ უდიდეს ბოროტებასთან.

მომხსენებელი ვრცლად მიმოიხილავს უკეთეს ბიუროკრატიზმთან წარმოებულ ბრძოლის შედეგებს, აღნიშნავს მიღწევებს და ეხება იმ ამოცანებს, რომელიც ამჟამად სდგას საბჭოთა საზოგადოებრივობის წინაშე ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში. თავის მოხსენების მეორე ნაწილში მომხსენებელი ჩერდება იმ დაბრკოლებებზე, რომელიც მთავრობამ გადადგა აპარატის განმტკიცებისა და რაციონალიზაციისათვის მიღებულ ღონისძიებათა გატარების დროს. — ეს დაბრკოლება იყო უმთავრესად კონსერვატიზმი ჩვენი დაწესებულებების, რომელთაც არ სურდათ განმარტივებით და გაუმჯობესებით თავიანთი აპარატი თითქოს იმ მიზეზის გამო, რომ დღევანდელ გართულებულ პირობებში, როცა სახელმწიფო ყოველმხრივ ვითარდება და წინ მიიწევს განვითარების უმაღლეს საფეხურისაკენ, შეუძლებელი იყოს აპარატის განმარტივება,—მისი შემცირება - შეკვეცა. პრაქტიკამ სულ წინააღმდეგი დაამტკიცა: აპარატის რაციონალიზაცია იძლევა უფრო მეტ ნაყოფს და არც ისე ძნელი საქმეს წარმოადგენს, თუ კი სურვილი არსებობს. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და მუშაობა აპარატის რაციონალიზაციის და გაიაფებისათვის მხოლოდ ეხლა ვითარდება: საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების, საწარმოო თათბირების და ეკონომიურ თათბირების და მუშკორთა ორგანიზაციების პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმის გაკეთებაში. მათ უნდა შექმნან საზოგადოებრივი აზრი და მოამზადონ ნიადაგი ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად.

ამხ. მარდანიანის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა - გამოცვლა, რის შემდეგაც გამოტანილი იქნა რეზოლუცია, სადაც გათვალისწინებულია კონკრეტიული ღონისძიებანი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და აპარატის რაციონალიზაციის განხორციელებლად.

საშეფო ორგანიზაციების საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა სოფლის და ქალაქის კავშირის საზოგადოების საბჭოს გაფართოებული პლენუმი. პირველად პლენუმმა მოისმინა ფინ. სახ. კომის. რწმუნებულის ამხ. **გ. მგალობლიშვილის** მოხსენება შემდეგ თემაზე:

სესხი გლეხური მეურნეობის განმტკიცებისათვის

მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა წარსულ წლებში გამოშვებულ საგლეხო სესხების დანიშნულება და აღნიშნა ის გამანსხვავებელი თვისება, რომლითაც ახალი სესხი განირჩევა წინად გამოშვებულ სესხებიდან: სახელდობრ: ახალი სესხით აგებული იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწარმოო ფაბრიკა-ქარხნები, გაძლიერებული იქნება სათესლე მასალა, შეძენილი იქნება ნიადაგის გასანოყიერებელი მინერალები და სხვ. სესხის 10 პროც. კი გამოიყოფა ადგილობრივ გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

საშეფო ორგანიზაციებს, რომელნიც მიზნად ისახავენ ჩვენი სოფლის ეკონომიურ და კულტურულ დონის ამაღლებას, განსაკუთრებით მართებთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ სესხის სოფლად გავრცელებაში. საშეფო ორგანიზაციებმა უნდა ნათლად გაუთვალისწინონ გლეხობას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სესხს კერძოთ თვითეულ მეურნის და საერთოდ მთელი სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის,

საშეფო საზოგადოებები უნდა გახდნენ იმ ორგანოების დამხმარე ორგანიზაციებად, რომელთაც ოფიციალურად დაკისრებული აქვთ კამპანიის ჩატარება. მათ მთელი თავისი ძალები უნდა აამოქმედონ, რომ ნიადაგი მოუმზადონ სოფლად სესხის გავრცელებას.

მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც ახალი სესხის კამპანიას დამჭერე ამოცანად აღიარებს და საჭიროდ სთვლის კონკრეტიული ღონისძიების მიღებას სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად,— სახელდობრ წინადადება ეძლევათ საშეფო საზოგადოებების ბიუროებს დაგზავნონ სოფლად თავიანთი წარმომადგენელნი, რომელნიც ერთი კვირის განმავლობაში პროპაგანდა-აგიტაციას გასწევენ კერძო საუბარში, თუ საზოგადო კრებებზე ახალი სესხის სასარგებლოდ. გარდა ამისა, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გაგრძელდეს სისტემატიური მუშაობა 3 თვის განმავლობაში, ვიდრე კამპანია არ დამთავრდება.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. **ხტუჯანოვის** მოხსენება

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელი არმიის 10 წლისთავის ჩატარების შესახებ.

მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ საშეფო ორგანიზაციებმა იკისრონ ამ დღესასწაულების ჩატარება სოფლად. ამ მიზნით იგი წინადადებას იძლევა, რომ რამდენიმე კვირით ადრე საშეფო საზოგადოებათა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი კომისიების მუშაობაში, ხოლო 3 დღით ადრე საშეფო საზოგადოების წარმომადგენელნი გაგზავნილი უნდა იქნენ სოფლებში, რომ უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსამზადებელ მუშაობას. შეფების მოსამზადებელი მუშაობა უნდა შეიცავდეს შემდეგს: ქოხ-სამკითხველოებში ეწყობა ლექცია—საუბრები, სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რომ დღესასწაულის დღეს სოფლებში მოეწყოს თავდაცვა-ავიაქიმის და მსროლელთა წრეები. დღესასწაულის დღეებში იმართება მიტინგები, საუბრები, კინო-სეანსები, რისთვისაც საზოგადოება წინასწარ ემზადება: აგროვებს სათანადო ლიტერატურას, პლაკატებს, ბეჭდავს ლოზუნგებს, არჩევს შესაფერ კინო-სურათებს და სხვა. ლექცია-საუბრები უნდა შეეხებოდეს საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობას და საქ. კომ. პარ. როლს ამ დიდ საქმეში, განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს წითელი არმიის როლს პოპულარიზაციას ქვეყნის თავდაცვის საქმეში. ამავე დროს საშეფო ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ კამპანია ახალი გლეხური სესხის გასავრცელებლად, მაგრამ ისეთი გეგმით, რომ დღესასწაულის კამპანიამ არ დაჩრდილოს ახალი სესხის კამპანია და პირიქით.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს მომხსენებლის მიერ წამოყენებულ დებულებების ცხოვრებაში გატარებას.

პარტიული ცხოვრება

პარტიიდან გამორიცხვა

ერევანი, 25 იანვარი. ცენტრ. საკონტროლო კომისიის ცნობით, დეკემბრის განმავლობაში პარტკოლეგიამ გაარჩია 91 საქმე და პარტიიდან გამორიცხა 76 კაცი; აქედან ლოთობისათვის გამორიცხულია 4, პასიურობისა და უმოქმედობისათვის—9, კულაკებთან და სოციალურად უცხო ელემენტებთან კავშირისათვის—1, პარტიული ეთიკის დარღვევისათვის—8, მეურნეობის მხრით გამდიდრებისათვის—2, სათანამდებო დანაშაულისათვის—7, სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის—11, სოციალური უცხოობისათვის—4, მექანიკურად გამოვიდა—1. გარდა ამისა, ფრაქციული მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხულია 29 კაცი პარტკოლეგიის დადგენილებით და 5 კაცი ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილებით. გამორიცხული ოპოზიციონერების სოციალური მდგომარეობა ასეთია: 19 მოსამსახურე, 14 მუშა და 1 გლეხი.

ამავე ხნის განმავლობაში ეჩმიაძინის მაზრის ფარაქარის რაიონში გაირჩა საქმე რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკისა, რომელთაც გლეხების ცემა ბრალდებოდათ. რამდენსამე კაცს სასტიკი შენიშვნა და გაფრთხილება გამოეცხადა, პარტიიდან გამორიცხულია რაიონის მილიციის ყოფილი უფროსი. (ადს).

გურკომის პლენუმზე

(ოზურგეთი)

ა.-წ. 18 იანვარს გაიხსნა გურკომის მორიგი გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომლის ზედაც დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: საქ. კ. პ. (ბ) მე-15 პარტყრილობის შედეგებზე მოხსენება და სოფლად მუშაობის შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ა. ფანცხავამ,** ხოლო მეორეზე კი ამხ. **კ. გურგენიძემ.**

პლენუმმა მე-15 პარტყრილობის შედეგების გარშემო მიიღო რეზოლიუცია, სადაც ის მთლიანად და სავსებით იწონებს პარტყრილობის ყველა დადგენილებებს, როგორც საერთაშორისო, ისე სოციალისტურ მშენებლობის საკითხებში.

რეზოლიუცია განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოსთქვამს მე-15 პარტყრილობის ერთსულოვან მტკიცე ლენინურ გადაწყვეტილებების გამო ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. სოფლად მუშაობის შესახებ პლენუმმა დაავალა გურკომის პრეზიდიუმს მე-15 პარტყრილობის დადგენილებების საფუძვლებზე ადგილობრივ პირობების მიხედვით შეიმუშავოს საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

— ჯიბუტი.

მტკიცეთ გავატარებთ მე-15 ყრ. დადგენილებებს

(ხაშური)

21 იანვარს ქ. ხაშურში შესდგა 7 საწარმოო და ერთ საბჭოთა კომუჯრედის გაერთიანებული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, კრებას დაესწრო 500 კაცი. ვრცელი მოხსენებით საქ. კ. პარტიის (ბ) მე 15-ე ყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ამხ. **კახიანი,** რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებით შეეგება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ამხანაგმა.

ყველა ორატორები აღნიშნავდნენ მე-15-ე ყრილობის დადგენილებების უდიდეს მნიშვნელობას და ერთსულოვნათ მოითხოვდნენ ამ დადგენილებათა ცხოვრებაში ურყევათ გატარებას.

ამხ. მ. კახიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ კომკავშირის აქტივთან ერთად მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) მე-15-ე ყრილობის შედეგებზე მთლიანად და სავსებით იწონებს ყრილობის დადგენილებებს.

ყრილობის დადგენილება სახალხო მეურნეობის განვითარების და სოფლად მუშაობის შესახებ სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებას და მის საბოლოო გამარჯვებას.

კრება სიამოვნებით აღნიშნავს მე-15-ე ყრილობის ერთსულოვნებას, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა ლენინური პარტიის მთლიანობა და მისი მტკიცე ნებისყოფა.

ხაშურის ორგანიზაცია აღუთქვამს ცეკას, რომ ის ყოველთვის იდგომება ლენინური პარტიის მებრძოლთა პირველ რიგებში და ურყევათ გაატარებს ცხოვრებაში მე-15-ე ყრილობის დადგენილებებს.

ირ. მოთაშვილი.

აგიტპროპკაბინეტების მუშაობა

(პრაქტიკული საკითხები)

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მსხვილ პარტორგანიზაციებში დაარსდნენ და საკმაოდ მომაგრდნენ ეგრედწოდებული საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის კაბინეტები. საქართველოში ასეთი კაბინეტები დაარსებულია თბილისში (თბილისის და ცენტრალურ კომიტეტებთან), ბათომში, ქუთაისში და სოხუმში.

თბილისის და ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ცენტრალური კაბინეტი ისახავს შემდეგ ამოცანებს:

1) ყოველნაირი დახმარების გაწევა პროპაგანდისტისათვის, აგიტატორისათვის და [illegible] საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკებისათვის ყოველგვარი მასალების (საინსტრუქციო, წიგნების, საგაზეთო, ადგილობრივი პრაქტიკის და სხ.) სისტემატიური შერჩევა. [illegible] აგიტაციის და პროპაგანდის ორგანიზაციის და მეთოდიკის ყველა საკითხებში.

2) პარტმუშაკებს არ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყველა იმ ლიტერატურისათვის, რომელშიაც გაშუქებულია მიმდინარე პოლიტიკის საკითხები. კაბინეტი რეგულიარულად აძლევს სარეკომენდაციო ლიტერატურის სიას მიმდინარე პოლიტიკის ყველა საკითხებში (ისე, როგორც ყველა წარმოებულ კამპანიებზე) ყოველგვარი სახის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკებისათვის.

3) კაბინეტი აწარმოებს ლიტერატურის და სახელმძღვანელოთა შერჩევას პარტგანათლების ქსელის ყველა პროგრამებისათვის, აგიტკამპანიების და მიმდინარე პოლიტიკის ყველა საკითხებში.

4) ამზადებს დამხმარე ხასიათის მასალებს პარტმუშაკებისათვის ინსტრუქციების მისაწოდებლად, და ამ შემთხვევაში იყენებს, უმთავრესად ადგილობრივ მასალებს.

5) აწარმოებს საკონსულტაციო და ცნობის მიმწოდებელ მუშაობას (ზეპირი და წერილობითი სახით) აგიტაციის და პროპაგანდის ყველა საკითხებზე და დარგებისათვის.

6) და ბოლოს წარმოებულ მუშაობის გამოცდილების ნიადაგზე აწესებს მუშაობის უფრო რაციონალურ ფორმებს და მეთოდებს.

ჩვენ გვგონია, რომ ყოველი კაბინეტის ძირითადი ამოცანაა თავის გარშემო აქტივის შექმნა აგიტაციის და პროპაგანდის ცალ-ცალკე დარგების გარშემო და სათანადო ამხანაგების კადრის ჩაბმა ამ მუშაობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კაბინეტებში მუშაობის გამოცოცხლება.

წინააღმდეგ შემთხვევაში კაბინეტი იქნება **მხოლოდ მასალების საწყობი და მკვდარი** გამოფენა (თითქმის ერთი წლის განმავლობაში განუახლებელ მასალებით), და არა ცოცხალი ლაბორატორია.

კაბინეტის მუშაობის მეორე ძირითადი ნაკლი არის საკითხი საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან დამოკიდებულების შესახებ. არსებობს ერთი საშიშროება: კაბინეტის არასწორი დამოკიდებულების დროს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან შესაძლებელია ერთნაირი დაშორება მუშაობაში, რაც კი გამოიწვევს კაბინეტების მუშაობის ჩამორჩენას პარტიული ცხოვრების მიმდინარეობისაგან.

კაბინეტის „დებულებაში" აღნიშნულია რომ უკანასკნელი ითვლება „საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დამხმარე ორგანოთ".

მაგრამ ეს გამოთქმა ჩვენ ისე კი არ უნდა გავიგოთ თითქოს კაბინეტის მუშაობას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების სხვა ქვეგანყოფილების მუშაობასთან შედარებით, რომ თითქოს კაბინეტი ქვეგანყოფილებების კარნახით ამუშავებს ამა თუ იმ საკითხს,—ასეთი გაგება ძლიერ შემცდარი იქნება.

კაბინეტი არის „საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დამხმარე ორგანო", ეს კი ნიშნავს იმას, რომ საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ქვე-განყოფილებები სარგებლობენ რა კაბინეტის მიერ შექმნილ ტეხნიკურ-მატერიალური და ორგანიზაციული ბაზით, ასრულებენ ორგანიზატორების და უშუალო ხელმძღვანელების როლს კაბინეტის სექციების საგიტაციო-საპროპაგანდო ცალკე საკითხების გარჩევის დროს.

მესამე საკითხი, რომელიც საჭიროებს გადაწყვეტას, — ეს არის რაიონული კაბინეტების მიზანშეწონილი მოწყობა.

რადგან საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის ყველა საკითხებზე მასალების შედგენა, მათი შერჩევა და სისტემატიზაცია ხდება ცენტრალურ კაბინეტის საშუალებით, რაიონული კაბინეტების მიზანშეწონილობა იმით იქნება გამართლებული, თუ ისინი აქტიურად დაებმებიან საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკების დაბალ კადრს (სკოლის და წრეების მსმენელს, უჯრედის მომხსენებელს, ჯგუფის მომუშავეს, აგიტაციის და პროპაგანდის ორგანიზატორს და სხ.) და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გამოცდილების ნიადაგზე მოახდენენ უფრო დაწვრილებით და სისტემატიურ აღრიცხვას.

დაბალი ქსელის საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას აქვს განსაკუთრებული პასუხური ხასიათი. კაბინეტმა უნდა მისცეს მათ ინსტრუქცია, ჩააგონოს კაბინეტში მოსვლის სარგებლობა და კაბინეტის საგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზატორების საშუალებით, სათანადო უჯრედებში უნდა მოაწყოს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკების კადრი.

მხოლოდ ამ გზით შესძლებს რაიონული კაბინეტი თავის გარშემო საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაკების მუდმივი აქტივის შექმნას, რაც არის აუცილებელი პირობა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გამოცდილების უფრო სისტემატიური აღრიცხვისათვის.

გ. ადამიანი.

ამხ. ს. დოლიძის ხსოვნას

ამაღლების თემის კომუნისტური ორგანიზაციის წევრები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ დაუღალავი აქტიური ამხანაგის ამხ. სოლომონ დოლიძის გარდაცვალების გამო.

თემკომი.

კომუნისტური პარტიის გურიის კომიტეტის და სამაზრო აღმასკომის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის, ძველი ბოლშევიკის ამხანაგ სოლომონ დოლიძის უდროოდ დაკარგვის გამო.

დავალებით როინიშვილი.

რიონჰესის სამუშაოთა მიმდინარეობა

(საუბარი სამუშაოთა მწარმოებელ ინჟ. ბ. მიქელაძესთან)

თბილისში ჩამოვიდა რიონჰესის სამუშაოთა მწარმოებელი ინჟ. ბ. მიქელაძე, რომელიც წინად ხელმძღვანელობდა ზაჰესის სააღმშენებლო სამუშაოებს. რიონის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ შ. მიქელაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— სადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ამჟამად სავსებით დასრულებულია.

აგებულია მუშათა საცხოვრებელი ბინები 1.500 კაცისათვის. ამ მხრივ ძალიან გვიწყობს ხელს ქალაქ ქუთაისის სიახლოვე, სადაც შეიძლება დავაბინაოთ 3.000 კაცი. წყალსადენი უკვე გაყვანილია ქომიდან სადგურის მთელ ტერიტორიაზე. მწვანე ყვავილაში აგებულია წყალსაქაჩი სადგური, საიდანაც წყალსადენის მილები დაგებული იქნება ყველა სამუშაოების მიმართულებით. დასრულდა გზების გადატანა სხვა ადგილებზე. იმ ადგილას, სადაც ამჟამად შენდება სადგური, გადიოდა რამოდენიმე გზატკეცილი, რომელზედაც მოძრაობა ხელს შეუშლიდა სამუშაოთა წარმოებას. ამიტომ ეს გზები გადატანილ იქნა სხვა მიმართულებებით. სამუშაოთა ტერიტორიაზე გაყვანილია ფართო ლიანდაგიანი რკინის გზის ხაზები, რომელთა საერთო სიგრძე აღწევს 2,5 კილომეტრამდე ვიწროლიანდაგიანი რკინის გზების საერთო სიგრძე კი აღწევს 2 კილომეტრამდე.

დასრულდა აგრეთვე ყველა გეოლოგიური გამოკვლევები. გამოკვლევებმა საუცხოვო შედეგები მოიტანა. გეოლოგიური გამოკვლევები ჩატარებულ იქნა—საგენერატორო სადგურის, მთავარი გვირაბის, მთავარი სადგურის და მთავარი არხის მიდამოებში. სულ ამოღებულია ჭაბურღილთა საერთო სიღრმე უდრის 1,5 კილომეტრს.

ამჟამად რიონჰესის სამუშაოთა შორის განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მთავარი ჯებირის აგების საქმეს. ეს საკითხი ერთერთი რთული საკითხთაგანია, რადგანაც მდ. რიონი წარმოადგენს განსაკუთრებული ხასიათის მდინარეს და მასზე ჯებირის გაკეთება ბევრ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ჯებირის გაკეთების საშუალებათა გამოსანახავათ ჩვენ მივმართეთ ზოგიერთ სპეციალისტებს. ჯერ-ჯერობით თავისი საშუალებები წარმოადგინა პროფ. კნორემ, რომელიც წინადადებას იძლევა ჯებირის ადგილას ავაგოთ ჰიდრავლიური ბეტონის კედელი ნახევარ წრეთ, შიგნით მომწყვდეული წყალი ამოვქაჩოთ და ავაგოთ ჯებირი განსაზღვრულ სიგრძეზე. შემდეგ ასეთივე საშუალებით მეორე მხრიდან დავიწყოთ მუშაობა და ამრიგათ გაკეთდება მთელი ჯებირი. მე, ამავე მიზნით წარვადგინე სხვა საშუალება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მდინარე გადაუშვათ სპეციალურად გათხრილ დიდ არხში.

სამუშაოთა სამმართველო ამოარჩევს ყველა საშუალებებთაგან უფრო შესაფერისს და შემდეგ ჯებირის აგების საქმე გაცემულ იქნება იჯარით. მეორე მთავარ საკითხს წარმოადგენს არხში წყლის დონის სარეგულაციო აუზის აგება. ამ მხრივაც სწარმოებს შესაფერისი მუშაობა.

ექსპორტის განსავითარებლათ

საექსპორტო რესურსების გამოკვლევის და საექსპორტო გეგმის შემუშავების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში ჩატარებული იქნა მთელი რიგი თათბირები.

საქართველოს ექსპორტის უმთავრეს საგანს, გარდა მარგანეცისა, შეადგენს თამბაქო (უპირველესად აფხაზეთის), ხე-ტყის მასალა, პარკი, აბრეშუმის ნაშთები და ხალიჩები.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებულ მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმით, დიდი ყურადღება ექნება მიქცეული ღვინის, მინერალური წყლების და სამთო-მრეწველობის (ლიტოგრაფიული ქვა, ინფუზორიის მიწა და სხ.) პროდუქტების ექსპორტის მოწესრიგებას.

განზრახულია ბევრი მეორე ხარისხოვანი პროდუქტების დამზადება ექსპორტის მიზნით. მეორე ხარისხოვან საგნებიდან დამზადებული იქნება: შეღებარული ყველი, ბუმბული, რქები, ჩლიქები, თხის მატყლი, ძროხის კუდი, შინამრეწველობის სხვადასხვა ნაწარმოებები და სხ.

საქართველოს ვაჭრობის კომისარიატის მიერ შემუშავებული საექსპორტო გეგმა განხილულ იქნა უმ. ეკონომსაბჭოსთან არსებული საექსპორტო თათბირის სხდომაზე 21 იანვარს. გეგმა დამტკიცებული იქნა თათბირის მიერ მცირე შესწორებებით.

ამავე თათბირმა დაავალა საქ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს საექსპორტო საგნების დამზადების მოწესრიგება. გამოყოფილი იქნა კომისია ფინსახკომისრის ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა საექსპორტო საგნების დამზადებათა ფინანსიურათ უზრუნველყოფა.

თათბირმა დაავალა საგეგმო სამმართველოს შეიმუშაოს ღონისძიებები ჩვენი საექსპორტო რესურსების გასადიდებლათ.

მუშათა ცხოვრება

გამოარკვიეთ ეს საქმე

(მთავარი სახელოსნო)

ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ გასული წლის 16 აგვისტოს გამოსცა ბრძანება № 3274, რომელიც ეხება პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების ჯილდოს მიცემის საკითხს. ბრძანებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ მთელ რიგ ჩამოთვლილ თანამდებობებთან ერთად აღნიშნული ჯილდო ეკუთვნის აგრეთვე საანგარიშო და კანტორის პერსონალსაც. მაგრამ ბრძანებას არავინ დაემორჩილა.

წლის ბოლოს, როდესაც დადგა ჯილდოს გაცემის დრო, სახელოსნოების ადმინისტრაციამ მოიწვია გამგეობის კრება და გამოიტანა დადგენილება, რომ ჯილდო მისცემოდათ მარტო ადმინისტრაციას და ტეხნიკურ პერსონალს. კანტორის მოხელეებს კი მიუხედავად მათი სამართლიანი თხოვნისა, უარი უთხრეს. ინჟენერმა კოროვკინმა სასტიკად გაილაშქრა კრებაზე ადმინისტრაციის უსამართლო მოქმედების წინააღმდეგ, მაგრამ ის მარტო აღმოჩნდა. ამიტომ მის საყვედურს არავინ ანგარიში არ გაუწია.

ამგვარად შეადგინეს სიები და ათი-ათასი მანეთი ძმურად გაინაწილეს. ეს საქმე კავშირმაც გაიგო. კანტორის მოხელეთა წარმომადგენლებს დაბეჯითებით დაპირდა კავშირი რომ ისინიც მიიღებდნენ აღნიშნულ ჯილდოს თანახმად ბრძანებისა, რაზედაც სათანადო საბუთი გასცა. მაგრამ ადმინისტრაციამ ფული უკვე მიიღო და კანტორის პერსონალი კი დარჩა ხაზა მშრალი.

საჭიროა ამ საქმეს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგან ჯერ არს და მიღებულ იქნეს ზომები ადმინისტრაციის ასეთი უსამართლო გადაწყვეტილების გასაუქმებლად. კანტორის თანამშრომლებსაც უნდა მიეცეს პროდუქციის თვითღირებულების გაიაფების ჯილდო. ეს არის ნათქვამი ბრძანებაში და უნდა გატარდეს იგი ცხოვრებაში.

დაჩაგრული.

ეს მოუხერხებელია

რკ. გზის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს სა ექსპლოატაციო და ტეხნიკური სტატისტიკის განყოფილება სამმართველოს შენობიდან გადაიტანოს ქსენიევის ქუჩაზე, ხოლო მის ალაგზე გადმოიყვანოს სხვა დაწესებულების ნაწილი, როგორიც არის საკავშირო სამსახური.

სტატისტიკა ემსახურება მთელ სამმართველოს. ის არის სამმართველოს სარკე მაძიებელი სისწორისა. ამიტომ სტატისტიკის სხვა შენობაში გადაყვანა ყოვლად შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ ტეხნიკური საორთქლმავლო სტატისტიკას უშუალო დამოკიდებულება აქვს სამექანიკო ნაწილთან.

რკ. გზის გამგეობამ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს, მიიღოს მხედველობაში, რომ საორთქლმავლო ტეხნიკურ სტატისტიკას წევის დარგის გარეშე არ შეუძლია არსებობა და ისე გადასწყვიტოს საკითხი ამ დარგის სამმართველო შენობიდან გადაყვანის შესახებ.

წყ—თ.

შპალების საღლენთი ქარხანა

(გორი).

ამ დღეებში ტფ. საუბ. კომიტეტმა მოიწვია გაფართოებული სხდომა ადმინისტრაციასთან ერთად, სადაც გორის შპალების საღლენთი ქარხნის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის უფროსმა, ამხ. **ედიგერმა.** შპალის გაღლენთის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ ნედლი მასალის თავის დროზე მიუწოდებლობით და კრეოზოტის უქონლობით ხშირად ფერხდება შპალების დამზადება. გარდა ამისა, კრეოზოტი ცუდი ხარისხისაა. მასალებიც ხშირად ცუდია, რადგან სამასალო სამსახურს არ ყავს სატყეო საქმის სპეციალისტები.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა, აღნიშნეს შპალ საღლენთი ქარხნის ნაკლულოვანებანი. დასასრულ თათბირმა გამოიმუშავა პრაქტიკული წინადადებები შპალ-საღლენთი ქარხნის მუშაობის გასაუმჯობესებლად. თათბირის დადგენილებით, ყურადღება უნდა მიექცეს მუხის შპალების დამზადების მეთოდების შესწავლას და აგრეთვე მასალების თავის დროზე მიწოდების საქმეს.

თათბირმა გამოარკვია, რომ კრეოზოტი ცუდი ხარისხისაა, რის გამო რკ. გზამ ნახა დიდი ზარალი. ამიტომ თათბირმა დაადგინა აღიძრას საკითხი, საბჭოთა კავშირის, შრომის და თავდაცვის საბჭოს წინაშე, რათა მან აანაზღაუროს ცუდი ხარისხის კრეოზოტით გამოწვეული ზარალი.

მუშკორების რწმუნებულთა არჩევნები,

მომჭირნეობაც ასეთი უნდა

რკინისგზის მთავარ საწყობის ადმინისტრაციამ გასული წლის 8 დეკემბერს, დილის სამუშაოზე გასული ოთხი მუშა შიკრიკთან ერთად გაგზავნა რკინისგზის სტამბაში 60 ცალი საკანცელარიო წიგნების მოსატანად. წიგნები მოიტანეს შუადღის მუშაობის დამთავრების ნახევარ საათით ადრე. ამ ოთხ მუშას დღიური ხელფასი უნდა მიეცეს არა ნაკლები 3 მან. და 75 კაპ. შიკრიკის ხელფასს გარდა 15 მან. შეადგენს. წიგნების მოტანა შეიძლებოდა ეტლით, რაზედაც დაიხარჯებოდა არა უმეტესი სამი მანეთისა. ოთხი მუშის გაცდენა ასეთ უბრალო საქმეზე,—ეს დაუდევრობაა.

საჭიროა მომავალში ასეთი წვრილმანითაც დავზოგოთ საერთო ქონება.

ლ. გვაზაველი.

უმოქმედო კლუბი

(ხაშური)

ხაშურში მუშათა რიცხვი თვალსაჩინოა! მათი კულტურული მოთხოვნილებაც დიდია, მაგრამ საუბედუროდ ხაშურის ერთად-ერთი რკ. გზელ მუშათა კლუბი ვერ აკმაყოფილებს მუშების კულტურულ მოთხოვნილებას. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ კლუბში თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, შემოდგომის შემდეგ კლუბთან არსებული ზოგიერთი წრეები უმოქმედონი არიან. განსაკუთრებით დრამატიულ წრეს, რომელიც ყველა წრეებზე უკეთესად უნდა მუშაობდეს, ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია.

კლუბის გამგეობა და რეჟისორი ხშირად პირდებიან მუშებს საღამო - წარმოდგენის გამართვას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება, საქმით კი არაფერი კეთდება. ხაშურის საუბნო კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

გეხრის.

მუშკორთა წერილებიდან

— **გაგვიხსენით პურის საცხობი.** კლარა-ცეტკინის ქუჩაზე, არსებობს მხოლოდ მუშკოოპის ერთი პურის საცხობი, რომელიც ოდნავათაც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას. ამის გამო მუშა-მოსამსახურენი იძულებული არიან მიმართონ კერძო მეპურეს, რომელიც ძალიან ცუდი ხარისხის პურს აცხობს. ასეთივე მდგომარეობაა წვრილმანით საჭვაჭროების მხრივაც. მუშკოოპის გამგეობავ, გახსენი აღნიშნულ ქუჩაზე კიდევ ერთი პურის საცხობი.

მუშა გალიპოლი.

— **ქუჩაში გამოაგდეს.** სტუდენტთა საპარიკმახეროში მუშაობდა სამი კაცი. ორმა მათგანმა შეკრეს პირი და მოინდომეს მესამე, მოხუცებულ პარიკმახერის თავიდან მოშორება. ამ მიზნით თითქმის ყოველდღე ეჩხუბებოდენ მას და ათასგვარ შეურაცყოფასაც აყენებდენ. ბოლოს მიზანი სისრულეში მოიყვანეს და მოხუცებული პარიკმახერი ქუჩაში გამოაგდეს. სტუდენტთა ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ხ.-ტ-ძე.

— **ყურადღება მოგვაქციეთ.** რკ. გზის საშემოსავლო ნაწილში ვმუშაობთ ორი დარაჯი, რომლებიც ვაკეთებთ ოთხი კაცის საქმეს. სამუშაოზე გამოვდივართ დილის 5 საათზე და მუშაობას ვამთავრებთ 4 საათზე. გარდა ამისა, მესამე სართულზე ზურგით ვეზიდებით აუარებელ შეშას. ადგილკომს ბევრჯერ მივმართეთ ამ აუტანელ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს. საუბნო კომიტეტო, შენ მაინც მოგვაქციე ყურადღება.

მნახველი.

— **მაშ რათ დაგვიბარეთ?** ამას წინათ შესდგა სად. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც გაკეთებული იყო მოხსენება დარგში მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენების ირგვლივ სადგურის მუშებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზრი, მაგრამ ამხ. არაბიძემ არ მისცა ამის უფლება რადგან, ეს საკითხი კონდუქტორებს შეეხებათ და არა მესრებს"-ო. თუ ასე იყო მაშ რათ დაიბარეთ კრებაზედ.

წითელი ნაპერწკალი.

— **სად არის გამგე.** (შავი ზღვის რკ. გზა). შავი ზღვის რკინის გზის საუბნო კომიტეტთან არსებულ სამკითხველოს გამგეს თავის დღეში ვერ ნახავთ თავის ადგილში. ის უფრო მეტათ დახეტიალობს სოფელში და სამკითხველოს კარებს კი დიდი ბოქლომი ადევს. საუბნო კომიტეტო სად არის სამკითხველოს გამგე, რატომ არ მოსძებნი მას.

იდემელი.

ორი დღესასწაული

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელი არმიის 10 წ. თავისათვის

განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელი არმიის 10 წლის თავის დღესასწაულების ჩატარების გეგმა ყველა ტიპის სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

გეგმის მიხედვით სკოლებში სადღესასწაულო კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო ცოდნისა და თავდაცვა-ავიაქიმის საკითხებს. სკოლებში მოეწყობა ლექცია-მოხსენებები, რომლებზედაც ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული საქართველოს სამეურნეო და კულტურული მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის დროს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მოწაფეებმა ფართოდ უნდა გაიცნონ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საწარმოო ძალთა განვითარების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ქვეყნის ელექტროფიკაციისა და სახალხო განათლების საქმეში.

განსაკუთრებით მომხსენებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ მოხსენებებში მენშევიკების დროს ამიერ-კავკასიის ერებს შორის არსებულ შუღლს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძმურ ურთიერთობის განმტკიცებას მათ შორის.

აგრეთვე ვრცლად უნდა იქნეს გაშუქებული წითელი არმიის მიღწევები და მისი გმირული ბრძოლები პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად.

მომხსენებლებს ევალებათ აგრეთვე აღნიშნონ შეგნებულ წითელ არმიელის შეგნებული მონაწილეობა სოფლის მეურნეობაში, შეადარონ წითელ-არმიელი მეფის დროინდელ ჯარისკაცებს, რომელსაც ამახინჯებდა რეაქციონური წესწყობილება, უნერგავდა მშრომელი ხალხის სიძულვილს და სახლში აბრუნებდა ვენერიულ სნეულებებით დაავადებულსა და გალოთებულს.

აგრეთვე გაშუქებული უნდა იქნეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარება კოლექტიურ საფუძვლებზე, ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება და მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი მუშაობა ამ საქმეში.

შრომის სკოლების უფროს ჯგუფებში, სპეციალურ ტეხნიკუმებსა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში ეს საკითხები დამუშავებული უნდა იქნას წინასწარ, მორიგ მუშაობის წესით, საზოგადოებათ-მეცნიერების გაკვეთილებზე და შემდეგ ჩატარდეს მოხსენებები. მოხსენებებს გააკეთებენ მასწავლებლები, უფროსი ჯგუფის მოსწავლეები და წითელი არმიის წარმომადგენლები. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოხსენებები განსაკუთრებით უნდა შეეხებოდეს სოფლის მეურნეობის დარგებს და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს სოფლად.

დღესასწაულების ჩატარების დროს, მოხსენებათა გარდა, მოეწყობა დილა და საღამოები, პიონერთა გამოსვლები და მოგონებები დაღუპულ რევოლიუციონერებზე, საზეიმო საღამო-წარმოდგენებზე მოწვეული უნდა იქნენ მოწაფეთა მშობლები და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღესასწაულების დღეს სკოლები მორთული უნდა იქნენ დროშებით, ცოცხალი ყვავილებით, პლაკატებით, რევოლიუციის ხელმძღვანელთა სურათებით და სხ.

აგრეთვე უნდა მოეწყოს მიღწევათა გამოფენები. მასწავლებლებმა და მოწაფეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთო დემონსტრაციებში, მიტინგებში და მასიურ გამოსვლებში.

შავი ზღვის რკინისგზა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეადგინა სპეციალური მოხსენება შავი ზღვის რკინისგზის დამთავრების შესახებ და განსახილველად წარუდგინა საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიას. ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია თავის მოხსენებაში მოითხოვს, რათა შავი ზღვის რკ. გზ. დამთავრების საკითხი შეტანილი იქნეს ს. ს. რ. კავშირის მეურნეობის 5 წლიან პერსპექტიულ გეგმის მაქსიმალურ ვარიანტში.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისია შავი ზღვის რკინისგზის დამთავრების შესახებ წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ამ გზას უმთავრესად ექნება სატრანზიტო ხასიათი და მისი გაყვანით მანძილი ამიერ-კავკასიისა და ჩრდილოეთ-კავკასიამდე (თბილისის მაზრისათვის) შემოკლდება 628 კილომეტრით, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის 900—1000 კილომეტრით.

ამავე დროს ამ გზის დამთავრება გამოიწვევს გზის მახლობელ რაიონებში სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის არაჩვეულებრივ განვითარებას. ამჟამად გაყვანილია გზა 150 კილომეტრზე, გასაყვანი დარჩა 200 კილომეტრამდე, რომლის გასაყვანად საბოლოოდ შემუშავებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭირო იქნება 65 მილიონი მანეთი.

ამასთან ერთად ა.-კ. საგეგმო კომისია, გზათა სახალხო კომისარიატის საძიებო ექსპედიციის მიერ წარმოებულ ფრთხილ ეკონომიურ გამოკვლევებზე დამყარებით, მიუთითებს, რომ შავი ზღვის რკინისგზის ექსპლოატაცია მოძრაობის გახსნის პირველ წელსავე იქნება მომგებიანი.

ამ გზის გაყვანა, მანძილის შემოკლების გამო, გამოიწვევს 50 ორთქლმავალის, 45 სამგზავრო და 1900 საბარგო ვაგონის განთავისუფლებას, რაც სატრანზიტო გადაზიდვაზე ეკონომიასთან ერთად სახელმწიფოს, მოძრაობის გახსნის პირველ წელსავე, ე. ი. 1930—31 წელს, მისცემს 85.000.000 მანეთის ეკონომიას.

ამგვარათ, ა.-კ. საგეგმო კომისიის აზრით, გზის გასაყვანად გაწეული ხარჯი 65 მილიონი, მოძრაობის გახსნის პირველ წელსვე მოგვცემს 7,7 პროცენტს დანაზოგს.

ამასთან ერთად ა.-კ. საგეგმო კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შავი ზღვის რკინისგზის დამთავრება უსათუოდ რენტაბელური წამოწყებაა და გაცილებით საჭირო, ვიდრე ამჟამად დაწყებული საკავშირო რკინისგზის სხვა ხაზები და მისი დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა ტვირთისა და მგზავრების გადაზიდვის მანძილის შემოკლებასა და დაჩქარებაში მდგომარეობს.

თავის მოხსენების დასასრულში, ა.-კ. საგეგმო კომისია დაასკვნის, რომ შავი ზღვის რკინისგზა უსათუოდ დამთავრებული უნდა იქნას 5 წლის განმავლობაში. ამ გზის დამთავრება დიდ როლს ითამაშებს ამიერ-კავკასიის და მოსაზღვრე ქვეყნების სახალხო მეურ-

სააქციო საზოგადოებები

ამიერ-კავკასიის ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ.

იმ სააქციო საზოგადოებების წესდებებს, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო დაწესებულებები ანდა წარმოებები, ანდა რომლებშიაც მონაწილეობენ ორ ან სამ რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებები ანდა წარმოებები, ამტკიცებენ: სამრეწველო სააქციო საზოგადოებების წესდებებს—ამ.-კავკ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო, საკრედიტო სააქციო საზოგადოებების წესდებებს—ა. კ. ფინსახკომი და სხვა სააქციო საზოგადოებების წესდებებს—ამ.-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. იმ სააქციო საზოგადოებების წესდებებს რომლებშიაც მონაწილეობენ ერთი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებანი და წარ.-ბები, თუ ამ საზოგადოებების გამგეობა აღნიშნული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება, ამტკიცებენ: სამრეწველო სააქციო საზოგადოებების წესდებებს—სათანადო რესპუბლიკის ს. მ. უ. ს., საკრედიტო სააქციო საზოგადოებების წესდებებს—ფინსახკომი და დანარჩენ სააქციო საზოგადოებების წესდებებს—ამ.-კავ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული.

იმ საამშენებლო და საკრედიტო სააქციო საზოგადოებების წესდებებს, რომელთა სამოქმედო რაიონი სცილდება ერთი რესპუბლიკის ფარგლებს, ამტკიცებენ ამ.-კავ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ანდა ამ.-კავკ. ფინსახკომი კუთვნილებისამებრ.

საქ. ცაკში

პენსიების დარიგება

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დამსახურებულ რევოლიუციონერებს, მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, და საზოგადო მოღვაწეებს, შრომის და ომის ინვალიდებს, იანვრის ანგარიშში პენსიების სახით დაურიგა 17.712 მანეთი. ამაში არ შედის ის თანხა, რომელიც განყოფილებამ ერთდროული დახმარების სახით გასცა ამავე თვეში.

ახალციხის მაზრის გლეხკომების მუშაობა

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით, გასულ 1927 წელში ახალციხის მაზრაში გლეხკომებმა ღარიბ გლეხებს, შრომის და ომის ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს დახმარების სახით დაურიგეს 10.500 მანეთი და 50 კაპ. ახალციხის სამაზრო გლეხკომმა თავის ხელში აიღო სატრანსპორტო საქმე მთელს მაზრაში და შეიძინა 6 ფურგუნი და 18 ცხენი. საერთოდ ახალციხის მაზრაში სატრანსპორტო საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად სამაზრო გლეხკომმა, წარსულ წელს დახარჯა 11.500 მანეთი.

ამასთანავე სამაზრო გლეხკომმა საფუძვლიანად შეაკეთა ამხ. **ლ. ქართველიშვილის** სახელობის ხე-ტყის ქარხანა. ქარხნის შეკეთებაზე გლეხკომმა დახარჯა 13.000 მანეთი. სამაზრო გლეხკომი აგრეთვე აწარმოებს შეშის დამზადებას. ახლა ხანში ის დაამზადებს 1.000 საჟენ შეშას, რომლის ნაწილს გლეხკომი უფასოდ დაურიგებს ქვრივ-ობლებს, ინვალიდებს და წითელ არმიელების ოჯახებს, ხოლო მეორე ნაწილს იაფ-ფასებში გაუნაწილებს გლეხებს.

გორის სამაზრო გლეხკომის მუშაობა

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით, გორის სამაზრო გლეხკომმა გასული წლის უკანასკნელ 3 თვეში ინვალიდებს, ობლებს და ქვრივებს დახმარების სახით დაურიგა 850 მანეთი. ამავე ხნის განმავლობაში ღარიბეს გლეხებს თავიანთ მეურნეობის გასაუმჯობესებლად ასესხა 6.900 მანეთი. სხვადასხვა კულტურულ და საზოგადო დაწესებულებებს დახმარების სახით მისცა 2.000 მანეთი. ამას გარდა, გლეხკომმა თავის ხარჯზე კოპერატივის სრულუფლებიან წევრებათ ჩასწერა 390 ღარიბესი გლეხი.

ეკონომიურ საბჭოში

მანქანა - იარაღების განაწილების შესახებ

საქართველოს საჭიროებისათვის საზღვარგარეთიდან შემოზიდული მანქანა-იარაღების განაწილების პროექტის შედგენა დაეკისრა სმუსაბჭოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს წარმომადგენლის მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება ეკონომიურ საბჭოს საგეგმო კომისიის მეშვეობით.

შრომის ხელფასის მომწესრიგებელი კომისია

შრომის სახ. კომისარიატის მოხსენების თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შრომის ხელფასის მოსაწესრიგებლად დაარსებულ იქნა კომისია ამხ. **ი. ჰელიძის** (თავმჯდომარე), **მათვეევის** (მ.-გ. ინსპექციიდან), **გოდაბრელიძის** (პროფსაბჭოდან) და **მ. ჯაფარიძის** (ფინსახკომიდან) შემადგენლობით.

სავეტერინარო - სასანიტარო ღონისძიებათა გატარება ტრანსპორტზე

ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა საგეგმო კომისიის დასკვნა, ა.-კ.-ის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში, ტრანსპორტზე სასანიტარო-სავეტერინარო ღონისძიებათა გასატარებლად გადებული 195.000 მან. განაწილების შესახებ.

თათბირის მოწვევა გზების გამოკვლევის მიზნით

ნება მიეცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გამოკვლევის მიზნით მოიწვიოს სამაზრო აღმასკომების და ავტონომიური ერთეულების წარმომადგენელთა თათბირი ა.-წ. თებერვლის შუა რიცხვებში.

გორი - ონის გზატკეცილის გაყვანა

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს მოახდინოს გორი-ონის გზატკეცილის გაყვანის გამოკვლევა, შეადგინოს სათანადო პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა და ხსენებული გზის გაყვანის პროექტი, ეკონომიურ დასაბუთებასთან ერთად წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს ა.-წ. ივნისის შუა რიცხვებისა.

საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა პროფკავშირის 10 წ. თავი

წელს შესრულდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფესიონალური კავშირის არსებობის ათი წლის თავი. კავშირის ჩამოყალიბების თარიღად უნდა ჩაითვალოს 1918 წელი. ამ წლის გაზაფხულზე შესდგა რუსეთის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა პირველი ყრილობა, რომელმაც აირჩია სრულიად რუსეთის სახ. მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური საბჭო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მოწვეულ იყო სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კონფერენცია, რომელზედაც გამოტანილ იქნა პირველი დადგენილება სავაჭრო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესახებ. 1919 წელს საბჭოთა დაწესებულებების მუშაკები ცალკე ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი, მაგრამ აღნიშნულ წელს მაისში კვლავ მოწვეული სავაჭრო მუშაკების მეორე საგანგებო ყრილობა, რომელმაც დაადგინა გაერთიანებულიყო საბჭოთა მუშაკებთან ერთად მთლიან პროფესიონალურ კავშირში. ამნაირად ჩამოყალიბდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების გაერთიანებული პროფკავშირი.

თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე კავშირს მრავალი მიღწევები აქვს. თუ კავშირის არსებობის პირველ წლებში წევრთა რიცხვი არ იყო დიდი, ამჟამად კავშირი აერთიანებს 1.217.315 წევრს. საშუალოდ კავშირში გაერთიანებულია საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა საერთო რიცხვის 90 პრ. პროფესიონალური აქტივი, რომელიც ჩაბმულია აქტიურ პროფესიონალურ მუშაობაში, შესდგება პროფკავშირის 200.000 წევრისაგან.

კულტურული მუშაობის დარგში აღსანიშნავია კლუბებისა და წითელი კუთხეების რიცხვის ზრდა. სულ მთელ საბჭოთა კავშირში ამჟამად არსებობს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების 161 კლუბი და 6.545 წითელი კუთხე.

დაარსებულია აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებათა და კანტორების მუშაკთა მოსამზადებელი 60 სკოლა. კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ეკონომიურ საქმიანობას. სულ დაარსებულია 9.172 ეკონომ. კომისია, რომელშიაც მუშაობს კავშირის 37.500 წევრი.

ეკონომიური მუშაობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კავშირის წევრთა ხელფასი გაიზარდა 43 პროცენტით.

დიდი მიღწევები აქვს კავშირს აგრეთვე ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებში.

ა.-კ. რკინის გზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეხუთე პლენუმი

საზეიმო სხდომა

გუშინ საღამოს პლეხანოვის სახელობის რკინის გზელთა კლუბში გაიხსნა ამიერ-კავკ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეხუთე პლენუმი.

ეს პლენუმი იკრიბება რკინისგზელთა პროფკავშირის არსებობის ათი წლის თავზე. ამის გამო გუშინდელ სხდომას ჰქონდა საზეიმო ხასიათი. სხდომას გარდა კომიტეტის წევრებისა დაესწრნენ სპეციალურად მოწვეული სტუმრები და კავშირის აქტიური წევრები.

სხდომა გახსნა საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ნ. უსტიაშვილმა, რომელმაც წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.

თავის სიტყვაში ამხ. უსტიაშვილი შეეხო ტრანსპორტის მდგომარეობას, გაავლო პარალელი მის მდგომარეობას შორის საბჭოთა ხელისუფლებამდე და მის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ამიერ-კავკ. რკ. გზის პროლეტარიატმა გასაბჭოებისას მიიღო დანგრეული ტრანსპორტი და შეუდგა მის აღდგენას. ამაში მას მრავალი ტეხნიკური დაბრკოლებები ეღობებოდა წინ, მაგრამ საერთო ძალღონით და ენერგიული მუშაობით შესაძლებელი გახდა ტრანსპორტის არა თუ აღდგენა, არამედ იმდენად განვითარება, რომ ტრანსპორტის მუშაობამ უკვე გადააჭარბა ორი წინა პერიოდის მუშაობას.

დასასრულ ორატორი ამბობს, რომ ამიერ-კავკ. რკ. გზის პროლეტარიატს მაღლა უჭირავს ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების და შრომის დროშა და მას მიიტანს დასახულ მიზნამდე.

მისალმებები

ამხ. უსტიაშვილის სიტყვის შემდეგ, სხდომის მეორე ნაწილი მიეძღვნა მისალმებებს.

მისალმებებით გამოვიდნენ: ამხ. **სიკინჭილაშვილი,** (ამიერ-კავკ. პროფსაბჭო), **აკიმოვი** (ამიერ-კავკ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოება), ინჟ. **ბერიძე** (ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობა), **ჯოჯარჯიძე** (მთ. სახელოსნოების მუშა), **კუპრაშვილი** (ძველი რკინისგზელი მუშა), **გუდაჯაძე** (საქ. კ. პ ლენრაიკომიდან), **სტრუკოტოვი** (მთ. სახელოსნოებიდან), **ტოროშანოვას ქალი** (რკინისგზელ ქალების სახელით), **ადამაშვილი** (ახალგაზრდების სახელით), **ექშაკერდოვი** (ამიერ-კავკ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებიდან), **დეკდარიანი** (მოძრაობის დარგის მოსამსახურეების სახელით) და **მელაშვილი** (თბილისის დეპოს მუშების სახელით).

ყველა ორატორებმა აღნიშნეს პროფკავშირის უდიდესი როლი რკ. გზის ტრანსპორტის აღდგენის საქმეში და უსურვეს მას წარმატებები მომავალ მუშაობაში.

კერძოთ ამხ. **გუდაჯაძემ** თავის სიტყვაში მოიგონა ბრძოლაში დაღუპული რკინისგზელები, რომელთაც თავი დასდვეს მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისათვის. კრებამ მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით სცა პატივი.

მისალმებებით დამთავრდა სხდომა. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

პლენუმი საქმიან მუშაობას შეუდგება დღეს. პირველი სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზე საგზაო კომიტეტის შენობაში.

სისხლის სამართლის მილიციის მუშაობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ამხ. **გრ. თოფურიამ** მილიციის მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

გასული წლის განმავლობაში სისხლის სამართლის მილიცია გაცხოველებულ ბრძოლას აწარმოებდა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგი ფრიად ნაყოფიერია. წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ბოროტმოქმედებათა რიცხვი.

1927 წლის განმავლობაში წარმოებაში მიღებულ იქნა 3.699 საქმე.

დიდი ყურადღება ექცეოდა თანამდებობრივ დანაშაულობასთან ბრძოლას. თანამდებობრივი დანაშაული სულ იყო 248; ამ ჯგუფის საქმეებიდან გამორკვეულია 229 საქმე.

წარმოებაში მიღებულ იქნა აგრეთვე ქონებრივ დანაშაულის 2.569 საქმე; გამორკვეულია 1.524 საქმე.

დანარჩენ დანაშაულობათა შესახებ მიღებულ იქნა 691 საქმე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეპყრობილ და აყვანილ იქნა აღრიცხვაზე 1925 ბოროტმოქმედი.

ბოროტმოქმედთაგან ექვსამდე რეგისტრაცია აქვს 1835 კაცს, ხოლო ექვსზე მეტი—90 კაცს.

ეროვნების მიხედვით ბოროტმოქმედთაგან 490 ქართველია; 422 რუსი; 644 სომეხი; 126 თათარი; 243 სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი.

საერთოდ ამ ერთი წლის განმავლობაში სისხლის სამართლის მილიციის მიერ გამორკვეულია ბოროტმოქმედებათა 72 პროცენტი ე. ი. 2582 საქმე.

საანგარიშო ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა დაქტილოსკოპიური აპარატი, გერმანული კონსტრუქციის ფოტოაპარატის ხელსაწყოები და სხვა.

ტარდება ცხოვრებაში დაქტილოსკოპიური მეთოდით ბოროტმოქმედის გამოცნობა; რაიც მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ბოროტმოქმედთა შეპყრობა—გამოცნობის საქმეში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე მაძებარი ძაღლები.

ენერგიული ზომებია მიღებული თანამშრომელთა კულტურული დონის ასამაღლებლად მაგრამ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაფართოება.

ამგვარად, სისხლის სამართლის მილიციის მუშაობა ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. მომავალში უზენაესი ორგანოების დახმარებით ჩვენ შევსძლებთ შემჩნეულ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას.

სასამართლო

ქალის გატაცება

ალექსი დიდებაშვილმა თავი მოაწონა პელაგია ა—ძის ქალს, რომელსაც მუდამ ეჩიჩინებოდა სიყვარულზე და ცოლად გაყოლაზე.

ქალს ცუდი გაკვეთილი ჰქონდა მიღებული პირველ ქმრისაგან და მაინც და მაინც არ ზრუნავდა გათხოვებაზე, მით უმეტეს დიდებაშვილთან ცხოვრებას სიკვდილს ამჯობინებდა.

ალექსი დიდებაშვილმა თავისი ძმების პეტრეს, დავითის და მეგობარ გიორგი წიკლაურის დახმარებით მოახერხა ქალის მოტაცება.

ეს ამბავი მოხდა 23 ივლისს გომბორის თემში.

პელაგია ა—ძის ქალი ცხენით მიდის [illegible]. ტყის მახლობლად მას აჩერებენ დავით, პეტრე დიდებაშვილები და გიორგი წიკლაური. მუქარით გადმოსვეს ცხენიდან და მიჰყავთ ტყეში, სადაც მათ ელოდება ალექსი დიდებაშვილი.

ალექსი დიდებაშვილმა 3 დღე და ღამე ტყეში გაატარებინა ქალს. შემდეგ ქალმა აცნობა ამბავი მილიციას და ოთხივე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

საქმე მალე გაირჩევა.

„ზედმეტად დატვირთული"

მოქ. ალექსანდრე ღლონტი მუშაობდა წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყარაიაზის განყოფილებაში 1924 წლიდან.

ის იყო სამეურნეო ნაწილის გამგე, მოლარე, მოანგარიშე და საქმის მწარმოებელიც. ერთის სიტყვით, მეტი „დატვირთვა" შეუძლებელია.

თქვენც წარმოიდგენთ, როგორ წაიყვანებოდა ასეთ პირობებში დაწესებულების საქმე.

ალექსანდრე ღლონტს „დააკლდა" 1449 მანეთი. წიგნებში გაუტარებელი აღმოჩნდა 3000 მანეთი.

ასე შესრულა ღლონტმა ოთხი თანამდებობა.

— მე რა შუაში ვარ, გაედიდებიათ შტატი და ყველაფერი რიგზე იქნებოდა,—უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკობდა სასამართლოში ღლონტი.

ღლონტს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და 20 დღით. ამნისტიით სასჯელი განახევრდა.

გერასიმე გასპაროვის საქმე

1926 წლის თებერვლიდან **გერასიმე გასპაროვი** იყო „იზვესტია"-ს გამომცემლობის ა.-კ. განყოფილების აგენტად. ღებულობდა ხელის მომწერლებიდან ფულებს, რაც უნდა წარედგინა სალაროში.

1927 წელს ხელისმომწერლებმა აღძრეს საჩივარი განყოფილების წინაშე, რომ გაზეთებს და ჟურნალებს არ ღებულობენ, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინდაწინ აქვთ ფული გადახდილი.

თურმე, რას მიიღებდნენ, როცა სალაროში ფული არ შედიოდა და თუ შედიოდა სამჯერ და ოთხჯერ ნაკლები, ვინემ ხელისმომწერი იხდიდა.

მაგალითად, ხელისმომწერმა გადაიხადა 10 მან. 75 კაპ., გასპაროვი მას ქვითარში უწერს სრულად მიღებულ თანხას, ხოლო სალაროში წარსადგენ ტალონში სწერს 2 მან. 75 კაპ. 8 მანეთი კი მიდის გასპაროვის ჯიბეში.

ასეთი ყალბი ქვითრები გასპაროვს მრავალი აღმოაჩნდა.

გასპაროვს მოუსწრია 106 მანეთის გაფლანგვა დაპატიმრებამდე.

საქმე გადაეცა თბილისის მაზრის სასამართლოს.

შერ.

თბილისი უზრუნველყოფილია პურით

(საუბარი ა.-კ. ვაჭრობის კომისარ ამხ. ბეკზადიანთან)

უკანასკნელ დღეებში თბილისში ადგილი ჰქონდა გამომცხვარი პურის ნაკლებობას, რამაც მოქალაქეებში დაბადა ერთგვარი შიში. პურის საცხობებთან გაჩნდა „კუდები". ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ა.-კ. ვაჭრობის კომისარს—**ამხ. ბეკზადიანს,** რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— უკანასკნელ დღეებში შესამჩნევად გაუმჯობესდა ამიერ-კავკასიაში პურის ფქვილის შემოზიდვის საქმე. განსაკუთრებით იმატა პურის შემოზიდვამ გასულ თვეებთან შედარებით და შეიძლება ითქვას, რომ თბილისი, კერძოთ ამჟამად სავსებით უზრუნველყოფილია პურის საჭირო რაოდენობით. უნდა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ა.-კ. რკ.-გზებზე სიმინდის შემოზიდვის საკონვენციო ნორმების გაუქმების გამო შესამჩნევად იმატა სიმინდის შემოზიდვამაც, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიიდან. შემოზიდული სიმინდის რაოდენობა დაუყოვნებლივ ნაწილდება ამიერ-კავკასიის იმ რაიონებში, სადაც სიმინდის ცუდი მოსავალი იყო.

რაც შეეხება ა.-კავკასიის მსხვილი ცენტრების და მუშათა რაიონების დაკმაყოფილებას პურით—ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო შესაფერი ზომები, რომ იანვარში შემოტანილი პურის რაოდენობიდან გამოიყოს ამ ქალაქებისათვის საჭირო პურის რაოდენობა. იმ მიზნით, რომ მომავალში დაუბრკოლებლივ იწარმოოს ამიერ-კავკასიაში პურის შემოზიდვამ, ა.-კავ. ვაჭრობის კომისარიატთან [illegible] თანახმად საბჭ. კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა განკარგულება მისცა პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს, რომ თებერვლის ანგარიშში გამოგზავნონ ა.-კავკასიაში 1.350.000 ფუთი ხორბალი. ამ რაოდენობიდან ბაქოს წისქვილებზე გადასაფქვავად უკვე მიღებულია 600.000 ფუთი, ხოლო დანარჩენი დაიფქვება ჩრდილოეთ კავკასიის წისქვილებზე.

იანვრის განმავლობაში ა.-კ.-ში შემოზიდული იქნება 1.600.000 ფუთი პური და 700.000 ფუთზე მეტი სიმინდი. ხორბლეულის ეს რაოდენობა სავსებით აკმაყოფილებს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მოთხოვნილებას.

ის მოვლენა, რომელსაც ამ დღეებში ადგილი ჰქონდა თბილისში,—განაცხადა საუბრის ბოლოს ამხ. ბეკზადიანმა,—გამოწვეულია პურის საცხობ და ფქვილის განმანაწილებელ ორგანიზაციების საორგანიზაციო ხასიათის დეფექტებით. იმ დროს, როდესაც თბილისში არა თუ საკმაო, არამედ ზედმეტი რაოდენობის ფქვილია, ასეთი მოვლენა უნდა ჩაითვალოს არანორმალურად და დაუშვებლად.

იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს პურის ხელოვნურად გამოწვეულ ნაკლებობას, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო შესაფერისი ზომები. თბილისი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ნამცხვარი პურით.

სამრეწველო მშენებლობა

ახალმშენებათა კომიტეტის მთავარმა ინჟინერმა ალ. კანდელაკმა საქართველოში სამრეწველო მშენებლობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ახალმშენებათა კომიტეტი განაგებს ყველა იმ ფაბრიკა-ქარხნების აგების საქმეს, რომლებიც კი შენდება რესპუბლიკაში. ახალ განზრახულ ქარხნებიდან აღსანიშნავია კასპში ცემენტის ქარხნის აგება და გორის მაზრაში რამოდენიმე ხილის სახმობი ქარხნის მოწყობა.

ცემენტის ქარხნის აგებას შეუდგებით სულ ახლო ხანში, სააღმშენებლო სეზონის დაწყებისთანავე. ამჟამად კი მიმდინარეობს წინასწარი, მოსამზადებელი ხასიათის მუშაობა, როგორიცაა სააღმშენებლო მასალის მოზიდვა, ქარხნის ასაგები მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, მუშათა საცხოვრებელ დროებით ბინების მოწყობა და სხვ.

კასპის ცემენტის ქარხანა იქნება ერთი უდიდესი ნოვოროსისის ქარხნების შემდეგ. წლიურად იგი დაამზადებს 7 მილიონ ფუთ ცემენტს.

ცუდი ამინდების გამო უკანასკნელად ძალიან შესუსტდა მუშაობა დიდუბის მაუდის ფაბრიკის ასაგებად. ეხლა იქ უნდა სწარმოებდეს ბეტონის სამუშაოები, მაგრამ ყინვების გამო ეს სამუშაოები შეჩერებულია. სამაგიეროდ გაცხოველებით მიმდინარეობს ფაბრიკის სავენტილაციო სარდაფის მოწყობა. ვენტილიაციის საქმე ამ ფაბრიკაში ისე იქნება მოწყობილი, როგორც ევროპისა და ამერიკის საქსოვ ფაბრიკებშია. ფაბრიკასთან გაიხსნება ორი განყოფილება: [illegible] ნაქსოვთა (შევიოტები, კოვერკოტები და სხვ.) და მაუდის, ქარხნის მოწყობილობა გამოწერილია ინგლისის საუკეთესო ფირმებიდან და ქსოვის ტეხნიკაც ისეთი იქნება, როგორიც ევროპის საქსოვ ფაბრიკებში.

ხილის სახმობი ქარხნის აგება გორის და ახალციხის მაზრებში წარმატებით მიმდინარეობს. ქარხნების მოწყობილობა უკვე მიღებულია და ამ დღეებში მოხდება მათი გადაზიდვა ქარხნების ასაგებ ადგილებზე.

მიღებულია აგრეთვე რძის პროდუქტების გადასამუშავებლად ქარხნების და კაკლის ხარჩევი ქარხნის მანქანებიც. მიღებულ მანქანების დადგმას შეუდგებით თებერვლიდან.

ქრონიკა

მისალმება

განათლების სახ. კომისარიატმა თელავიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა. „თელავის განათლების კავშირის მუშათა მეშვიდე სამაზრო კონფერენცია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა ხელისუფლებას განათლების კომისარიატის სახით, და აღუთქვამს, რომ მთელი ენერგიით იმუშავებს განათლების ფრონტზე საბჭოთა ღირსეულ მოქალაქეების აღსაზრდელად".

პური ამ.-კავკასიისათვის

ჩრდილო-კავკასიის რკინის გზა ატყობინებს ა.-კ. რკინის გზას, რომ იქ თავი მოუყრია ამიერ-კავკასიისათვის გამოგზავნილ 2.000 ვაგონ პურეულის ტვირთებმა.

ამის გამო ჩრდილო-კავკასიის რკ. გზა სთხოვს ა.-კ. რკ გზას გაადიდოს პურის ტვირთების მიღება—350 ვაგონამდე დღე-ღამეში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქიმიურ თავდაცვის** დარგში ქიმ-ინსტრუქტორების მოსამზადებელ კურსების მოსაწყობად აღმასკომმა გადასდო 500 მან.

◆ **ვერის ხიდიდან.** კარლ მარქსის ხიდამდე სანაპირო გზატკეცილის გასაყვანად დამატებით გადაიდო 50.000 მან.

◆ **წყალსადენი.** სოფ. ზაგეში წყალსადენის გასაყვანად გადაიდო 1000 მანეთი.

◆ **აბანოების შესაკეთებლად** კომუნალურ მეურნეობას გადაეცა 26.419 მანეთი

სასოფლო პროდუქტების დამზადება

◆ **კაკლის მორები.** სატყეო ტრესტი წელს საზღვარგარეთ გაიტანს 280.000 მან. კაკლის ხის მორებს.

◆ **ღვინო.** წელს გასაღებლად სულ დამზადებული იქნება 1.130.000 ვედრო ღვინო.

◆ **კვერცხი.** მიმდინარე წელში საზღვარგარეთ და მოკავშირე რესპუბლიკებში გასატანად დამზადებული იქნება 42 ვაგონი კვერცხი.

◆ **რძის პროდუქტები.** სხვადასხვა ორგანიზაციები წელს საქართველოში გასასაღებლად დაამზადებენ 1.235.000 მანეთის რძის პროდუქტებს.

დამატებითი სარენტო გადასახადი

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეუწონლად სცნო ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწების 1926—27 წ. დამატებითი სარენტო გადასახადით დაბეგვრა.

მოძრავი კინო

პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ გასული წლის დეკემბერში სიღნაღის მაზრაში გაგზავნა მოძრავი-კინო გლეხებისათვის სასოფლო - სამეურნეო და რევოლიუციონურ შინაარსის სურათების საჩვენებლად. კინომ უკვე მოიარა მუკუზანი, ჩუმლაყი, გურჯაანი, ვეჯინი და სხ. სურათების ჩვენებას ყველგან დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

მიწსახკომში

◆ **ბამბის მეურნე** გლეხებისათვის დასარიგებლად მიწსახკომი იძენს სას.-სამ. იარაღ-მანქანებს.

◆ **ფილოქსერისაგან** განადგურებულ ვენახების აღსადგენად მიწსახკომმა დაადგინა მევენახე გლეხებს მისცეს სესხი.

◆ **ბაღის და ბოსტნების მავნებლების** წინააღმდეგ, მიწსახკომი გაზაფხულზე ადგილებზე ჩაატარებს ბაღ-ბოსტნების სანიმუშო წამლობას.

◆ **მეცხვარეთა კომუნებში.** მიწსახკომმა დაადგინა შეუდგეს წვრილ მეცხვარეობისაგან კომუნების დაარსების საქმეს.

◆ **თუთის ნერგები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მეაბრეშუმეობის რაიონებში მოაწყოს თუთის ახალი სანერგეები.

◆ **ჯიშიან ცხენების** მოშენების საქმის გასაძლიერებლად, მიწსახკომმა ცხენთაშენის სამმართველოსათვის ბანკიდან გამოითხოვა გრძელვადიანი კრედიტი.

სხვადასხვა

— **პროფ. გ. ახვლედიანის მოხსენება.** დღეს საღამოს 6 საათზე, ქართული ენის კაბინეტში (მე-14-ე შრომის სკოლა) შესდგება ქართული გრამატიკის სემინარის მორიგი სხდომა, რომელზედაც პროფ. გ. ახვლედიანი გააკეთებს მოხსენებას „მეტყველების კულტურისათვის".

ახალი ჟურნალები

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი ჟურნალები: ტეხნიკა და ცხოვრება (მორიგი ნომერი), „მშრომელი ქალი" № 18 და „შრომა" № 23.

ჩაუბარებელი დეპეშები

ახალციხიდან—თელიას, იქიდანვე—მხეიძეს, კრასნოგორიდან—ამირხანოვს, სადახლოდან—მანდაკუნის, ბათომიდან—კეკამს, გუდაუთიდან—კალანტაროვს, ორდობადიდან—ბოზანიანცს, კიევიდან—ნოს, ტობოლსკიდან—აზარაშვილს, დნეპროპეტროვსკიდან—კრუტიკუს, მოზდოკიდან—კუზმინს.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი და მუშა მაყურებელი

რუსთაველის თეატრის მომავალი მუშაობის და მისი მუშა-მაყურებლებთან დამოკიდებულების შესახებ ამავე თეატრის დირექტორმა **შ. ნ. დადიანმა** (საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი) ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

— მთელ რიგ მიზეზების გამო, რუსთაველის თეატრს დღემდე არ ქონია რევოლიუციონური და იდეოლოგიურად გამართლებული რეპერტუარი, იგი სრულიად ვერ აკმაყოფილებდა მუშა-მაყურებლის მოთხოვნილებას, მისი საქმიანობა უმთავრესად მიმდინარეობდა არამშრომელი ინტელიგენციისა და ობივატელური ფენების გავლენის ქვეშ, ამ მდგომარეობას უფრო ართულებდა ორიგინალური რევოლიუციონური პიესების სიმცირე და მუშათა აუდიტორიის და საზოგადოებრივი კრიტიკის ორგანიზაციული მოუწყობლობა.

ამ ნაკლთა გამოსწორებას ჩვენ ვაპირებთ რევოლიუციონური რეპერტუარის განსახიერებით. თეატრის მომავალ საქმიანობაში უნდა დაიწყოს ერთგვარი გარდატეხა მისი იდეოლოგიურად განმტკიცების მხრივ. ჩვენი ახალი რეპერტუარი შევსებულია მხატვრულ-რევოლიუციონური პიესებით, როგორიცაა „რღვევა", „აჯანყება", „ჯავშნიანი მატარებელი 14—69", „ჯუმა მაშიდი", „თეთრები" და სხვა. ამ პიესების განსახიერებაში თეატრი უმთავრესად დაეყრდნობა მისი რევოლიუციონური შინაარსის მხატვრულად გაშუქებას. რაც შეეხება მათში მოცემულ ყოფა-ცხოვრების სპეციფიურ მხარეს, ჩვენ განზრახვა გვაქვს შეძლებისდაგვარად შევუფარდოთ იგი ქართულ სინამდვილეს.

აღნიშნული რუსული პიესები დიდ საგანძურს წარმოადგენენ საბჭოთა დრამატურგიაში. ამჟამად ისინი განსაკუთრებული წარმატებით იდგმება საბჭოთა კავშირის ყველა საუკეთესო სახელმწიფო თეატრებში. მათი ქართულ სცენაზე განსახიერება იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ერთგვარ გამოხმაურებას ჰპოვებს ქართველ დრამატურგებში ორიგინალური დრამატურგიის ამ მიმართულებით განვითარებისათვის.

ახალი რევოლიუციონური რეპერტუარით მუშაობა ჩვენს წინაშე თავის თავად აყენებს საკითხს მუდმივ მუშა-მაყურებლის შესაქმნელად. მუშათა აუდიტორიასთან მჭიდრო კავშირის გაბმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრის იდეოლოგიურად განმტკიცებისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი კრიტიკის შექმნის საქმეში. ამის განხორციელებას თეატრი შესძლებს პროფკავშირებისა და სათანადო ორგანოების დახმარებით.

მუშათა აუდიტორიასთან დაახლოების მიზნით ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ბილეთების განმწესრიგებელი ბიურო, რომელიც 50 პროც. ფასდაკლებით მიაწოდებს ბილეთებს მუშებსა და პროფკავშირის წევრებს. აღნიშნული ბიურო უშუალოდ უკავშირდება მსხვილ სამრეწველო დაწესებულებათა ადგილკომებს, რომლებიც თავის მხრივ ნიშნავენ რწმუნებულებს და ჩვენ თანამშრომლებთან ერთად მუშაობას აწარმოებენ ბილეთების განაწილების საქმეში.

გარდა ამისა, მსხვილ სამრეწველო დაწესებულებებში, როგორიცაა, რკინის გზის მთავარი სახელოსნო, დეპო, ტრამვაი, და თამბაქოს ქარხნები, თეატრი გზავნის თავის თანამშრომლებს მუშებისათვის ბილეთების ნორმალურად მიწოდების მიზნით. ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ ჩვენ შევუდგებით საბაბონემენტო სისტემის შემოღებას, რომლის თანახმად ბილეთების საკმაო რაოდენობას მიიღებენ პროფკავშირები მთელი სეზონის განმავლობაში.

რუსთაველის თეატრის მომავალი მუშაობა არ ამოიწურება მარტო ამ ღონისძიებებით. ჩვენ განზრახვა გვაქვს ყველა ის ახალი დადგმები, რომელიც თეატრში წავა, განვიმეოროთ მთელ რიგ მუშათა კლუბებში. ჩვენი უახლოესი ამოცანაა ყოველი ახალ დადგმის შესახებ მუშა-მაყურებელთა შორის მოვაწყოთ თათბირები, რაც დიდ გავლენას იქონიებს თეატრის იდეოლოგიურად და ეკონომიურად გაჯანსაღების საქმეში.

ქრონიკა

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშათა თეატრში** დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

— **„ზაგმუკ".** რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ".

— **ერედიას სონეტები ქართულად.** მიქელ პატარიძემ ფრანგულიდან თარგმნა ერედიას 36 სონეტი, რომლებიც გამოვა ცალკე წიგნად ახლო ხანში.

— **კ. გამსახურდია** [illegible]

— **მუშათა ახალ კლუბში** დღეს ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „დანგრეული ოჯახი".

— **მუშათა თეატრის** რუსული დრამის მორიგ პრემიერად ამ დღეებში წავა „ჯავშნოსანი მატარებელი".

— **ცირკში** დღეს გაიმართება ცნობილ მსახიობ კასფიკის პირველი გასტროლი.

— **ხელოვანთა სასახლეში** დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება საბჭოთა დრამატურგების საზ[illegible] კრება.

ჭადრაკი

მეექვსე ტური

გუშინდელი ტური აღინიშნა მცირე ინციდენტით, რომელსაც ადგილი ჰქონდა საროკინ ტალვიკს შორის.

საროკინ - ტალვიკ. (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

მეხუთე სვლაზე საროკინმა გაცვალა პაიკი ცენტრში.

ამით მან გაანთავისუფლა მოპირდაპირის რკუ. ჩვეულებრივად ამ რკუს განთავისუფლებისათვის საჭიროა ტემპი და დრო.

შემდეგში საროკინმა მისცა ტალვიკს საშუალება გაეორებია თავის პაიკები, მიუხედავად ამისა მან მიიღო ცენტრში მძლავრი პოზიცია მეცამეტე სვლაზე ტალვიკი აკეთებს სუსტ სვლას პაიკით, რომლითაც სარგებლობს საროკინი და გადადის ძლიერ შეტევაზე.

მე-20-ე სვლაზე ტალვიკმა მეფის უმნიშვნელო სვლით შექმნა მოპირდაპირისათვის ფიქტიური შეტევის ილიუზია, რის შედეგც იყო საროკინის მიერ ფიგურის შეწირვა. ამაზე ტალვიკს წინაგანზრახ მომზადებული ქონდა ცბიერი სვლა რკუთი, რომელიც ასუსტებდა საროკინის მეორე ფიგურას და თანაც თავს ესხმოდა ეტლს. ორი სვლის შემდეგ ამით მან მოიგო ფიგურა. ამის შემდეგ პარტია უეჭველად მოგებული იყო ტალვიკის მიერ. საკონტროლო დროს მოახლოვებისას მოპირდაპირენი მოხვდნენ ცაიტ - ნოტში (დროის უქონლობა). უკანასკნელ 6—7 სვლისათვის დარჩა მხოლოდ 7 წუთი. მე-30 სვლის (საკონტროლო დრო) მოფიქრების დროს, საჭადრაკო საათმა ტალვიკს შეცდომით მისცა ნიშანი საკონტროლო დროის გასვლისა, თუმცა ტალვიკს მარაგში კიდევ ჰქონდა დრო. ამით სარგებლობს საროკინი სწყვეტს თამაშს და მოითხოვს, რომ მოგება ჩაეთვალოს მას. სატურნირო კომიტეტის დადგენილებით პარტია უნდა გაგრძელებულიყო, რადგან ტალვიკის მიერ გაკეთებული სვლის შემდეგ მას რჩებოდა კიდევ ნახევარი წუთი.

ამგვარად საათის მიერ მიცემულ ნიშანს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. საროკინმა არ გააგრძელა თამაში, რისთვისაც მას ეს პარტია წაგებულად ჩაეთვალა.

ებრალიძე - მარტიროსოვ. (ფრანგული პარტია).

ამ პარტიაში ებრალიძემ აირჩია პაიკის წინაურება, რაც არ ითვლება პარტიის მძლავრ გაგრძელებათ და ამ უკანასკნელ ხანებში იშვიათია სატურნირო პრაქტიკაში. მარტიროსოვის უიდეო თამაშის წყალობით ებრალიძემ მიიღო ძლიერი შეტევა. შებოჭა მარტიროსოვის ყველა ფიგურები და შამათის მუქარით აიძულა მოპირდაპირე დანებებულიყო.

ტარაიან - გოგლიძე. (სიცილიური პარტია)

დებიუტის შემდეგ ტარაიანმა დაიწყო შეტევა პაიკებით გოგლიძის მეფეზე, რითაც დაასუსტა საკუთარი მეფის პოზიცია. ტარაიანის შეტევა ამოიწურა, და ინიციატივა გადავიდა გოგლიძის ხელში.

ინიციატივის შედეგ კი იყო მოპირდაპირის ფიგურის და პაიკების მოგება, რის შემდეგ ტარაიანი დანებდა.

მალუწცევი - კასპარიანი. (ინდოური დაცვა).

დებიუტით მიღებულ თანასწორ პარტიაში კასპარიანისათვის საჭირო იყო მხედრების გაცვლა, რის შემდეგ პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. მხედრის სუსტი სვლის გამო, კასპარიანი იძულებული შეიქნა გაეკეთებია პაიკის ისეთი სვლა, რომელიც ასუსტებდა მეფის პოზიციას. შედეგი ამ სვლის მალე გამომჟღავნდა: კასპარიანმა დაკარგა ხარისხი. აქ უკეთესი იქნებოდა, რომ ის დანებებულიყო, მაგრამ განაგრძო თამაში, სანამ მალუწცევმა არ გაიყვანა ლაზიერი.

მდგომარეობა მე-6 ტურის შემდეგ: ტალვიკი +4-ნახევ. და ერთი დაუთ., გოგლიძე +4. ებრალიძე + 3-ნახევ. და ერთი დაუთ., მარტიროსოვი + 3, საროკინი და მალუწცევი + 2-ნახევ. და ერთი დაუთ., კასპარიან + 2 და ერთი დაუთ., ტარაიან + 2, დანილოვ, კარლინსკი +1 და ერთი დაუთ.

შემთხვევები

მკვლელობა

გუშინ სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ სოფ. წალკაში (თბილისის მაზრა). მოქ. მამედ გალი-ოღლიმ ცხვრის ფარის გაყოფის დროს ხანჯლით მოჰკლა გამბარ ალი-ოღლი.

მამედ გალი-ოღლი დაპატიმრებულია.

ორი ბავშვის დაკარგვა

— 18 იანვარს სახლიდან გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა ანტონ ვლადიმერის ძე მელქაძე (11 წლისა); 20 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგა პაველ თედორეს ძე მადრაცო, 13 წლისა (მცხ. ყიზლიარის ქ. № 7).

ქურდის დაპატიმრება

— გუშინ გაქურდეს სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზია (კომინტერნის ქ. № 3).

ამ საქმის გამო შეიპყრეს გასპარ ვართანის ძე ნალბანდიანცი და გურგენ ოგანესის ძე შავერდოვი.

რკინის გზებზე

ჯანმრთელობის დაცვა

ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილება 1 თებერვლიდან იწყებს რკინისგზელების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების მასიურ სანიტარულ - ჰიგიენურ გამოკვლევას.

ა.-კ. რკინის გზების არსებობის ისტორიაში ასეთი გამოკვლევა ტარდება პირველად.

გარდა რკინისგზელებისა, სანიტარულ-ჰიგიენური გამოკვლევა ჩატარდება რკინის გზის ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობის შორისაც.

რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა და გზის გამგეობამ წინადადება მისცეს პროფესიონალურ და ადმინისტრატიულ ორგანიზაციებს — ხაზებზე განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან ამ გამოკვლევას და აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება გამოკვლევაზე მომუშავე ექიმებს.

მუშების დაწინაურებისათვის

ამხ. სტალინის სახელობის თბილისის მთავარ სახელოსნოებთან დაარსდა დროებითი საკონტროლო კომისია, რომელიც მიზნად ისახავს მუშების წარმოების მმართველ საქმესთან დაახლოებას.

ამასთანავე კომისიის მიზანს შეადგენს, სამეურნეო მუშაკების ახალი კადრების შექმნა მუშებისაგან.

კომისია შესდგება ხუთი კაცისაგან. მათგან სამი სრულიად განთავისუფლებულია სხვა დარგში მუშაობისაგან.

კომისია იმუშავებს სულ 3 თვის განმავლობაში.

სამსახურიდან მოხსნა

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ივანოვის** განკარგულებით სამსახურიდან მოხსნეს ეილახის დეპოს ზეინკალი **ლამირ-აღახანი** და განჯის დეპოს მემანქანე **კრაიკო**. პირველი—სამსახურში სისტემატიურად არ გამოცხადებისა და მეორე ლოთობისა და მატარებლის თვითნებურად დატოვებისათვის.

ნარევი

სახლები შუშიდან

ამერიკელმა ხუროთმოძღვარმა **ლედლოუმ** შეიმუშავა შუშიდან აგებულ მრავალ-სართულიანი სახლის პროექტი. მთავარ საბუთი, რომელსაც აყენებენ შუშის — როგორც საამშენებლო მასალის წინააღმდეგ, მდგომარეობს იმაში, რომ შუშის სახლები ძლიერ ცივი იქნება. მაგრამ ლედლოუ ამ საბუთს აქარწყლებს იმით, რომ წინადადებას იძლევა—შუშის სახლის კედლები ორმაგი გაკეთდეს და კედელსა და კედელს შუა სივრციდან ჰაერი ამოიქაჩოს. ლედლოუს იდეამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ამერიკელ ინჟინერებში, რომლებიც მის იდეას სავსებით განსახორციელებლად სთვლიან.

ჯიბის აეროსტატი

„გასეირნება" აეროსტატით გადაიქცა მეტად გავრცელებულ სპორტად შეერთებულ შტატებში. ამერიკაში გასაყიდათ გამოუშვეს პატარა აეროსტატი, რომელიც მოკეცილი სახით ჩანთას წააგავს. ამ რამდენიმე ხნის წინად ვინმე სტივენსმა მოახდინა სარეკორდო გადაფრენა ასეთ მოსაკეც აეროსტატზე. იგი შაბათს გამოფრინდა ნიუ - იორკიდან, მეორე დღეს დაეშვა კლირ - ჯენკშონის ტბასთან (ნიუ-იორკიდან 550 კილომეტრის მანძილზე), მოკეცა თავის აეროსტატი, დაჯდა მატარებელში და ორშაბათს ნიუ-იორკში იყო.

იურიდიული დახმარება

ბაგრატ ბაგათუროვს

კითხვა:

ვის უნდა მივმართო, რომ ჩამრიცხონ ინვალიდთა სიაში.

პასუხი:

უნდა მიმართოთ სრულიად საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას.

რ. სვანიძეს

კითხვა:

ვმსახურობდი ქალაქის ლომბარდში სააუქციონო კამერის საწყობის გამგეთ. ნამუშევარი მაქვს ზედმეტი საათები საჯარო ვაჭრობებზე, რომლის ჯილდოც მოვთხოვე დაწესებულების ადმინისტრაციას. გამგემ მიპასუხა, რომ ზედმეტი საათების მუშაობის ჯილდო გერგება, მაგრამ გასამრჯელოს, რომელიც შენ უნდა მოგეცეს დაუკავებთ შენს პირად გამგეს ჯამაგირიდანო. გთხოვთ გამიმარტოთ ვინ უნდა აუნაზღაუროს ზედმეტი საათების სამუშაო, პირადმა გამგემ თავის ჯამაგირიდან, თუ დაწესებულებამ, რომლისთვისაც ვმუშაობდი.

პასუხი:

ზედმეტი მუშაობის გასამრჯელო უნდა მოგცეთ იმ დაწესებულებამ, ვის სამუშაოსაც ასრულებდით თქვენ.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

ვინ მოიგო თბილისში მსხვილი მოგება

კავკასიის წითელდროშოვან არმიის № რკინის-გზის პოლკის მეორე როტის უფროს ამხ. ანისიმოვის მიერ შეძენილ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციას ხვდა 10.000 მანეთის მოგება. ამხ. ანისიმოვს შეძენილი აქვს ობლიგაციის ერთი მეხუთედი ნაწილი (ერთი კუპონი), ე. ი. იგი მიიღებს 2000 მანეთს.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 26 იანვარი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 27 იანვარი

პარასკევს, 27 იანვარს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

ჯანსახკომის მოხსენება: პირისა და კბილების მოვლა—თურქულ ენაზე.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

წითელი არმია სამოქალაქო ომის ფრონტებზე: ბრძოლა შინაურ ფრონტებზე—თურქულ ენაზე.

წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება: წითელი არმიის ორგანიზაცია—სომხურ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში—ქართულ და რუსულ ენებზე.

ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, ხუთშაბათს, 26 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: მერაბიანი იოსები, სიმონ ოქრუაშვილი, ნიკოლოზ ომიაძე, არმაის სარქისიანი, გაბრიელ კარაველოევი და ალექსანდრე კობერიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ნინა საინაშვილი, აგნესა ხეჩინაშვილი, სოფიო აბაჯიევი, ალექსანდრე ბაირამოვი, არუსიაკ ოსმანიანცი, ვერესლავ ჩერეპახოვი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: იოსებ ბონდარენკო, დავით ებრალიძე, ნიკოლოზ ივანოვი, მიხეილ მედვედიევი და მიხეილ მაჩაბელი.

საგარანტიო მუშაკთა სექციიდან: ლევან ვართანოვი, ვერა არდიშვილი, მიხეილ არდიშვილი, ელისაბედ მაჭავარიანი იაკობ ვარმიკიანი, სარდიონ მეტრეველი, ვახტანგ კერესელიძე, მარია ვაშაკიძე, ალექსანდრე გუდაძე, დიომიდე ხატელიშვილი, იულონ ხმალაძე, მიხეილ ჯამასპაშვილი, ალექსანდრე გამყრელიძე, სტეფანე მიქელაძე, იოსებ ციციშვილი, გენრიხ კეხერი, პეტრე ქარცხავა, ამალია გერკინ, ვასო მალხაზიშვილი და ვარა ლორთქიფანიძე.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში დამატებით მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე: აგდამის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებას სჭირდება: ორი კბილის ექიმი, ჯამაგირი 120 მან., მოწყალების და—ჯამაგირი—45 მან., ერთი ექიმი-ვენეროლოგი—ჯამაგირი—175 მან.

მსურველმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოს თბილისის შრ. ბირჟის მედსექციაში ამხ. **ჩოგოშვილს**.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 96), მოწვეულია **არსენალის რაიონის დაწინაურებულთა თათბირი**, დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელ კომუნისტებთან ერთად.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ალექსანდრე ჯიქიას, კონსტანტინე ბარამიძეს, ალექსანდრე ულენტს და ალექსანდრე მელუას გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში ამხ. მაღალაშვილთან დღეს, 26 იანვარს დღის სამ საათამდე.

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საკონტროლო კომისიაში კვირას, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, ამხ. ი. ფირცხალავასთან (ოთახი 13).

არჩილ ოქუაშვილი, პროკოფი გირდელაძე, ოსიებ ფხაკაძე, მიხეილ მახარაშვილი, დომენტი ნაჭყებია, იოსებ თავაძე, საბა ქართველიშვილი, ივანე შურდალაშვილი, ანდრო დონდუა, გრიგოლ კობიძე, კ. უჯმაჯურიძე, ალექსანდრე ჩიგოგიძე და დიმიტრი ბაქრაძე.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება **ქალაქის რაიონის საერთო საქალაქო ქალთა სადელეგატო კრება**. დასწრება აუცილებელია.

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ელიზბარ ჯაჯანაშვილს გამოცხადდეს ცენტრ. საკონტროლო კომისიაში პარასკევს, 27 იანვარს, დილის 10 საათზე —ამხ. ფირცხალავასთან (ოთახი № 13).

— დღეს, 26 იანვარს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ხუხიშვილის კაბინეტში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო თათბირი.

თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ხაცკევიჩი, ბედია, გუდავაძე ფირალიშვილი, ბელელაძე, კუდრიავცევი. სტ. აკოპოვი, მარქმანი; ადამიძე; რუხაძე; ბელიაევსკი; ბლიუმზაკი, კვირიკაძე, აზარიშვილი, გრიგორიანი, არუტინოვი; მეთონიძე; გორდელაძე და ცენტრ. კომიტეტის, მუშკოოპისა და საბინაო კოოპერაციის წარმომადგენლები.

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა/წ. 24 იანვარს რესპუბლიკის საავადმყოფოში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე
დოლიძე

ნ. 532 4—1

საქ. კომპარტიის (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ორგანიზაციის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის ყოფილი წევრი, ძველი ბოლშევიკი (1906 წლ.)

ამხ. სოლომონ გიგოს ძე
დოლიძე

ნ. 532 4—1

ს. კ. პ. (ბ) გურიის ორგანიზაციის ჩოხატაურის რაიკომი აუწყებს თავის ორგანიზაციის ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ორგანიზაციის აქტიური მუშაკი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე
დოლიძე

ნ. 532 4—1

ს. კ. პ. (ბ) გურიის ორგანიზაციის ლანჩხუთის რაიკომი აუწყებს თავის ორგანიზაციის წევრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი რაიკომის ყოფილი მდივანი კომპარტიის წევრი 1906 წლიდან, დაუღალავი მებრძოლი

ამხ. სოლომონ გიგოს ძე
დოლიძე

ნ. 532 4—1

კ.პ. (ბ) გურიის სამაზრო კომიტეტი და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, ენერგიული მუშაკი ამხანაგი

სოლომონ გიგოს-ძე
დოლიძე

გულდათუთქული მეუღლე ტერეზია ქალიშვილით გოგუცათი, სიდედრი ელისაბედ, სიმამრი ესე, ცოლის ძმები თეოფილე, ერმილე და ალფეზი ტურჩულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა/წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) № 22 დღის 12 საათზე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 531 4—1

დები ოლიხკა, დოდია და ლიდა, სიძეები—ივანე სიხარულიძე და ესტატე ოკუჯავა, რძლები—მარიამ, თამარა და ქეთია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა. წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

ნ. 531 4—1

ძმები ანდრო, თედორე და ვალოდია დოლიძეები აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა/წ. 24 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძმა, ძველი ბოლშევიკი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა ა/წ. 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან—საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დასაფლავების ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 531 4—1

უახლოესი მეგობრები ამით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარ მეგობრის, და მცველთა კოლეგიის წევრის

დავით (დათიკო) მიხეილის ძე
შენგელაიას

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ლომინაძის ქ. № 9 (ყ. იზმაილოვის) ხუთშაბათს, 26 იანვარს, დღის 4 საათ.

2—2 ნ 520

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ეკატერინე, და ელენე ყანჩელისა, ძმები: გიორგი, ალექსანდრე [illegible] რძლები: იულია, ოლღა და ნატა შენგელაიები, [illegible] ალექსანდრე ყანჩელი, მამიდა ფატი [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 23 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

დავით მ. ხეილის-ძე
შენგელაია

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლომინაძის ქ. № 9. (ყ. იზმაილოვის). დღის 4 საათზე, ხუთშაბათს 26 იანვარს, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

1194

ბიძა სპირიდონ ბოლქვაძე ოჯახით, თამარი და სერგო მიქაძეები გულდაწყვეტილი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

დავით მიხეილის-ძე
შენგელაიასი

1194

დეიდა ნინო ძეძურგიასი, ბიცოლა ანიკო, ბიძები ისიხილ და დავით ჯორჯიკიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 23 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

დავით მიხეილის-ძე
შენგელაია

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ლომინაძის ქ. № 9 (ყ. იზმაილოვის) ხუთშაბათს, 26 იანვარს, დღის 4 საათზე.

1194

შალვა, კოკი და ჰიპიკო შენგელაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 23 იანვარს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ბიძაშვილი

დავით (დათიკო) მიხეილის ძე
შენგელაია

1204

გულდამწვარი მეუღლე ვერა თედორეს ასული; შვილები თინა, ვახტანგ და თენგიზ; დედა—ნატალია გიორგის ასული; ძმები—იერემია და ამბროსი ექვთიმეს-ძენი, რძლები—ანა გიორგის ასული ჟვანიასი და ნინო გერასიმეს ასული ჟვანიასი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. თბილისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

არისტარხო ექვთიმეს-ძე ჟვანია

დაკრძალვა მოხდება სოფ. წითელხევში (ქუთაისის მაზრა, ყოფ. სადემეტრაოში) 28 იანვარს, დღის 3 საათზე. (შ)

სად. ქიათურის რკ. გზ. მუშა-მოსამსახურენი უღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სადგურის საბარგო მოლარის, ერთგულ მუშაკის

არისტარხოს (ალიოშა) ექვთიმეს-ძე
ჟვანიას

უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება სოფ. წითელხევში (ყოფ. სადემეტრაოში) 28 იანვარს, დღით შაბათს, 3 საათზე.

1777



თ. ჟღენტი—1905 წელი გურიაში—გვ. 133, ფასი—1 მან. 20 კაპ.
ი. კოდუა—კომკავშირი და დაქირავებული ახალგაზრდობა სოფლად.—გვ. 56, ფასი—30 კაპ.
ზუმედინი—ტროცკიზმიდან მენშევიზმისაკენ.—გვ. 184, ფასი—1 მან.

ნ. 429
25—17

აპოლო	არფასიტი	სოლეი	დარბაზი
ამერიკის საყვარელი მსახიობი ლეეტრის ჯოი მხატვრულ შედევრში მუდამ უცხონი	ნიკოლოზ რიმსკი და სიუზანა ბიანკეტი 1927 წ. ორიგინალურ სურათში „ბედნიერი სიკვდილი"	მონოპოლიურად ტრიუკებიანი კინო-რომანი 27 წლ. გამოშვება „სასიკვდილო ნახტომი"	ჰარი პილ ტრიუკებიან კინო რომანში უთავო მხედარი 1 და 2 სერია

ანონსი: მალე ორი საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული" და „50.000 ფრანკი".

საჭიროა
ინჟინერები, აგრონომები და ტეხნიკოსები
სამინდვრო ჰიდრომოდულურ სამუშაოთათვის
მიმართეთ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს („ზაკვოდხოზ")—სამეცნიერო გამოკვლევების განყოფილებაში. 3—1 ნ. 537

იყიდება
ორ სართულიანი სახლი მე-9 უბანში შინკვინცევის ქუჩა № 10 ტრამვაის გაჩერების ახლოს, აქვს ბანკის ვალი, პირობა იქვე გაიგება. 1199

მიღებულია
პარიზიდან
50.000
ფრანკი
?
ნ. 538

ცირკი
კოლოსი
ტელ. 8—64
ნ. 535

ხუთშაბათს 26, პარასკევს 27, შაბათს 28 და კვირას 29 იანვ.
ევროპაში სახელგანთქმულ ილიუზიონისტ
ჰიპნოტიზიორის კასფიკის
გასტროლები გარდა ამისა მთელი დასი და ახალი ატრაქციონები! წაიკითხეთ აფიშები!
კვირას სანახაობანი დღისით. ბავშვები უფასოდ, დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.
[illegible]

ამიერ-კავკასიის რკ. გზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1927 წ. 7 დეკემბრის

დადგენილება № 9

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ზაკავტოპრომტორგ"-ისა და მოფერეების კოოპერატიულ ამხანაგობა „მოტორ"-ის მიერ მოწყობილ ავტო-რეისების სამგზავრო ბილეთებზე მიზნობრივი გამოსაღების დაწესების შესახებ საავტოტრანსპორტო პროფტეხნიკურ განათლების ფონდისათვის.

1. საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს 1927 წ. 18 ოქტომბრის დადგენილების განსავითარებლად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე „ზაკავტოპრომტორგ"-ის და შოფერების კოოპერატიულ საზოგადოება „მოტორ"-ის მიერ მოწყობილი ავტო-რეისების სამგზავრო ბილეთებზე დაწესებულია მიზნობრივი გამოსაღები საავტო-ტრანსპორტო პროფტეხნიკური განათლების ფონდისთვის შემდეგი რაოდენობით:
1) ბილეთზე, რომელიც ღირს 5 მან.—5 კაპ.
2) „ „ „ 5-დან 10 მანეთამდე—10 კ.
3) „ „ „ 10 მან. და მეტი—15 კაპ.

2. „ზაკავტოპრომტორგ"-ის და შოფერების კოოპერატიულ ამხანაგობა „მოტორ"-ის იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომელსაც ისინი გასწევენ ამ გამოსაღების მოწყობის ტეხნიკაზე და მის აღრიცხვაზე, გამოსაღების საერთო თანხიდან გადარიცხულ უნდა იქნეს 2 პროც. დასახელებულ ორგანიზაციების სასარგებლოდ.

3. ეს დადგენილება დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მიერ ა. წ. 14 იანვრის სხდომაზე ოქმი № 2.

4. ეს გამოსაღები დაწესებულია 1928 წლის 1 თებერვლიდან და უნდა აკრეფილ იქნეს მის გაუქმებამდე.

ამ.-კავკ. რკ. გზ. სამმართველოსთან
არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო
თათბირის საქმეთა მმართველი, უფროსი ეკონომისტი
ნ. 529 **ა. მ. ვერდერევსკი.**

გამოვიდა ყოველთვიური
მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟურნალი
მნათობი № 1

შინაარსი:

ლექსები. ს. ეული—ულენინოთ. **კ. კალაძე**—ამხ. ლენინი. **ტიციან ტაბიძე**—მონანიება კი არის სადა. **კ. ლორთქიფანიძე**—პროვინციალური ლექსები. **ვარლამ რუხაძე**—მიწავ, დაგვენებდი. **ვ. გაბესკირია**—მოხუცი.

პროზა: მიხეილ ჯავახიშვილი—გივი შადური (დაბრუნებული). **კ. კასრაძე**—მეჯინიბე. **აკაკი პაპავა**—სპირიდონის გასაჭირი. **ნ. ზომლეთელი**—ძლევის შუქურა (პოემა). **თ. ჩერქეზიშვილი**—მია. **პ. ნელეიმონ რომანოვი**—ვარსკვლავი (თარგმანი ვ. ბ—ძის). **ე. სინკლერი**—ქადაგის მდივანი.

კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა:

ვ. პოლონსკი—ლენინი ხელოვნებასა და ლიტერატურის შესახებ. **პ. ქიქოძე**—ქართული მწერლობის ერთი წელი. **გ. ლეონიძე**—ივანე მაჩაბელი. **პროფ. შ. ნუცუბიძე**—ზოგიერთი განმარტება. **კ. ბაქრაძე**—ჭეშმარიტების პრობლემა და შემეცნების სტრუქტურა.

ბიბლიოგრაფია:

ჟურნალი უკვე დაეგზავნა ხელისმომწერლებს და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვოლოდარსკის ქ. № 11. („ახალი სოფელი"-ს რედაქციის შენობა).

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—3 საათამდე. ნ 536

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვ ჭრობის სახკომის რწმუნებ. სამმართველოში. გაგრძელება № 38

რიგ. №	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმ. საგანი	ძირითადი თანხა	საწ. სარ. მოწმ. ხარისხ.
1009	5 იანვ. 1928 წ.	კაიარიან სურენ ზურაბის ძე კასიარიან სურაბ სარკისის ძე, მირზახანიან არშავირ არამის ძე	თბილისი. ბნელი რიგი, № 37	საბაკალ.	3.000 მან.	მე-4
1010	11 „ „	ფარქოსაძე იეფემია როსტ. ას.	თბილისი, საბჭოს ქ № 4	სასადილო	450 „	„
1011	„ „ „	ნოღაზოვი გარეგინ სიმონის ძე	თბილისი, კახეთის მოედანი, № 13	„	282 „	„
1012	„ „ „	კაპანაძე გიორგი მიხეილის ძე	თბილისი, ნერსესოვის ქუჩა, № 5	„	500 „	„
1013	„ „ „	გიორგობიანი ილია იროდიონის ძე	თბილისი, პლეხანოვის გამზ., № 43	„	600 „	„
1014	13 „ „	ოზმანაშვილი ილია	თბილისი, საბჭოს ქ., № 75	„	600 „	„
1015	16 „ „	აბგარიძე მიხეილ ალექსის ძე	თბილისი კლარა ცეტკინის ქ. № 155	„	600 „	„
1016	17 „ „	ტყუენტი მიხეილ ივანეს ძე	თბილისი, ოლოლაკის ქ. № 1	სასტუმრო	1.000 „	„
1017	18 „ „	გაბრიელოვი გეურქა	თბილისი, ალავერდი ქ. № 1	ღვინის სარდაფი	1.000 „	„
1018	18 „ „	ტიფინოვი ვ. პეტრეს ძე	თბილისი, სოლოლაკის ქ. № 5	ღვინის სავაჭრო	2.000 „	„
1019	18 „ „	ტეტუაშვილი გიორგი კიტესის ძე	თბილისი, მუხრანის ეზო	აკომისიო ხილით ვაჭრობა		„
1020	81 „ „	ჯაფარიძე ჯაფარი	თბილისი, მჭედლ. ქ. № 16	ხილით ვაჭრობა	„	„
1021	18 „ „	ტუგებაშვილი ილარიონ იოსების ძე და ტუგებაშვილი ვლადიმერი	თბილისი, ვაგზლის ქუჩა, № 15	ღვინის სარდაფი	450 „	„
1022	18 „ „	ტონაკანოვი აგამ და ვასანოვი სერგო	თბილისი, მეიდანის ბაზარი	„	5.000 „	„
1023	28 ნოემ. 27 წ.	თოფაძე ვასო და დოიაძე	დუშეთის მ. ზემო ყაზბეგი	სასადილო	300 „	„
1024	8 „ „	თერგის ხევი	სოფ. ყაზბეგი	მატყლ. დამზ. და გასაღება	2.653—95	„
1025	28 „ „	გორპოლიტორგი	„ „	ცეცხლ გამძ ვის წარმოება	200.000 მ.	„
1026	28 „ „	ჩოფიკაშვილი გიორგი ლაზარეს ძე	„ „	სასადილო	500 „	„
1027	28 „ „	ჯამარჯაშვილი ზაქარიას ძე	„ „	წვრილმ. სავაჭრო	1.500 „	„
1028	28 „ „	ხახლიშვილი იაგორა	„ „	სასადილო	300 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მქალოგლიშვილი.**
ნ. 539 სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე.**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 28 იანვარს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 28 საპიორის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. კ. ბაქრაძის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, ტანისამოსის შკაფს, საწერ მაგიდას, სასადილო მაგიდას, სკამებს, სამოვარს, კედლის საათს და სხვ. შეფასებულს 475 მანეთად, მოქ. კოხრეიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 იანვრის 1928 წ. თარიღით, № 146 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 533

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
კ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ს. ნოზარლოში, ყარაიაზის რაიონში ა. წ. 28 იანვარს **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოძრავ ქონებას ალახვერდი და მამედ უსუბ ოღლის, ხაჯაზ სულეიმან ოღლის იუსუბი მამედ ოღლის, ფსუპა სოინ ოღლის და კარაკასუნ ოღლის, რომელიც გამოიხატება: 5 ძროხაში, უღელ ხარში, ხელით საკერ მანქანაში ზინგერის ქარხნისა და ორ ხალიჩაში, შეფასებული 280 მანეთად დასაკმაყოფილებლად თბილისის გლეხკომისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან და მოხდება ყველა საგნისა ცალ-ცალკე. ნ. 539

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. კობალაძე

ამით აცხადებს, რომ 30 იანვარს, დილის 12 საათზე, სახალხო სასამართლოს დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** პეტრე და ალექსანდრე ვასილის-ძე თოფურიძეების ქსენია თოფურიძის ქონებაზე, რომელიც შესდგება ერთი აგურის დარაბისაგან ასვალტის იატაკით, (ერთი განყოფილებით) გაშენებული ერთი სადუქნე ნაკვეთ მიწაზე, მდებარე ფოთში ნიკოლაძის ქ. № 80, შეფასებული 300 მანეთად, შემდეგ პირების ვალის დასაკმაყოფილებლად: 1) ალექსი მზარეულის—923 მ. 30 კაპ. და 2) ნესტორ სირაძეს—4 8 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასების თანხიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარუდგინონ სასამართლოს აღმასრულებელს სამოქ. საპ. კოდ. 311 და 312 მ. მ. გათვალისწინებული ცნობები და შეფასებული ჯამის 10 პროც. 1203

დაკარგვა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბილეთი ალექსანდრე ანტონის ძე ხითაროვის სახელზე, ჩ. გ. 1196

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 2834 არიამ ლაზარეს ასული კონიეას სახელზე, ჩ. გ. 1198

დაკარგვა სამხედრო წიგნაკი, ფიზიკური შრომის სტაჟის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი იოსებ გაბრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1189

დაკარგვა: ატესტატი № 1271 გაცემული რკინის გზის მე-4 შრომის სკოლიდან ევგენია გერასიმეს ასული წეროძის სახელზე ჩ. გ. 1192

დაკარგვა მუშკოოპის წიგნაკი № 12863 ალექსანდრა საბას ასული კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. ნ. 5 0

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 28957, ნინა ბოკუჩავას სახელზე, ჩ. გ. 1190

დაკარგვა დაზღვევის წიგნაკი № 554 გ. თ. ალავიძის სახელზე, ჩ. გ. 1195

დაკარგვა: კავშირის საწევრო წიგნაკი გამ. მუშაკთა კავშირის ი. გ. მიერ მოცემული ილიას შაბანის ძე (Местоев) მესტოევის სახელზე, ჩ. გ. 1194

დაკარგვა განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი [illegible] ლობიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1197

დაკარგვა: განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი, ქეთო გაჩეჩილაძის სახელზე, ჩ. გ. 1197

დაკარგვა: პროფკავშირის საწევრო წიგნაკი. [illegible] დათუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1197

დაკარგვა საარიცხვო ბარათი ილია მათეს ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 1200

დაკარგვა შინა-მრეწველთა [illegible] კავშირის საწევრო წიგნაკი № 1479 არამ ბაღდასაროვის სახელზე, ჩ. გ. 1201

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კალინის ქ. № 65